

მელოქანი

№2 (53) 2023





იალქანი – შემეცნებით-ლიტერატურული
ჟურნალი ყმაწვილთათვის

დაარსებულია 1996 წელს

სააგენტოს დირექტორი **ლიკა კვარაცხელია**

ქართულ საქართველოში იყო მხატვრული მოტივებისა და მხატვრული
ლიტერატურის მემკვიდრეობის დაცვის საკითხი. მხატვრული
მემკვიდრეობის დაცვის საკითხი იყო მხატვრული მემკვიდრეობის
დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი
დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი

– „ქო მონა ღვთისა!“ – ქო იყო მხატვრული მემკვიდრეობის
დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი
დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი

ქო მონა 30 წელიწადი წინათ, აფხაზეთში, 1993 წელი
5 ივლისი.

გვ. 18

ჩვენი ფუნქციონირება, რომ იქცევიან, განუხილველია იაონური
აქტიურობით, რომელიც სავსეა ნებისა და მხატვრული
„იალქანის“ აქტიურობით. მხატვრული მემკვიდრეობის
დაცვის საკითხი იყო მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის
საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი
დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი

ქო მონა 30 წელიწადი წინათ, აფხაზეთში, 1993 წელი
5 ივლისი.

გვ. 36

რას ნაიკითხავთ?

2005 წელს იბეჭდებოდა, ამჟამინდელი ფორმისთვის – მართლმ
დარსებითი ფორმისთვის სხვა დოკუმენტის მხატვრული
სახეობის დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის
დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი

ნაიკითხავთ საქართველოს „სახელის“ წინააღმდეგობის
დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი
დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი

ქო იყო 30 წელიწადი წინათ.

გვ. 32

ლოცვა გვანიან საქართველოში მხატვრული მემკვიდრეობის
დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი
დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი

ლოცვა გვანიან საქართველოში მხატვრული მემკვიდრეობის
დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი
დაცვის საკითხი. მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი

ქო იყო 30 წელიწადი წინათ.

გვ. 38

- რედაქტორი **ნანა ჭანტუა**
- მხატვრული რედაქტორი **ნუნუ ჯანელიძე**
- მხატვარი, პასუხისმგებელი მდივანი **დალი მუსაძე**
- დიზაინი, დაკაბადონება **ვასტანო ზაქარაია**
- კონსულტანტი **სალომე კვარაცხელია**

ეროვნული გმირი – კონსტანტინე (კოტე) აფხაზი

ჟან შარდენის ქართულ-ფრანგული აკადემია გამოვიდა ინიციატივით, თბილისის ვაჟის პარკს ეწოდოს „კოტე აფხაზის პარკი“. ბოლშევიკებმა 14 თანაგზავნილთან ერთად ამ პარკში დახვდნენ სხვალოვანი გენერალი, საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფიგურა, ეროვნული გმირი – კონსტანტინე (კოტე) აფხაზი.

ეს მოხდა 100 წლის წინათ, 1923 წელს.

* * *

კონსტანტინე აფხაზი დაიბადა 155 წლის წინათ, 1867 წელს (ზოგიერთი ცნობით, 1868 წელს), კახეთის რაიონის სოფელ ქიზიყში,* დიდი ავტორიტეტის მქონე თავადის – ნიკოლოზ აფხაზისა და ილია ჭავჭავაძის დის – ნინო ჭავჭავაძის ოჯახში.

აფხაზების ოჯახის წევრები აფხაზეთის მთავართა შთამომავლები ყოფილან. კონსტანტინეს დიდი პაპა, გვარად შერვაშიძე, დამკვიდრებულია კახეთში. სწორედ მისთვის უბოძებიათ კახეთის თავადობაც და გვარიც – „აფხაზი“.

კონსტანტინე აფხაზმა მიიღო იმ დროისთვის საუკეთესო სამხედრო განათლება: დაამთავრა თბილისის კადეტთა სკოლა და პეტერბურგის სამხედრო საარტილერიო სასწავლებელი.

კონსტანტინე აფხაზის მოღვაწეობა სიყრმიდანვე უკავშირდება ეროვნულ საქმიანობას, საქვეყნო ინტერესებს: ის იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წამდელი წევრი; ილიასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საქმიანობაში; გაზეთებში: „ივერია“-სა და „კავკაზ“-ში ხშირად იბეჭდებოდა მისი პუბლიკაციები; ივანე ჯავახიშვილთან ერთად მან დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში; კონსტანტინე აფხაზის სახელს უკავშირდება ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა; გამოჩენილ სამხედრო მოღვაწეებთან – გიორგი კვინიტაძესა და გიორგი მაზნიაშვილთან ერთად მან შექმნა ქართული ეროვნული არმია; 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტს სხვებთან ერთად კოტე აფხაზმაც მოაწერა ხელი; მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

საქართველოსთვის ავტონომიური გამოდგა 1925 წლის 25 თებერვალი, როდესაც ბოლშევიკური რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ აიღო თბილისი, რასაც მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმება. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ გენერალი კონსტანტინე აფხაზი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხდება.

მისი თაოსნობით დაარსდა საქართველოს პარტიტუული კომიტეტის (იგივე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი) სამხედრო ცენტრი, რომელსაც კოორდინაცია უნდა გაეწია საერთო-სახალხო ამბოხისთვის. კონსტანტინე აფხაზი ბოლომდე ამ სამხედრო ცენტრს ხელმძღვანელობდა (ცენტრმა, რომელსაც ხშირად განმანთავისუფლებელ კომიტეტს უწოდებდნენ, მთელი საქართველო მოიცვა).

1922 წელს ხევსურეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და კონსტანტინე აფხაზის მეთაურობით მოეწყო აჯანყება. მართალია, რუსეთის ჯარმა აჯანყება ჩაახშო, მაგრამ თავადაც სერიოზული ზარალი განიცადა. ეს იყო ნიშანი ერთიანი ეროვნული ამბოხებისა და ქართველი ერის გამოფხიზლებისა.

გადაწყდა, აჯანყებულებს, პირველ რიგში, დაეკავებინათ თბილისი და განედევნათ რუსეთის ჯარი. ბოლშევიკების საგანგებო კომისია (ე.წ. ჩეკა) დიდხანს ეძებდა აჯანყების ხელმძღვანელებს. სტუდენტმა – კოტე მისაბიშვილმა სამხედრო ცენტრის მთელი შემადგენლობა გასცა.

1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს კონსტანტინე აფხაზი და მასთან ერთად სამხედრო ცენტრის კიდევ 14 წევრი. „ჩეკას“ კოლეგიის გადაწყვეტილებით, იმავე 1923 წლის 20 მაისს 15-ვე ქართველი დახვრიტეს; თაობებისთვის საამაყო ეს ღირსეული პიროვნებები, გენერლები – ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (51 წლის), ვარდენ წულუკიძე (57 წლის), როსტომ მუსხელიშვილი (35 წლის), პოლკოვნიკები – გიორგი ხიმშიაშვილი (31 წლის), ალექსანდრე მაჭავარიანი (51 წლის), ელიზბარ გულისაშვილი (32 წლის), როტმისტრები** – დიმიტრი ჩრდილელი (29 წლის), სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი (27 წლის), პორუჩიკები – ლევან კლიმაშვილი (26 წლის), ფარნაოზ ყარალაშვილი (24 წლის), ნიკოლოზ ზანდუკელი (39 წლის), სამხედრო ცენტრის წევრები – იასონ კერესელიძე (40 წლის), ივანე ქუთათელაძე (40 წლის), სიმონ ჭიბარძიშვილი (42 წლის).

„მე ვკვდები სიხარულით, რადგან საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანის ღირსი გავხვდი. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!“ – ეს იყო კონსტანტინე აფხაზის მიერ დახვრეტის წინ წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვები.

* – დღევანდელი სიღნაღის რაიონის სოფელი კარღანახი.

** – ქვეითი ჯარის კაპიტანი.



კონსტანტინე (კოტე) აფხაზი. 1896 წ.

აღდგომა გამოჩნეულია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. აღდგომის იმედი, კანას ღმერთი ყველას ჰპირდება, ამ დღეს რომელსაც მის სისხლად იძინს – აღაშინაები თითქოს სხვანაირები ხდებიან, ისვლიან უკეთესობისკენ, ებრძვიან ბოროტების იგი მხოლოდ ჩიშუალად ქსაულა.

აღდგომა დღეს საშობაო გამოსული წითელი „ოველი“ ტაქსისი თავდაბლად, მშვიდად ემსახურება სასაფლაოებისკენ მიმავალ კლიენტებს, თითქოს იგი არც არც დღესასწაულის მონაწილე; ებრძვიან სიუხუთს ნოვალური დასასრული, რისა დღის ბოლოს ტაქსისი ამიერი წითელი კვატსითა და პასკით თავდას აღნიშნავს აღდგომის დღესასწაულს სოფლის სასაფლაოზე. მისი ოქანი თუბა ეაა. იქნა, სწორად მისთვის უფრო აქვს მნიშვნელობა სიტყვა: „ქრისტი აღდგა! ქრისტი აღდგა!“

„მა იკაქლი ვა, ერთის შუბაღვით, არაფრით გამოჩნეული ახალბაჭდა, რომელსაც წაა და გრძობების ასეთ სწილში გადმოსვა უყვას“, – ამბობს 22 წლის იკაქლი არიშვილი. ის ქონაქსის „ბახი ბესტსაული“ 2022 წლის გამაჩვენებული.

აღდგომა

ირაკლი არიშვილი

მღვიძარას ხმა. დილის თავის ტკივილს, მღვიძარას ხმა ემატება და ამირანს, ლამისაა, საფეთქელი ასძვრეს, მიუხედავად იმისა, რომ ეგრევე ჩაუნყვიტა მობილურს ხმა.

ჩუმად ადგა საწოლიდან, თითქოს არ უნდოდა, ვინმე გაეღვიძებინა. იქვე, სკამზე, გუშინდელი გამზადებული ტანსაცმელი მოიმარჯვა და სააბაზანოში შეიპარა.

მონესრიგდა. მიუხედავად იმისა, რომ წვერი თითქმის არ ჰქონდა, მაინც ჩამოიტარა სახეზე „ბეზაპასნი“ და „ოდეკოლონიც“ მიისხა. ცოტა კი აენვა სახე, მაგრამ მიჩვეული იყო, ეგ არაფერია. სწრაფად ჩაიცვა ღვინისფერი, მოკლესახელოებიანი პერანგი, ოდნავ გახუნებული ხაკისფერი შარვალი და ეგაა. მზადაა.

– ქრისტი აღდგა, ჩემო ამირან დავიდოვიჩ! – ამაყად უთხრა სარკეში თავის თავს.

– ჭეშმარიტად! – უმაღ უპასუხა და გამოვიდა.

ეზოში, ნიშარაძეების გარაჟის წინ, ამირანს წითლად მოეღვარე „ოპელი“ ელოდა. ცოტა „კრილოზე“ კი აქვს ხელი შესავლები მაგრამ ეგ არაფერია.

„აბა, შენ იცი, ჩემო ბედაურო, დღესაც უნდა გაუძლო შენი და წითელი კვერცხების შედარებებს. აბა, ჩვენ ვიცით და ჩვენმა უღვაშმა, მაგრამ არც მე მაქვს უღვაში და ჭკუით თუ არ ვიქნები, აღარც შენ გექნება ბამპერი“, თავისთვის ჩაიბუტბუტა და საჭის წინ მოკალათდა.

დღევანდელი დღე ძალიან უყვარს ამირანს. უამრავი ხალხი მიდის და მოდის. ყველას თავისიანების სასაფლაოზე ეჩქარება. ისიც, როგორც ერთი ჩვეულებრივი ტაქსის მძღოლი, დაატრევს ამ ხალხს, ხან იქით, ხან აქეთ. დღესაც იმ იმედით გამოვიდა, რომ ბევრი კლიენტი ეყოლებოდა.

სატაქსაოდ სულ საბაგიროს მახლობლად დგას. მანდ ყოველთვის ბევრი ხალხი ირევა. ბევრი კი იჩალიჩა მაგ ადგილის დასატრევადა, მაგრამ სამწლიანი ბრძოლის მერე ძლივს ჩაიგდო ხელში.

– უფროსო, ქრისტი აღდგა!

– ჭეშმარიტად, ჩემო ბატონო! რით გემსახურო, აბა, მითხარი!

– შენი ჭირიმე, საჩხერის სასაფლაოებამდე რამდენს დამიფასებ?! მაგრამ, გეხვენები, ახლა მთლა იმდენსაც ნუ მამთხოვ, რამდენიც მამაჩემს მივახარჯე გასვენებაში!..



– რავა გეკადრება! ტაქსისტი ვარ, აფერისტი ხომ არა! წამო, თხუთმეტ ლარში აგიყვან!
 – რა ამბავია, შე კაცო, შარშან თორმეტად ავედი?!
 – გაძვირდა ბენზინი, თორე მე მეხალისება ფასების გაზრდა?
 – კაი, ხო, კაი... მაინც დღესასწაულია დღეს. წვევით საჩხერისკენ, მაგრამ მეორე „ატეკასთან“ ჩემები დაგვხვდებიან და ისინიც უნდა ჩვეისვათ!..

– არაა პრობლემა!
 დანიშნულების ადგილზე ჩაისვა კლიენტის ოჯახის წევრები. გზაში ისეთი არაფერი ხდებოდა, მანამ კლიენტის ცოლმა არ ატეხა ამბავი:

– რამინი, ბიჭო, ის ხუთლიტრიანი ბოცა არ წამოგვიღია, დევილუპეთ!
 – მეიცა, ქალო, ღვინო დამიტოვე სახლში ამ აღდგომა დღეს, შენი დედაც...?
 – რას იგინები, შენ ამოწყდი ერთ დღეს, ამ დღესასწაულზე გინება გაგონილა? ბოვშები მაინც მეირიდე! – შეუბრუნდა ცოლი ქმარს.
 – რა დავალევიწო, შე გამომტერებულო ქალო, ახლა მე იქ ან ანზორას, ან გურამას, ან ვინმეს, ვინც იქანა მოვა! დედაჩემის საფლავზე ჭიქა არ უნდა წავაქციო? მე მართლა შენი დედა ვატირე!
 – ბატონო, ოღონდ თქვენ ნუ იჩხუბებთ და მოვებრუნებ მანქანას, არაა დიდი ხანი მაინც, რაც წამოვედით!

– ეე, ამ კაცს ეცი პატივი, თორე მიგანვენდი შენც დედაჩემის გვერდით! ფუი! არ შემარგო აღდგომა!..
 როგორც იქნა, მიბრუნდა ამირანი უკან. ჩამოიტანეს ღვინო და გაქანდა ისევ საჩხერისკენ. ადგილზე მისულს კლიენტმა ჯიგრულად ჩამოართვა ხელი, შენ ყოფილხარ კაციო და ოცლარიანი ჩაუდო ხელში, თან ლოყაზეც კაცურად აკოცა.


სასაფლაოსთან ამირანი, ასე, თხუთმეტი თუ ოცი წუთი შეყოვნდა მხოლოდ. მერე ვიღაც მოხუცი ქალი და, სავარაუდოდ, მისი შვილიშვილი მივიდნენ. ჭიათურაში ჩასვლა უნდოდათ, მაგრამ სამყოფი ფული არ ჰქონდათ. ტაქსისტს ტყუილად იქ ყოფნა მაინც ეზარებოდა. მარტივად დათანხმდა მოხუც ბებოს შვიდ ლარსა და ლოცვაზე.

მთელი დღე ასე გაუჩერებლად იარა. ხან ნაგუთის სასაფლაოზე აიყვანა ოჯახი, ხან ნავარძეთში, ერთი კაცხშიც კი აიყვანა და იქ ნახევარი საათი ელოდა, სანამ როგორღაც არ გამოართვა იმ დალოცვილმა ფული მამამისს და მოუტანა მას. ბევრი იარა. ქანცი გასძვრა კიდეც, ეტყობოდა, მაგრამ არ იმჩნევდა. ალბათ, უღირდა შრომა.

სალამო ხანი იყო, როცა დაფიქრდა, შინ ხომ არ წავიდეო, როდესაც კიდევ ერთმა კლიენტმა მოუკაკუნა ფანჯარაზე. როგორც გაარკვია, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შუქრუთში უნდოდა ასვლა სასაფლაოზე, სადაც თავისი პატარა გოგოს საფლავზე უნდა გადაეგორებინათ ტაქსისტის „ოპელისავით“ წითელი კვერცხი.

– ისე, ამ აღდგომა დღეს მუშაობა ძალიან რთული უნდა იყოს, ხომ?
 ბოდიში, თქვენი სახელი არ ვიცი და...
 – მორცხვად იკითხა ახალგაზრდა მამაკაცმა.

– ამირანი, ჩემო ბატონო. მარტივი ამ ცხოვრებაში არაფერია. რას იზამ!.. დღეს მე ვმუშაობ, ხვალ შენ, ზეგ კიდე ვიღაც და ეგრე... არ ჩერდება ცხოვრება!..



– აბა, არ თქვა!.. ზოგს რა გასაჭირი ადევს თავზე, ვინ იცის... აგერ, ჩვენ... სულ რაღაც ორი კვირის დაბადებული იყო ჩვენი პატარა... ჩვენი მარიამი... მინას მივაბარეთ, ვერ ვუშველეთ... ვერც კი მოვეფერეთ... აი, ასე, უცებ გაგვიქრა!..

– ვახ... რას ამბობ! ძალიან ვწუხვარ, რა...

– ეხ, ბატონო ამირან. მგონი, მივეჩვიე კიდეც ამ ტკივილს და ეს კიდე უფრო მაღიზიანებს. უკვე მეოთხე წელია, ერთსა და იმავე საათზე ამოვდივართ ჩვენი გოგოს საფლავზე და ერთსა და იმავე დროს ვუგორებთ კვერცხს. მხოლოდ ესლა დაგვრჩენია.

– ისე, თქვენ ოჯახი გყავთ? – საუბარში ჩაერთო ქალბატონიც.

– კი, მყავს...

– მერე, აღდგომა დღეს რომ მუშაობთ, არ გეჩხუბებიან? არ უნდოდათ ნათესავების, ან ახლობლების საფლავებზე გასვლა?

– უკვე მიეჩვივნენ. თავიდან მიჭირდა მეც, მაგრამ ახლა უკვე აღარ. წლებმა თავისი ქნა. აი, ჩვენც მივედით.

– ნათია, მიდი, გადმოალაგე რა პარკები! მე გადავუხდი მანამდე.

– დალოდება ხომ არ გნებავთ?

– არა, ბატონო, ისედაც გაგინელეთ ოჯახთან მისვლის დრო. აი, ინებეთ და უღრმესი მადლობა. ღმერთმა სულ კარგ დღეებს მოგასწროთ!

ტაქსისტმა სევდანარევი ღიმილითა და ოდნავ ნალვლიანი მზერით მიაცილა ახალგაზრდა წყვილი სასაფლაომდე და ისევ გამობრუნდა უკან. გზაში ოცდაოთხსაათიან მარკეტთან გააჩერა, პასკა და შამპანური იყიდა. წითელი კვერცხები უკვე ჰქონდა. აი, იმ ბებომ დაუტოვა რამდენიმე, საჩხერიდან რომ შვიდ ლარად წამოიყვანა. ამირანი უკვე მზად იყო, სახლში დაბრუნებულიყო.

– ქრისტე აღდგა, საყვარელო! ქრისტე აღდგა, სალომე! ქრისტე აღდგა, მირიან! – ჭიშკრის შეღებისთანავე ხმამაღლა თქვა ამირანმა.

სათითაოდ დაუარა საფლავებს. კვერცხი გადააგორა, პასკა დადო. შამპანური მოსვა და სამივე საფლავზე ჯვრის ფორმით მოასხა. ეს იყო მისი სახლი და მისი ოჯახი.

მწუხრი ღამე იყო. ამირანი კი იჯდა სოფლის სასაფლაოზე და თავის ოჯახთან ერთად აღნიშნავდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

– ქრისტე აღდგა! ქრისტე აღდგა!..



გალაკტიონი იტევდა გალაკტიონს...

ნათია ჩუბინიძე

გაზონ ნოღარ ტაბიკასთან, დიდი გალაკტიონის კმისშვილთან საუბარი იმით დავიწყეთ, თუ რას განისდობდა პოეზიის მეფისთან „შახვადრისას“ მისი პირდაპირი შთამომავალი; ამასთან, თუ „უსაჩბავლი“ დიდი ბიძის დატოვებული მკადონული ავსოკრისტით.

ასე მივასუბა: „აკანდრის მიბრკენია რაიმე „პივილიზაცია“ და, რას მთავარი, არ მისდია ამ ბჭით სიჩაული. სხვა საკითხია ჩემით, როგორც გალაკტიონის კმისშვილი დანისტარსება. მათთვის მე, უპიკვალეს ყოვლისა, გალაკტიონის მამათინა ვარ, რას ბადავს კითხვათა რიბს. ეს ტანდასენა განსაკუთრებით მას შამდავ ბამოიკვათა, რას გალაკტიონზე საგი ნიბნი და მკავალი სტატიო თუ ინსტაკვიო დავბაჭდე“.

ნოღარ ტაბიკის*, თსუ-ს პროფასორის ყოფილი სტუდენტბისთვის მისი თითოეული სალუკსოო საათი პოეზიისული ზრდისა და დანსტატიბის ჯამბარისი სკოლა იყო; სნოგილი მასნიერის, მწარლისა და უბლისისთვის – ნოღარ ტაბიკის მონოლოგი კი, საბულისბო მობონებაბითა და მისეული პოეტური აქსანსტაბით, მადლიერბის ბამონსტულებია. მე მამონ ნოღარ ტაბიკის სტუდენტი ვიყავი.

პადაბობავს შორის მობლვარი სოსტა. გაზონი ნოღარ ტაბიკა თამბათა მობლვარია.

„ყველას თავისი გალაკტიონი ჰყავს!“

ჩემთვის გალაკტიონი, როგორც პოეტი და პიროვნება, განუყოფელია. მასთან მრავალი წელი ვცხოვრობდი და ოჯახურ გარემოში, ყოველდღიურ ყოფაში მინახავს, როგორ ეშვებოდა ღმერთი ოლიმპოდან და ჩვეულებრივი მოკვდავის არცთუ სასურველ სახეს იღებდა.

ყოველივე ეს ნამდვილად ქმნიდა ნიადაგს გაორებისთვის. თავდაპირველად გამიჭირდა „ორსახოვანის“ მონოლითად წარმოდგენა. ის არა მხოლოდ პოეზიაში, ცხოვრებაშიც განუმეორებელი და მაღალი იყო. ნუ გამოვედგენებით წერილმანებს. ვაი, მას, ვინც ხეებს მიღმა ტყეს ვერ ხედავს...

მისი ძმა, მამაჩემი პროკლე ტაბიძე წერდა: „დიდებულია იგი, როცა მაღლა დაფრენს, მხოლოდ სასაცილოა, როცა ძირს ეშვება და ჩვეულებრივი ადამიანის სახეს იღებს“.

ჩემს კაბინეტს გალაკტიონის არაერთი პორტრეტი ამშვენებს, აქვეა ბიუსტი, ნილაბი...

... არა, არ ვლოცულობ, უფრო ხშირად თვალს ვარიდებ, მაგრამ ვგრძნობ მის გამჭოლ მზერას, უფრო მეტიც, მეჩვენება, რომ მისი სული დროდადრო ჩემთან ავანებს.

რას განვიცდი პოეტების მეფესთან „შეხვედრისას?“

ყრყოლა მივლის, როცა გალაკტიონის დღიურებს ვფურცლავ, ავტოგრაფებს დავცქერი, ჩანახატებს ვათვალთვრებ, როცა მის ტელეფონსა და სხვა ნივთებს ვეხები...

გალაკტიონისთვის ნიშანდობლივია პირველი ვარიანტის უფრაში ჩაკეტვა, რათა იგი შემდეგ და შემდეგ ყოველმხრივ გააშალაშინოს, სასურველ კონდიციამდე მიიყვანოს. ნაკლებად მაგონდება ისეთი შემთხვევები, მე რომ ლექსის „პრემიერას“ დავსწრებოდე. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, იყო. ერთხელ გალაკტიონმა ჩემი პატარა ოთახის კარი შემოაღო და გამომინოდა ფურცელი, ცინცხალი ლექსით:

„ნეტავი ახლა რად არ ვარ ბავშვი,
ჩემი ქალების ვქროდე ამბავში
ფაზისდა ზედა.
გარშემო ტყეა და გუგუნია,
„გამიცვივდები, ო, გატუნია“,
მეძახდეს დედა“...**

ხშირად, როცა გალაკტიონი ბახუსთან იყო წილნაყარი, მე მომამურებდა-ხოლმე. ჩამოჯდებოდა საწოლზე (რატომღაც არავითარ შემთხვევაში სკამზე) და ინყებოდა 1001 ლამის საინტერესო ეპოსების გადმოძლა, იხსენებდა, ნაირგვარ შემთხვევებს, ეპიზოდებს. გავიდოდა თუ არა ოთახიდან, იმნამსვე ვაფიქსირებდი მონათხრობს.



ნოღარ ტაბიკა და ნათია ჩუბინიძე

* – ნოღარ ტაბიკა ბარდნიცვალა 2016 წელს, 85 წლის ასაკში.
** – ეს ლექსის პირველი სტროფია.

დიდი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „ვერც რუსთაველი, ვერც ვაჟა გალაკტიონის უფაქიზეს ლირიკურ შედეგებს ვერ დასწერდნენ. მე, პირადად, ასე თუ ისე, ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ, გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება“.

გალაკტიონის პოეზია სულის მუსიკაა, ზეციდან მონაბერი, განუმეორებელი და მომაჯადოებელი; ამიტომაც ვერ დარჩები გულგრილი. მათში, შეიძლება, ბევრმა ვერ დალანდოს ის, რასაც მე ვხედავ. გთხოვთ, სწორად გამიგოთ, თითოეულ მკითხველს ხომ თავისი გალაკტიონი ჰყავს.

„როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი...“

გალაკტიონი, როგორც მგოსანი, ბედის ნებიერა გახლავთ. იგი თავიდანვე ყურადღების ცენტრში მოექცა. მისმა პირველმა წიგნმა დიდი მოწონება დაიმსახურა, ხოლო მეორემ ვირტუოზისა და ქართული ლირიკის განმაახლებლის სახელი მოუხვეჭა.

1921 წელს პოეტების მეფედ აირჩიეს.



გალაკტიონი

გალაკტიონი პირველი იყო ქართველთა შორის, ვისაც სახალხო პოეტის წოდება მიენიჭა (ერთადერთი ატარებდა ამ ტიტულს მთელი სიცოცხლე).

გალაკტიონი პირველი იყო ქართველ მწერალთა შორის, ვინც უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო – ლენინის ორდენი დაიმსახურა. გალაკტიონი პირველი იყო ქართველ მწერალთა შორის, ვინც აკადემიკოსად აირჩიეს და ა.შ. და ა. შ.

და მაინც, პოეტი უკმაყოფილო იყო.

მავანი და მავანი უფრო ახერხებდა წიგნის გამოცემას, მავანი და მავანი უფრო ხშირად მოგზაურობდა საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ... ეს აღიზიანებდა პოეტთა მეფეს.

გალაკტიონი გემოდღვრავს: არ კმარა ჩემი ნიჭის აღიარება, აუცილებელია შესაბამისი მოპყრობაც.

ფაქტია, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში გარკვეულმა ორგანიზაციებმაც მისადმი გულგრილი დამოკიდებულება გამოავლინეს (სახელმწიფო პრემიაზე უარის თქმა ამის ერთ-ერთი დადასტურებაა).

თვითონ გალაკტიონს კი კარგად ჰქონდა გააზრებული თავისი ადგილი, გამორჩეულობა. აკი ბრძანებს:

„როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“...

გალაკტიონს შეეძლო, თოვლის ფიფქიდან ზვავი

აეგორებინა, შეეძლო, ზოგჯერ უმართებულოდაც მოქცეოდა სხვებს, ხოლო ყველას როდი შეეძლო, მის საქციელში გენიოსის „ახირებულობა“ დაენახა და არა პირადი მტრობა. მას ძალზე ჩვეულებრივ მოკვდავად აღიქვამდნენ და, დიდი საქმისთვის მომართულს, კანცელარიული იწილო-ბინილოთი ისტუმრებდნენ. ამიტომაც ბობოქრობდა ღმერთ-კაცი, ამიტომაც ივსებოდა მისი დღიურები სევდიანი ჩანანერებითა თუ სკაბრეზული* გამონათქვამებით.

და მაინც: ხალხი, უჩინონი, და არა მხოლოდ ისინი, აღმერთებდნენ გალას. ახალგაზრდები რიდითა და მღელვარებით მიჰყვებოდნენ მას შორიანლო!..

გალაკტიონი თანამეცხედრისათვის „გალა, დიდი ბავშვი“ იყო, მკითხველისათვის – გალაკტიონი, ერისათვის – პოეტების მეფე, შთამომავლებისათვის – „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“; ჩემთვის კი გალაკტიონი უპირატესად მგოსანი იყო, შემდეგ კი – ბიძა.

ღიას, იყო ერთადერთი და განუმეორებელი, ყველასთვის ცნობილი, და მაინც, შეუცნობელი, უღარიბესი და მაინც, უმდიდრესი, რადგან გალაკტიონი იტევდა გალაკტიონს.

* - უსამსი, უწმინდური.

„წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული“...

კოსმოპოლიტიური აზროვნების მომძლავრება, მართლაც, საგანგაშოა... ყველაზე საშიში ის არის, რომ ზოგი დემოკრატიზმით ნიღბავს ამ ზრახვებს, ზოგიც – ინტერნაციონალიზმით...

შეუძლებელია ენდო კაცს, რომელსაც საკუთარი დედა არ უყვარს. მას ყოველ წამს შეუძლია, მუხანათურად ჩაგცეს მახვილი.

მე არაფერი მწამს „მსოფლიო მოქალაქისა“. ვისაც ღრმად არ აქვს გადგმული ფესვები მშობლიურ ნიადაგში, მისგან გენიალურს ნურაფერს მოელით, რაგინდ ნიჭიერიც არ უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, კოსმოპოლიტიზმი არ უნდა გავავიგოთ საკაცობრიო მიღწევების გათავისებასთან. ნაღდი მამულიშვილი ის არის, ვისაც სხვათა პატრიოტიზმის სწამს. შეუძლებელია, დიდი სივრცეები დაიპყრო, თუ მსოფლიო მიღწევებს არ იცნობ.

გალაკტიონი ამიტომაც პლანეტის უპირველესი შვილთაგანი, რომ ბაირონს, ჰაინეს, ვერლენს, რილკეს, ბლოკს მხრებზე ეყრდნობა, მან საფუძვლიანად გაითავისა სხვათა მონაპოვრები.

და მაინც, ყველაფერი ქართულს შეუნყვილა, ივერიის ბაღში ევროპული ყვავილები ახარა.

P.S. „მე თურმე მთელი დედამიწის ზურგზე არ შემოძლია არავისთან გულწრფელი საუბარი...“

დღეს შესაძლებელია 200 ადამიანი ვნახო და დაველაპარაკო, შეიძლება, გული გადავუხსნა კიდევ წუთის გავლენის ქვეშ და მაინც მართო ვარ“, – წუხდა ერთადერთი და განუმეორებელი გალაკტიონი.

მე ახლა გალაკტიონის სახლ-მუზეუმის თანამშრომლად ვითვლები. **ხშირად ვარ მარჯანიშვილის ქუჩაზე, იმ ბინაში, სადაც გალაკტიონთან ერთად ჩემი სიყმანვილის საუკეთესო წლები გავატარე. იმ ოთახშიც ხშირად ვზივარ, სადაც 12 წელი მეძინა და, თქვენ წარმოიდგინეთ, უცხოდ ვგრძნობ თავს. ბუნებრივია, არ არის ის ინტიმი, რაც მაშინ იყო და არც ველი კარზე გალაკტიონის დაკაკუნებას...**



გალაკტიონი. ავტოპორტრეტი

მართლაც რომ, ძალზე საინტერესოა დიდი გალაკტიონის ძმისწულისა და მემატინის ხედვა, მისეული შეფასებები.

გალაკტიონი... დააბიჯებდა ვეებერთელა ბეჭებითა და ლამაზი ფიქრებით, „დღიური პროზითა“ და პოეზიით დახუნძლული... ცარიელი ჯიბითა და სიყვარულით სავსე გულით, რადგან „უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“.

... ცვიოდნენ „იისფერი თოვლის“ ფანტელები“... ჭკნებოდნენ, ფერმკრთალდებოდნენ „შემოდგომის ველურ ჰანგში“ ყვითელი ფოთლები...“სიო არხევდა და ატოკებდა“ აგაზაფხულებულ იასამანს.

ქარს კი... ქარს ნამქერივით მიჰქონდა სიმღერა უიღბლო სიყვარულისა... „უსულდგმულო დღეები ჩნდებოდა და ქვესკნელდებოდა“...

დააბიჯებდა ცარიელი ჯიბითა და სიყვარულით სავსე გულით: „პალტოც დამიძველდა! თუ თავი ჩემი თან მახლავს, ღარიბად არ ვიხსენები“...

დიახ, დააბიჯებდა უღარიბესი, მაგრამ მაინც უმდიდრესი, რადგან გალაკტიონი იტყვდა გალაკტიონს...

აფხაზეთი და... კინოსივრცე

თვალწარმტაცი მაღალი მთების, თბილი ზღვის, კაშკაშა მზისა და რბილი სუბტროპიკული კლიმატის გამო აფხაზეთში ფილმების გადაღება შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს. მოცემულ რეალობაში საჭირო დეკორაციას ცვლის ამ კუთხის შეუდარებელი ლანდშაფტი.

„თუ ჩვენთან ფილმს იღებ ნოემბერში, მაშინაც ზღვა შედარებით თბილია, მთები კი თოვლითაა დაფარული. მარტივად მოახერხებ, აქ შექმნა აფრიკაც და ყარაყუმიც,“ – ამბობს აფხაზი კინორეჟისორი ვიარჩესლავ აბლოთია.

ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა კინო აფხაზეთს, ამ მართლაც რომ, დალოცვილ კუთხეს, ფილმისთვის მუდამ ბუნებრივ და ძალზე ხელსაყრელ გადასაღებ მოედნად მიიჩნევდა.

მაყურებელთა არაერთი თაობისთვის აფხაზეთში შეიქმნა უამრავი ცნობილი და საყვარელი ფილმი.

აღსანიშნავია, რომ პირველი საბჭოთა მუსიკალური კინოკომედია, გრიგორი ალექსანდროვის კლასიკადექცეული **„მხიარული ყმაწვილები“** (მოსფილმის – „Весёлые ребята“), გადაიღეს აფხაზეთში (კერძოდ, გაგრაში), 1934 წელს. ვენეციის კინოფესტივალზე პრემირებული ეს ფილმი მსოფლიოს საუკეთესო ფილმების ათეულში შევიდა.

აფხაზეთშია გადაღებული ქართული მხატვრული ფილმები: **„გაზაფხული საკენში“** (1950 წ. რეჟისორი – ნიკოლოზ სანიშვილი, გიორგი გულიას მოთხრობის მიხედვით), **„მე ვხედავ მზეს“** (1965 წ.

რეჟისორი – ლანა ლოლობერიძე, ნოდარ დუმბაძის ამავე რომანის სახელწოდების მიხედვით),

„როცა აყვავდა ნუში“ (1972 წ. რეჟისორი – ლანა ლოლობერიძე), **„აკაციის ყვავილობა“**

(1974 წ. რეჟისორი – რამაზ შარაბიძე), **„რაჭა – ჩემი სიყვარული“** (1977 წ. რეჟისორები

თემურ ფალავანდიშვილი, იოზეფ მედევედი), **„დათა თუთაშხია“** (1978 წ. რეჟისორები – გიგა

ლორთქიფანიძე, გიზო გაბესკირია), **„ჩიორა“** (1984 წ. რეჟისორები – ნატალია ნენოვა, გენო

წულაია)... სატელევიზიო ფილმი **„სიყვარული, ივერია და...“** (1978 წ. რეჟისორი – ზაალ კაკაბაძე).

გაგრა, ბიჭვინთა, მაღალმთიანი აფხაზეთი, ზღვის სანაპირო და ჩანჩქერი – ეს ის სივრცეა, სადაც ფილმებს იღებდნენ. ზოგი მათგანის თემა უშუალოდ აფხაზეთი იყო.


რეჟისორებს აფხაზეთში იზიდავდა ამ კუთხის კოლორიტული ბუნებაც, ასევე,

ადგილობრივთა ყოფაც; აქ გადაღებულია სხვა ფილმებიც: შოთა მანაგაძის **„ვინ შეკაზმავს ცხენს“** (1963 წ.), თამაზ მელიავას **„მთვარის მოტაცება“** (1973 წ.) და გუგული მგელაძის **„ჰელადოსი“** (1979 წ.).

...ფილმი „ჩიორა“ ახალგაზრდა შეყვარებულებზეა, რომლებიც მშობლებს გაეპარნენ. იგი გადაღებულია გაგრაში.



„მე ვხედავ მზეს“. ნატია – ლილა ყიფიანი, სოსოია – გელა ჭიჭინაძე. 1965 წ.



კინემატოგრაფისტებისთვის ძალზე მიმზიდველი იყო ბიჭვინთა, სადაც ლანა ლოლობერიძემ შექმნა გასული საუკუნის 70-იან წლებში ასე პოპულარული „როცა აყვავდა ნუში“ (1973 წელს ფილმი დაჯილდოვდა საკავშირო კინოფესტივალის პრემიით, როგორც საუკეთესო რეჟოსორული ნამუშევარი).

ყველასთვის ცნობილი თემურ ფალავანდიშვილის ფილმი „რაჭა, ჩემი სიყვარული“, სადაც მოქმედება სლოვაკეთსა და რაჭაში ხდება, სინამდვილეში ბზიფის ხეობაშია გადაღებული. კადრში ჩანს ზღვაც და ქალაქიც (კერძოდ, ბესლეთის ისტორიული ხიდი, თამარის ხიდის სახელით ცნობილი).

აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ აფხაზეთის თემა კინემატოგრაფისტებისთვის ძალზე აქტუალური გახდა; აფხაზეთის თემაზეა გიორგი ოვაშვილის ფილმები – „გალმა ნაპირი“ (2009 წ. გადაღებულია აჭარაში, სხვადასხვა ნომინაციაში ფილმი დაჯილდოვდა 30-ზე მეტ საერთაშორისო კინოფესტივალზე) და „სიმინდის კუნძული“ (2014 წ. მის შესაქმნელად ტყიბულის წყალსაცავზე ხელოვნური კუნძულიც კი მოაწყვეს).




„როცა აყვავდა ნუში“. ზურა – ზურა ყიფშიძე

რომლის ბიუჯეტმა 1.5 მლნ ევრო შეადგინა, 6 ქვეყნის – საქართველოს, გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხეთის, უნგრეთისა და ყაზახეთის ერთობლივი კინონაწარმოებია. არანაკლებ წარმატებული აღმოჩნდა ზაზა ურუშაძის „მანდარინები“, რომელიც ოსკარზეც იყო წარდგენილი; 2013 წ. უცხოენოვან ფილმებს შორის ამ ფილმმა „ოქროს გლობუსის“ ნომინაციაში გაიმარჯვა; აღსანიშნავია რუსუდან გლურჯიძის „სხვისი სახლიც“ (2016 წ.), კარლოვი ვარის ფესტივალზე დაჯილდოებული ფილმი.

„ბუნებრივია, ავტორებს უნევთ, მოიძიონ სხვადასხვა ადგილი

საქართველოში, მიმსგავსებული აფხაზეთის ბუნებასთან. ასეთი კი არის აჭარა და სამეგრელო; რეჟისორები მანამ ვერ დაუბრუნდებიან ინტელექტუალურ კინოს, ინტელექტუალურ დრამას, სანამ არ ამონურავენ იმ მტკივნეულ თემებს, რომელიც ბოლო 30 წლის განმავლობაში დაგროვდა: ეს არის აფხაზეთის ტრაგედია, ესაა გასული საუკუნის 90-იანი წლების უმძიმესი პერიოდი“, – ამბობს კინომცოდნე ლელა ოჩიაური.

უკანასკნელი წლების ერთ-ერთი საინტერესო პროექტია – პირველი ქართულ-აფხაზური სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმი „ანიხა“, რაც ქართულად „სალოცავს“ ნიშნავს. როგორც აღნიშნავს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ზურაბ შენგელია, მომავალშიცაა დაგეგმილი მსგავსი ხასიათის ფილმების გადაღება. „ანიხა“ გვიამბობს აფხაზური ეთნო-სივრცის ტრადიციებზე, ურთიერთობებზე. აფხაზეთში გადაღებულ ამ ფილმში ქართველებიც მონაწილეობენ. სცენარის ავტორია აფხაზი მწერალი დაურ ნაჭყებია, რეჟისორი – ვიაჩესლავ აბლოთია. ფილმს ახმოვანებს აფხაზი მსახიობი კიასოუ ხაგბა, ქართული ტიტრები კი მას დაედო უკვე თბილისში.



არნოლდ რიქოზაჰა – დაბადებიდან 125 წელი

ისევ ვფუხსლავთ ღვაწლმოსილი მესნიერისა და გამორჩეული პიროვნების – არნოლდ რიქოზაჰას რადიკალიზაციით გამოწვეულ, ქართული ხალხის ეროვნული საუხის – „ქართული ენის განმატავი ლექსიკონის“ (რეპროდუქციის) ერთ-ერთ ნიშნს. ამჯერად გავსწავლით არნოლდ რიქოზაჰას სწავლილი რეპროდუქციის ერთ-ერთ ნიშნიდან ამოკრებილ ასო-ბგერა „ან“-ის სალქაულ სიტყვებს.

„გადიქვალნი წესი: ერთი თოგა მოდის, მეორე – მიდის... ხალხი უკვდავია, უკვდავია მისი ენას, თუ ხალხმა მას ზურგი არ შაქსია... ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნავს“, – ენისა და ენის ფუნქცია ამ სიტყვებით განსაზღვრა არნოლდ რიქოზაჰამ, რომელიც განსაკუთრებული მოვლენაა ქართული მესნიერების ისტორიაში.

არნოლდ რიქოზაჰას დაბადებიდან 125 წელი შესრულდა. 1922 წელს არნოლდ რიქოზაჰასთან ერთად თსუ-ს პირველი გამოშვების კურსდამთავრებულთა შორის იყვნენ მომავალში სხვა სახელოვანი მესნიერები: სიმონ ანაშვილი, ვაჰრაჰ თოფჩიანი, შალვა ამიანაშვილი... 90 წლის წინათ, 1933 წელს თსუ-ში სწორედ არნოლდ რიქოზაჰას ინიციატივით დააარსდა მსოფლიოში პირველი ქვეყნიერება ენათა ფაკულტეტი.

ფილოლოგიურ მესნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი არნოლდ რიქოზაჰა იყო საქართველოს მესნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელიც.

• მ •

მაზზაკუნა – (კუთხ.) ბოლოქანქარა (ჩიტი გრძელი კუდიტ)

მაიმახი – მახინჯი, უშნო ადამიანი

მაკვილაკი – ენამწარე, აგენა

მანჯიკი – მომცრო მარხილი (საბა)

მაჟარი – ძველებური თოფი

მარეკი – (ძვ.) ნადირის მომრეკი



მაზზაკუნა – ბოლოქანქარა

მარმაში – (ძვ.) თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი

მარლი – ულამაზო თეთრი (იტყვიან თვალეზზე); თვალთეთრი ადამიანი

მარჩხი – (1) ქროლა, ქრელი (თვალეზი); (2) თხელი, არაღრმა

მატიტელა – ერთნლოვანი ბალახი პატარ-პატარა ყვავილებით; ისხამს სამწახნაგოვან ნაყოფს

მალლარი – მაღალ ხეზე ასული ვაზი

მაცილი – ეშმაკი, მაცდური



მაჯიკი – მომცრო მარხილი

მდადი, მდადე – (ძვ.) პატარძლის მაყარი ქალი

მეკოდე – ვისაც ფშავ-ხევსურეთში სუფრაზე ღვინო, არაყი და ლუდი აბარია

მელეღვია – იგივე, კვირიონი (პატარა ჩიტი)

მემთე – (მემთისა) ვინც ზაფხულობით საქონელს მიჰყვება მთაში

მერეხი – თავსხმა წვიმა

მესკია – პატარა ჩიტი

მეფიონი – მეფე მაყრებითურთ

მელვინეთუხუცესი – (ისტ.) ძველად ღვინის გადასახადის

უმადლესი მეთვალყურე საქართველოში

მეჩიტია – ფრინველი, რომელიც ჩიტებით იკვებება

მეჭურჭლეთუხუცესი – ერთ-ერთი დიდი მოხელე ძველ საქართველოში –

სახელმწიფო საქურჭლის (სალაროს, საგანძურის) გამგე



მატიტელა – ერთნლოვანი ბალახი ყვავილებით

მეხეური – ფუტკრის მომშენებელი

მზებუდობა – ზაფხულის მზებუდობა – ყველაზე გრძელი დღითა და ყველაზე მოკლე ღამით (21-22 ივნისი); ზამთრის მზებუდობა – ყველაზე გრძელი ღამითა და ყველაზე მოკლე დღით (21-22 დეკემბერი)

მზენვია – პატარა ფრინველი; ცხოვრობს ნყალსატევეების მიდამოებში

მზვარე – მზიანი, უჩრდილო ადგილი



მესაური – ფუტკრის მომშენებელი



მურყვაჲი – სვანური ციხე-კოშკი

მზისყური – მზიანი, მაგრამ მყუდრო ადგილი

მთიები – ცისკრის ვარსკვლავი

მიზრაფი – თხელი ფირფიტა თარის (სიმებიანი საკრავი) დასაკრავად

მიკვირია – ვისაც ყველაფერი უკვირს, იგივე, მატაოცი

მოენე – ტყვე, რომლისგანაც შეიძლება საჭირო ცნობების მიღება

მოქონილი – სახელდახელოდ, უხეიროდ ამენებული შენობა

მოშანდაკებული – მოსწორებული მიწის ზედაპირი

მონალმართე – ვისაც ნალმართად მიჰყავს საქმე; კეთილისმოქმედი

მსხმილი – ბუზისა და ზოგი სხვა მწერის კვერცხი

მუდო – თხუნელა

მუზმუზელა – ქვეშქვეშა, ეშმაკი

მურდალი – ბინძური, უსუფთაო

მურკლი – ფქვილის პატარ-პატარა კუმტები ცომში, ფაფაში, მათარაში...



მუტრიბი – მომღერალი, მოცეკვაჲი



მუშაითი – თოკზე მოსიარულე ჯამბაზი

მურყვაჲი – სვანური ციხე-კოშკი

მუტრიბი – (ძვ.) მომღერალი, მოცეკვავე

მუშაითი – (ძვ.) თოკზე მოსიარულე ჯამბაზი

მუშკ-ამბარი – სურნელოვანი ნივთიერებები (იხმარება მედიცინაში, პარფიუმერიაში)

მნდე – (ძვ.) ღვინის დამსხმელი, მერიქიფე

მსცე – (ძვ.) ჭალარა (თმა)

ყველანი, რომელთაც არნოდ ჩიქობავას ლაქსიანი და გამოკვლავი მოუსმენიათ, დღემდე აღფრთოვანებული იხსენებენ, რომ არანახული გზებით შარავულ უზუსტეს სიზუსტეს გამოიყენებდნენ, მისნაირი ელვანდური ქართულით მოსაუბრა სხვა ქნელად თუ მოიქცნებოდნენ. ჰუმბოლდტის სახელობის ბავლინის უნივერსიტეტის საპასუხო დოქტორი, დიდი ბრიტანეთის საგარეო ურთიერთობების საზოგადოების საპასუხო წევრი, ივანე ჯავახიშვილისა და მიხეილ ლომონოსოვის სახელობის, სააკიბოვლოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, სააკიბოვლოს, დაღესტნის, აფხაზეთისა და ჩიჩნეთ-ინგუშეთის მასწავლებლის დამსახურებული მოღვაწე – არნოდ ჩიქობავა იყო მალაი სულიერი კონსტიტუციის ადამიანი, იმ მასშტაბის პიროვნება და მასწავლებელი, რომელმაც მუდამ ბავკი უნდა ითქვას და დანიეროს; ის „სახელმწიფო ქასი იყო... მან სააკიბოვლოს დაუბრუნა კულტურული ჰეგემონია ქავკასიაში“ (პროფანური ნათელა ქუთალია), „იგი წასწავლის დიდ ქასეგას ჰეგემად და მომავლის მოქალაქეს იყო“ (პროფანური გურა ქვარცხელია).

მის თანამედროვეობებთან არაერთხელ აღინიშნა, რომ XIX ს.-დან მოყოლებული, ილიასა და იაკობის შემდეგ, იხვიამად თუ მოიქცნებანა ადამიანი, რომელსაც არნოდ ჩიქობავას მასშტაბის ღვანლი ჰქონდას ქვეყნის წინაშე.

ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი რეალური რეპრეზენტანტი „ბახათაბი შენთვის“ ამჯერადაც ვახდენს ვახანაგით ყველაფერს. სწორედ ამ მიზნითაა მწერალმა და საზოგადოებრივ მოღვაწემ ქატილ შენთვამ (1922-2007 წ.წ.) ეს სიტყვა წარმოთქვა ჰინდუსტონის უნივერსიტეტის (აშშ) ქატილშენთვამის წინაშე. მიმართვა იწყება, ერთი შეხედვით, მოულოდნელი, მაგრამ ამ შემთხვევაში დაახლოებითაა იგივენიერი იუმორითა და ასეთი უსაფუძვლო რეპრეზენტანტი: „ძვირფასო ქატილშენთვამებო, გირჩევთ, ისარგებლოთ მზის დასასრული“

ქატილშენთვამის მწერლის სურვილი, გაუფრთხილდნენ ახალგაზრდები ერთმანეთს, დაუზავდნენ ღრს, რუსა უყვარს, გაიხანგებოდნენ იმ სივსაში ყოფნა, სადას პატივგან, დაქლიონ სხოვრების სიტულა, რომლის ღმერთისა ან დახანისაღი ჩვენად გულსხომოს. შენთვამის დახანგებანი მქატილშენთვამის მიერ ჩვენს სიტულა რამოწერილი სასარგებლო რეპრეზენტანტი: „არ დაქარგონ ღრს გომასა და შურა“, „ომგანეფი გომღმერთს ქალსით“, „უნდა ისაქონ მაშინას, რუსა მისაღი მთხის მავთი ამისთვის სხვა სივსა არ გაიხანგით“, „სრუს ხნით ისხოვრენ მისქოვში, მაგრამ დატოვონ იგი, ვიდრე ეს ქალაქი გააუხევათ“... სხვა „რეპრეზენტანტი“ წერილში გახსნობით.

„არასოდეს დაუზავდეთ მას, ვინც გულგრილია თქვენი გულის მიმართ“

კურბ შენთვამი

რუსულიდან თარგმნა ნანა მსხილაძე

ძვირფასო კურსდამთავრებულებო, გირჩევთ, ისარგებლოთ მზისდამცავი კრემებით! მე რომ დიღემის წინაშე ვიყო, სამომავლოდ მოგცეთ მხოლოდ ერთი დარიგება, ზუსტად ვიცი, რასაც გირჩევდით: ესაა მზისგან დამცავი კრემები. რა ხანია, მეცნიერებმა დაადგინეს, რამდენად სასარგებლოა ეს კოსმეტიკური საცხი. და ეს მაშინ, როცა ყველა დანარჩენი ჩემი რეკომენდაცია, გამომდინარე მხოლოდ საკუთარი გამოცდილებიდან, ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად საფუძველს მოკლებულია. და მაინც მსურს, ჩემი რამდენიმე შეხედულება გაგიზიაროთ.

დატკბით საკუთარი ახალგაზრდული წლების სილამაზით; რადგანაც, თუ ცხოვრებაზე განწყობილი იქნებით, თვალსა და ხელს შუა გაღებული დრო ვერაფრით გაგანებოვრებთ. მერწმუნეთ, როცა ოციოდე წლის შემდეგ დახედავთ თქვენს ფოტოსურათებს, დაგეუფლებათ თქვენთვის სრულიად უცხო და გაუგებარი განცდა. და გაიფიქრებთ: თურმე რა შესაძლებლობების წინაშე იდექით და ვერ გამოიყენეთ, თურმე რა ზღაპრული სივრცე იშლებოდა მაშინ თქვენთვის! დღეს ამის გაგება გაგიჭირდებათ! დამშვიდდით, სულაც არ იწონით იმდენს, რამდენიც გგონიათ.

არ იღარდოთ მომავლის გამო, თუმცა, რატომაც არა, იღარდეთ! ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ ეს შფოთვა დაახლოებით საღვთი რეზინის დახმარებით ალგებრული განტოლების ამოხსნის მცდელობასავითაა. ყველაზე დიდი უსიამოვნებანი, რომელიც კი ცხოვრებაში ჩვეულებრივ არსებობს და რომელიც, მაგალითად, მოულოდნელად გადაგხდებათ თავს ერთ-ერთ სადაგ სამშაბათს, ვთქვათ, საღამოს 4 საათზე, გახსოვდეთ: არასოდეს აგიმღვრევთ ახალგაზრდულ და მოუსვენარ გონებას.

შეეცადეთ, ყოველდღიურად ისეთი საქმიდან დადოთ შედეგი, რაც გაშინებთ! ყოველდღიურად გაიხეხეთ კბილები! იმღერეთ ბევრი! გაუფრთხილდით სხვების გულებს! არასოდეს დაუზავდეთ მას, ვინც გულგრილია თქვენი გულის მიმართ!

ბოლმასა და შურზე არ ღირს დროის დაკარგვა. ზოგჯერ თქვენ დანინაურდებით, ზოგჯერაც თქვენ აღმოჩნდებით ვიღაცის უკან. სრბოლა დაუსრულებელია და საბოლოოდ დარწმუნდებით, რომ ეს ფაცა-ფუცი მაინც საკუთარი თავის გამოცდაა.



მუდამ გახსოვდეთ თითოეული კომპლიმენტი, რომელიც კი ოდესმე მიგიღიათ ან მომავალში დაიმსახურებთ; მაგრამ ყოველთვის დაივიწყეთ წყენა და ბოლმა, შეურაცხყოფაც; და თუ ამას დაძლეეთ, მეც გამიზიარეთ ამ მიღწევის შესახებ, საკუთარ თავზე გამარჯვების ეს ამბავი.

სათუთად შეინახეთ ძველი სასიყვარულო ბარათები, მაგრამ თავიდან მოიშორეთ ყველანაირი საბანკო ამონაწერი.

დროდადრო გაიმართეთ, გასწორდით წელში!

არ დაიდანაშაულოთ თავი მაშინ, როცა არ იცით, როგორ მოერგოთ ცხოვრებას. ყველაზე საინტერესო ადამიანებსაც კი, ვისაც მე შევხვდებოვარ, 22 წლის ასაკში წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რა გზით სურდათ ცხოვრების გაგრძელება. იმასაც გეტყვით, რომ მათ შორის ყველაზე გამორჩეულებმაც, რომლებმაც უკვე 40-ს გადააბიჯეს, ეს აქამდეც არ იციან. მიიღეთ და გაიმდიდრეთ ორგანიზმი კალციტით, გაუფრთხილდით მუხლებს. ისინი ყველაზე მეტად მაშინ დაგჭირდებათ, როცა გიმტყუნებთ სახსრები.

შეიძლება, დაქორწინდეთ, შესაძლოა, არა. შეიძლება, გეყოლოთ შვილები, შესაძლოა, არა. შეიძლება, განქორწინდეთ 40 წლის ასაკში, მაგრამ, შესაძლოა, ქორწინების 75 წლის თავზეც გატაცებით დაბზრივდეთ მხიარულ საცეკვაო ჰანგებზე.

რა ნაბიჯიც არ უნდა გადადგათ, არც თავი მოიწონოთ, და არც დაიდანაშაულოთ საკუთარი თავი. თქვენი არჩევანი, თითოეული ჩვენგანის მსგავსად, სანახევროდ ბედისწერის ხელშია.

იცეკვეთ მაშინაც, როცა მისაღები ოთახის მეტი ამისთვის სხვა სივრცე არ გაგაჩნიათ. და გთხოვთ, არ იკითხოთ ჟურნალები ლამაზი ცხოვრების შესახებ. ეს პუბლიკაციები დაგაპირისპირებთ საკუთარ თავთან, შეგზარდებათ იგი.

იყავით კეთილმოსურნენი დებისა და ძმების მიმართ. ეს მუდამ საუკეთესო კავშირია წარსულთან და იმ მომავალთანაც, ვის გვერდითაც, უკეთეს შემთხვევაში, ხვალ აღმოჩნდებით. და რაც უფრო მოგემატებათ წლები, ახალგაზრდობის დროინდელი მეგობრები ბევრად საჭირონი გახდებიან თქვენთვის.

ცოტა ხნით იცხოვრეთ მოსკოვში, მაგრამ დატოვეთ იგი, ვიდრე ეს ქალაქი გაგაუხებებთ; გაემგზავრეთ კუნძულ ბალზეც*, მაგრამ ისიც დატოვეთ, ვიდრე ინდონეზიის ეს სამოთხე ზედმეტად სათუთებს გაგხდით. და, საერთოდ, ბევრი იმოგზაურეთ!..

ინამეთ რამდენიმე გარდაუვალი ჭეშმარიტება: ფასები ყველაფერზე ისევ გაიზრდება, პოლიტიკოსები ისევ უღალატებენ თავიანთ მეორე ნახევრებს. მერე თქვენც ნელ-ნელა წლები მოგემატებათ და როცა ხანდაზმულ ასაკს მიაღწევთ, მოგეძალებათ ილუზიები... რომ თქვენს ახალგაზრდობაში ფასებიც გონივრული იყო, პოლიტიკოსებიც მაშინ წესიერებით გამოირჩეოდნენ და ყმანვილებიც ბევრად უფრო პატივს სცემდნენ უფროსებს.

გახსენებზე, პატივი ეცით და გაუფრთხილდით მშობლებს... თქვენს ხომ არასოდეს გეცოდინებათ, როდის დაგტოვებენ ისინი სამუდამოდ.


იმედი არ გქონდეთ, რომ ვინმე მუდმივად უზრუნველყოფს თქვენს ყოფას. შესაძლოა, თქვენს ხელში იყოს საინვესტიციო ფონდი, შესაძლოა, გყავდეთ ფინანსურად უზრუნველყოფილი მეუღლე, მაგრამ არასოდეს გეცოდინებათ, როდის გიღალატებთ ან ერთი, ან მეორე...

ოდესღაც ჩვენ ყველანი ნელ-ნელა გავალთ ამ ნაპირიდან, მაგრამ, მთავარია, ვილაცის ან რალაცის გვჯეროდეს და ისიც, რომ ამ რწმენით გავძლოთ ბოლომდე. ამაშია ცხოვრების სირთულე, რადგანაც მუდმივად გვეჩვენება, რომ ამქვეყნად არაფერია ისეთი, რისიც, შეიძლება, მართლა გწამდეს.

ასეთია ჩემი რჩევები, ძვირფასო კურსდამთავრებულებო! და ბოლოს: ყოველთვის გაუფრთხილდით და მოუსმინეთ მათ, ვინც გონივრულად დაგარიგებთ. რჩევა – ეს ნოსტალგიის ფორმაა, ესაა საშუალება, წარსულის სანაგვიდან ამოშალოთ ყოველივე უსიამო, ესაა გზა, თავიდან გააფერადოთ ცხოვრების ყველაზე მიუკერძოებელი ფრაგმენტები, რომ ამ გადახალისებით რომელიღაც საათი თუ დღე წარმოჩინდეს ბევრად დიდებულად, ვიდრე ის სინამდვილეში იყო.

მაგრამ ის, რომ მზის დამცავი კრემები ნამდვილად გადაარჩენს თქვენს კანს დამწვრობისგან, მეცნიერთა მიერაა დამტკიცებული.

ასე რომ, თამამად წაისვით იგი!



* – ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კუნძული ინდონეზიაში, სადაც უკველესი კულტურის უამრავი ტაძარია, სადაც არაერთი ტურისტული ღირსშესანიშნაობაა.

ჩვენი ჟურნალის ფუნქციონირება ერთნაირ უკვე დაიბრუნდა წყალსუბიერული მხატვრის მონა ლექსითაჲს გრაფიკული ნაშრომები. ამაჲად მკითხველი მას გაიხსნოს, როგორც მხატვარსა და პოეტს. მონა ლექსითაჲს ლექსები თუ ნახატები ერთნაირად სინთეზის, ფაქიზი და მკაჲლისმთქმელი; თითქოს ავტორი სიტყვებით ხატავს საყაროს და პირიქით – ნახატებით ქმნის პოემას. სიტყვებისა და ფაქიზის საიხარო გრადსით მოიხილვაჲა ყველა, ვინც მონა ლექსითაჲს შემოქმედებას გაიხსნა.

ლირიკული, სულიერებით სავსე ლექსები და ნახატები თჲვად ქმნიან ავტორის პოეტს.

მონა ლექსითაჲს

ლექსი პატარა გაზაფხულია

ლექსი ლექსია,
ლექსი სულია,
ლექსი პატარა გაზაფხულია,
ლექსი ღვთიური წყაროს წყალია,
ლექსი ნატვრა და ნატვრისთვალია.

ლექსი ქარია,
სულს რომ განწნავს,
ყველა ციხეს და ზღუდეს დაღწნავს,
ლექსი ბავშვებით ტანჯვით განწნდება –
გულთან მივა და გულში დარჩება.



* * *

ვერ ვენწევი საკუთარ თავს,
ლექსი მასწრებს დაბადებას...
ანგელოზებს ვევედრები
ამ სიგიჟის გამართლებას.

ვერ ვენწევი სულის ქროლვას,
ცას არა აქვს სადმე კიდე?
აბრეშუმის ნაზი ფრთებით
ქარს და გრიგალს გავეკიდე.

ვინ გამიგებს ამ სიმჩატეს,
ამ სულელურ ახირებას
და ვფარფატებ განძარცველი
სინანულის ნაპირებთან.

ვინ დამიშლის ამ ზვირთებში
გულის კენჭად გადაგდებას,
მე ვმთავრდება, მაგრამ ლექსი,
ლექსი მასწრებს დაბადებას!

საკუთარ თავს

წუხელ წვიმდა მთელი ღამე,
სულ სველია ბალიში...
ყველაფერი დაგიშალე,
ტირილს როგორ დაგიშლი.

თავზე ვარდებს გადმოგაყრი,
ფეხქვეშ ეკლებს გაგიშლი,
არც მინაზე გაგახარე,
არც ზეცაში გაგიშვი.

სიყვარული დაგიშალე,
ტირილს ველარ დაგიშლი...
წუხელ წვიმდა მთელი ღამე,
სულ სველია ბალიში.

მე დავხატავ

მე დავხატავ შემოდგომის სურათს,
მე დავხატავ შემოდგომის პორტრეტს,
მე დავხატავ მოგონების მინორს,
მე დავხატავ პულისის ალეგრეტოს
და ზეციდან გადმოხეთქილ ფორტეს.

მე დავხატავ შემოდგომის პორტრეტს,
მზეს გუშინდელს და ხვალინდელ წვიმას,
ვარდის კოკრებს, გვიან მოსულ კოკრებს,
გაუშლელი ფურცლები რომ სცვივათ.

მე დავხატავ შემოდგომის პორტრეტს...
უცხო გზიდან ამოვარდნილ ქარებს,
სურვილების ჩამოქცეულ ყორეს,
მღელვარებით შეჭირვებულ თვალებს.

მე დავხატავ ყველა უთქმელ სურვილს,
გულის ჯანყს და ჩემს, ჩემეულ კოცონს,
რომ გავიგო საიდუმლო სულთქმის,
თბილ ღაღარში რომ სუნთქავს და ცოცხლობს.

მე დავხატავ შემოდგომის სურათს,
ამ უცნაურ მღელვარების პორტრეტს,
მე დავხატავ მოგონების მინორს,
მე დავხატავ გრძნობის ალეგრეტოს
და გულიდან გადმოხეთქილ ფორტეს!



ქართულ ეპიკურაული სიმბოლოების თეორიულ ლიტერატურაში ბევრი დაინტერესებულია მათი ანდრია და კომანის მისი მონაწილეობის აღსანიშნავად; მაგრამ მათი ანდრია და— მწიკრი სიკა ყურაშვილი განსხვავებულ ზედაპირზე მის: რომელი იყო მათი ანდრია ბავშვობა, რომელი ზნეობისთვის ღირსეულობები ჰქონდა მის სიზარებში და რა გზა გაიარა ბავშვობაში.

ქალბატონი სიკა ყურაშვილი და სიამაყით გვიყვება მათი ანდრია შესახებ, რომელმაც თავისი თავდადებითი ნაბიჯით აკავაშიტო მხარის წევრების (4 და-მე) დღეს სასულიერო პირი), სხვათა სხვაობას სასიკეთოდ შეასწავლა..

— „ეს მინა ღვთისა!“ — ეს იყო მათი ანდრია, კომანის ტაძრის წინამძღვრის, უკანასკნელი სიზარებში, ყველას გასამონად გაქვარებული. ეს მისი 30 წლის წინათ, აფხაზეთში, 1993 წლის 5 ივლისს.

„ეს მინა ღვთისა“

მომონება მათი ანდრიაზე

ციკა ყურაშვილი

საკომანი კაცის სიღირსით



კომანის ტაძრის პირი მათი ანდრია (ყურაშვილი)

მამამ მას პაატა დაარქვა. ჩემზე ოთხი წლით უმცროსი იყო. როცა ადრეულ წლებს ვიხსენებ, თვალწინ მიდგას ის და მასზე ორი წლით პატარა ჩემი უმცროსი ძმა ვარაზი (ან დეკანოზი მამა იოანე), ერთი თავისფერთვალეობა, მეორე ცისფერთვალეობა ბუთხუზა ბიჭუნები კორდზე რომ კრეფენ გაზაფხულის პირველ ყვავილებს. ბავშვობაში ყვავილები ძალიან უყვარდათ და არ გამკვირვებია, როცა ღვთის შენეებით გადარჩენილმა მანანა ანუამ (კომანის ეკლესიის აღმდგენის, იპოდიაკონ* გიორგის**, იური ანუას ქალიშვილი) მამა ანდრიას გარდაცვალების შემდეგ სიზმარი გვიამბო, თითქოს მამა ანდრია სთხოვდა, არ ამოთხარო მინდვრის ის ლამაზი ყვავილები, რომელიც ჩემი საფლავის ახლომახლოა ამოსულიო.

პაატა ბავშვობიდანვე ფიზიკურად ინტოობოდა, სკოლის უმცროსი კლასიდან ჭიდაობის ნრეში იყო

ჩაბმული და არაერთხელ გაიმარჯვა სასკოლო თუ რესპუბლიკურ ტურნირებში; ყმანვილობისას გახდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ვარჯიშობდა კარატეშიც. კარგად ცურავდა და მდინარე ხანისწყალში ბავშვებიც კი გადაურჩენია დახრჩობისაგან.

ყმანვილობიდანვე ებრძოდა შიშს, ცდილობდა, დაეთრგუნა ის. ერთხელ პაატა და ვარაზი ჩვენი ყანის იქით, მთისკენ, ერთ გაუვალ შამბნარში მიიკვლევდნენ გზას. ამ შამბნარში, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის უჩვეულო, მეტად გრძელი გველი მოიხელთა, კუდიტ დაიჭირა. გველი თავდაღმა ეკიდა, იკლაკნებოდა, ცდილობდა, ხელიდან დასხლტომოდა ბიჭუნას, თავი გაეთავისუფლებინა. საშიშროება იყო, პაატასთვის ეკბინა, მაგრამ გველმა მისთვის ჩვეული სისხარტით თავი გადაირჩინა... უშიშრად ხვდებოდა იგი მყეფარე, გაავებულ ძაღლებსაც, ეფერებოდა მათ. განსაკუთრებით უყვარდა ქართული ჯიშის ნაგაზი. ერთხელ პატარა ლეკვი მოიყვანა ზედა ბაღდათიდან და, როგორც იტყვიან, გულში ჩახუტებული გაზარდა.

ყმანვილობისას მდინარეზე ხშირად თევზაობდა და ოჯახს ამით ეხმარებოდა. არ გაურბოდა შრომას, მზად იყო, მშობლებს დახმარებოდა და მრავალშვილიანი ოჯახის სიმძიმე თვითონაც პატიოსნად ეტვირთა. მშობლებს ძალიან უჭირდათ და ხშირად პურის ფულიც არ ჰქონდათ; ამიტომ მუშაობაც კი დაინყო მავთულბადის საამქროში, რომელიც მდინარის მეორე ნაპირას იყო გამართული; საამქრო ჩვენი სახლიდან შორს არ იდგა, მაგრამ მდინარეზე ხიდის არარსებობის გამო კილომეტრზე მეტი გზა სჭირდებოდა შემოსავლელად.

* - იპოდიაკონი, იგივე სტიქაროსანი.
** - იური ანუაც ღახვიტას.

მანძილი რომ შეემოკლებინა, პაატამ მდინარის ნაპირები ერთმანეთთან სქელი მავთულით დააკავშირა, ბაგირი გაჭიმა და მასზე ოთხკუთხედი რკინის ჩარჩო ჩამოკიდა – ჩადგებოდა ამ ჩარჩოში და რამდენიმე წუთში უკვე მეორე მხარეს იყო.

როცა ძალიან გაგვიჭირდებოდა, დედა მდინარის ნაპირიდან გასძახებდა პაატას და ისიც ამშვიდებდა, როგორც კი ხელფასს ავიღებ, არ დავყოვნებდი, მაშინვე წამოვალო... სრულიად ყმანვილი ასაკოვანი კაცის სიდინჯითა და პასუხისმგებლობით ისე ეხმარებოდა ოჯახს, რომ ზოგჯერ საკუთარი თავი, ახალგაზრდული ასაკი და პირადი საჭიროებები არც კი ახსოვდა...



ქვაი - პაატა (მარცხნივ) და ვაზა ჟურაშვილი

მაქსიმალისტი, მოვლენებს ჩაღრმავებული

იყო თავისუფლებისმოყვარე; ბუნებრივია, მისთვის მიუღებელი იყო დიქტატი, თუმცა სამხედრო სავალდებულო სამსახური მაინც მოიხადა (უნგრეთში). ჯარიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცის უნიფორმა ზონრებით შეკრა და მდინარის ტალღებს გაატანა.

იყო ძალიან დაკვირვებული, მოვლენებს ჩაღრმავებული, ბუნებით მაძიებელი, მაქსიმალისტი; ნელთბილობა არაფერში ახასიათებდა; რასაც გულში ამოიჭრიდა, ღვთის შეწევნით, ყველაფერი საუკეთესოდ უნდა გაეკეთებინა.

ერთ-ერთი სამხედრო სწავლების დროს ჯარისკაცები ყუმბარსატყორცნიდან ბუტაფორიულ ტანკებს ესროდნენ. რამდენჯერაც ისროლა პაატამ, იმდენჯერ მოახვედრა სამიზნეს. ოფიცრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ბოლოს დაუმიზნებლად უსვრია – ტრაექტორიით. ასე გატყორცნილი ყუმბარაც თურმე პირდაპირ სამიზნეს მოახვედრა. ეს კი მართლაც სასწაულად ჩაუთვლიათ განცვიფრებულ ოფიცრებს.

შრომისას ხელხვავიანობითაც გამოიჩინებდა. როცა ჯერ მორჩილის, შემდეგ კი ბერულ ღვანლს შეუდგა, თვითონ მოიპოვებდა არსობის პურს. სხალთაში ყოფნისას ამუშავებდა მიწის ნაკვეთს, სადაც სიმინდს, ლობიოს იწვედა... თავისი ხელით აცხოვდა სეფისკვერებსაც.

როცა გოლეულივით ტკეპა ღვთის სახელი ბაგეზე

ჯერ კიდევ ჭაბუკს, ბერობისკენ ნაბიჯი წუთისოფლის სწრაფწარმავლობის გააზრებამ გადაადგმევინა; ზოგადი და კონკრეტული მიზეზიც ეს იყო.

ბერობად შედგომამდე ბიბლია ნაილო ზეკრის ტყეში, რომელიც ბაღდათიდან 25-30 კილომეტრითაა დაშორებული; იქ, სადაც ადამიანი არ ჭაჭანებდა, სრულ სიმყუდროვეში, კვირაზე მეტხანს დარჩა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, ბერულ ღვანლს შესდგომოდა. მამამ ეს ამბავი ძალიან განიცადა, დედა კი, რაც ჩვენ გვსურდა და მოგვწონდა, ყველაფერში თანაგვიგრძნობდა.

ასე დაიწყო მამა ანდრიას ბერული ცხოვრების ხანმოკლე, მაგრამ ძალიან ნაყოფიერი პერიოდი, რომელიც სულ რამდენიმე წელში ჩაეგია. ის 27 წლისა აღესრულა. დარწმუნებული ვარ, რომ ეცოცხლა, მართლა ნავიდოდა უდაბნოში და დარჩენილ ცხოვრებას ლოცვასა და ღვთის ძიებას მიუძღვნოდა.

ის ამბობდა, ადამიანმა რომ იცოდეს, რამხელა სიტკბოება, ნეტარება მოაქვს ლოცვას, როგორ გოლეულივით ტკეპა ღვთის სახელი ბაგეზე, ნარკოტიკსა და ალკოჰოლს ახლოსაც არც გაეკარებოდაო.



პაატა ჟურაშვილი



კომანის წმინდა იოანე მოწოდებლის სახელობის ეკლესია

თუმცა, არაერთი ადამიანისგან გამიგია, რომ თანამედროვეობასთან შეუთავსებელი ღვანლით ის ხიბლშია ჩავარდნილიო; მაგრამ მამა ანდრიას მიზიდულობა უფლისადმი, მართლაც რომ, ყოველწუთიერად იზრდებოდა, ღვთის წყალობაც არ აკლდა. მან სლავური არ იცოდა, მაგრამ, ვინც ნაიკითხავს მის მიერ თარგმნილ წიგნს „შინაგანი ლოცვის სამი საიდუმლო“, ვინ იტყვის ამას?

მამა ანდრიას აღსასრულმა აფხაზებიც დააფიქრა

როცა მამა ანდრია სხალთიდან აფხაზეთში მეუფე დანიელს გაჰყვა და კომანის მონასტერში დაემკვიდრა, უმცროს გოგონაზე ვიყავი ფეხმძიმე; ქალიშვილი ჩემი ძმის აღსრულებიდან 13 დღეში გამიჩნდა. ტრაგიკული ამბავი, გასაგები მიზეზების გამო, მოგვიანებით შემატყობინეს და ეს ეპიზოდები ჩანს ჩემს მოთხრობაში „უკან არ მიიხედო“, რომელიც მამა ანდრიას ეძღვნება. ჩვენი ბავშვობა ასახული მაქვს პროზაულ კრებულში „ხიზნები კომანის მონასტერთან“, ასევე, წიგნში: „ჟამსა თამაშობისასა“. რაც შეეხება მამა ანდრიას ღვანლს, მის აღსასრულს, ამის შესახებ მოგვითხრობს მწერალი შორენა ლებანიძე თავის დოკუმენტურ რომანებში: „საშვი კონფლიქტის ზონაში“ და „მანანა ანუა – ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“.

ომის დროს მამა ანდრია ლოცავდა, ამხნევებდა ჯარისკაცებს, გასაჭირში ჩავარდნილთ. 1993 წლის 5 ივლისს, როცა კომანზე შტურმი დაიწყო, მას ტაძარში მოხუცები და დავრდომილები ჰყავდა შეფარებული, მათგან აღსარებები ბოლოჯერ ჩაიბარა და აზიარა კიდევ ისინი...

როცა მამა ანდრია ტაძრიდან გაიყვანეს და ჰკითხეს, თუ ვისი იყო ეს მინა, მან ერთი ფრაზით უპასუხა, რომ ეს მინა ღვთისაა; ამ მრწამსით ცხოვრობდა და იღვწოდა ის; და როცა დაჩოქილს კეფაში ესროლეს, წინ არ გადახრილა, გულაღმა დაეცა სახეზე ნათელი ღიმილით...

მამა ანდრიას აღსრულების შემდეგ ჩემი დედამამიშვილებიდან კიდევ ოთხი დაადგა სასულიერო ცხოვრების გზას – მათგან დღეს ერთი დეკანოზია, მეორე მღვდელმონაზონი და ორი მონაზონი. ერთი ოჯახიდან ამდენი სასულიერო პირი, ღვთის ასეთი წყალობა მამა ანდრიას თავგანწირვას მოჰყვა...

მისმა აღსასრულმა არა მხოლოდ ქართველები, აფხაზებიც დააფიქრა... მამა ანდრიასა და იური ანუას მეგობრობამ, აღმსარებლობისთვის მათმა თავშენირვამ ქართველებსა და აფხაზებს თავიანთი ურთიერთობის ჭეშმარიტი გზა დაანახვათ.

მე ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ ასეთ მრავალშვილიან ოჯახში დავიბადე, გავიზარდე ისეთ გარემოში, სადაც სიტყვები „ძმა“ და „ძმები“ ჩემთვის მეგზურია საღვთო გზაზე, მზრუნველია ჭეშმარიტების ძიებისას, მტვირთველი და მხარში ამომდგომია.

როცა თვალს ვადევნებ მამა ანდრიას ცხოვრების გზას ბავშვობიდან ბერობამდე, ცხადი ხდება, რომ მას განსაკუთრებული მეტამორფოზა არ გაუვლია. იგი სიყრმიდანვე გამოირჩეოდა სულიერებითა და სათნოებით; უბრალოდ, მან ბერობაში ღვანლი გააასკეცა. მიზნის მისაღწევად არჩეულ გზაზე ბოლომდე იხარჯებოდა, ავლენდა სიმტკიცესა და გულმოდგინებას და არა ნელთბილობას, რაც თანამედროვე ადამიანებს გვახსაიათებს.

მამა ანდრიას მიზანი იყო არა განღმრთობა, რაც წმინდა ადამიანში ღვთაებრივი სასწაულების უნარად ვლინდება, არამედ ის, რაც ამ ღვანლს მოჰყვა – გოლეულივით გატკბა მის ბაგეზე ღვთის სახელი.

მამა ანდრიას ბავშვივით უკვირდა, როგორ შეიძლება, ადამიანმა ნარკოტიკს მიმართოს, როცა ღვთის სიტკბოებისგან ისე იღვენთება სული და სხეული, როგორც ათას ნაკადად მდინარე თაფლი...

პაატა – მამა ანდრია ჩემთვის ერთი მთლიანი პიროვნებაა; ჯერაც ბოლომდე ვერ ვაცნობიერებ, რასაც ბერობის საიდუმლო აწესებს – ბერი კვდება, მისი ხორციელი „მე“-ც და იბადება ახალი სიცოცხლე.

მამა ანდრიას აღსასრული ჩემთვის ახალი, მარადიული სიცოცხლის დასაწყისია. ეს ერთდროულად ზარდამცემი და, ამასთან, ამალებული აქტი ჩემი მხატვრული ნაწარმოებების სათქმელია.

ადამიანი ამგვარი მოვლენის სიღრმეს მხოლოდ თავისთავში რომ იტევდეს, გაცილებით უკეთესი იქნებოდა მისთვისაც და სხვებისთვისაც; მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ბუნება ასეთი გამოცდისა და განსაცდელისთვის მზად არ აღმოჩნდა. თან, როცა მამა ანდრიაზე ვსაუბრობ, მგონია, მისი ცხოვრებისეული ეპიზოდები, მისი მაგალითი ვინმეს მაინც წაადგება სულიერი ცხოვრების გზაზე.

საკუთარ თავს დაგვირგებინარ: ზოგჯერ მოკეთის ერთ სიტყვას გაფურიდებინარ საფრთხეს, ერთ დროულ სიტყვას სასიკეთოდ შეუცვლია ჩემი მცდარი გადაწყვეტილება.

30 წელი კომანის ტრაგედიიდან

ზოგჯერ – მამა ანდრიას საფლავთან დაკავშირებით კითხვებს გვისვამენ: ხომ არ უნდა გადმოგვესვენებინა? ან სად უნდა იყოს მისი განსასვენებელი?

ჩვენ ვამბობთ, რომ მამა ანდრია უნდა იყოს იქ, სადაც არის, საიტკენაც ის მთელი არსებით მიისწრაფვოდა; და ეს იყო არა მარტო ბერის ეგოისტური სურვილი... მამა ანდრიას ჩემი უმცროსი ძმისა (ამჟამად მღვდელ-მონაზონი ელიზბარი) და დედის წაყვანაც უნდოდა ამ წმინდა ადგილას...

30 წელი გავიდა კომანის ტრაგედიიდან და ცხადი გახდა, რომ ამ საერთო უბედურებამ მთელი ქვეყანა და ორივე, ქართულ-აფხაზური მხარე როგორ უკიდურესად დააზარალა, შეინირა საუკეთესო გენოფონდი, წელში გატეხა და შეაფერხა მისი განვითარება...

ამ ყველაფერს კიდევ ერთხელ სჭირდება კარგად გააზრება, რადგან წუთისოფელი მეტად ხანმოკლეა, ერის სიცოცხლისუნარიანობა კი პირდაპირ კავშირშია იმ ენერგეტიკულ ჰარმონიულობასთან, რასაც იგი სამყაროსადმი ავლენს, იმ სიგნალებზე, რასაც ის კოსმოსს უგზავნის...

სწორედ სიცოცხლის ხანმოკლეობამ, წარმავალობამ უნდა დააფიქროს თითოეული, რომელ მხარესაც არ უნდა იდგეს ის...


რაზეც ვდგავართ, „ეს მიწა ღვთისაა“ და ყველაფერზე პასუხი მოგვეკითხება...



კომანის ხეობა – გზა ტაპრისკან

ნიტა და ანიტა

ნუნუ ჯანელიძე



ზღაპარი მთისა და ბარის სამეფოზეა. ამბები ბარის სამეფოს შესახებ იცოდა ყველამ, მთის სამეფო კი ახლოდან ჯერაც არავის ენახა, ზოგჯერ მხოლოდ შორიდან თუ მოჰკრავდნენ თვალს მის დიად მწვერვალს. ამიტომ ბარში მცხოვრებნი ათასგვარ ზღაპრებს თხზავდნენ მთის სამეფოზე და ოცნებობდნენ, ერთხელ მაინც სწვოდნენ მას. მაგრამ მთის სამეფოში მოხვედრა არც ისე იოლი იყო. მთის სამეფო ცაში დაეკიდებინათ, ბარში მცხოვრებლებს კი არ შეეძლოთ ფრენა. ამიტომ, დროთა განმავლობაში, ბარის სამეფოში მყოფთა უმრავლესობამ დაივიწყა ოცნება მთის სამეფოზე.

ბარის სამეფოში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდა ორი ულამაზესი გოგონა: ნიტა და ანიტა. მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ერთი ჰქონდათ ოცნებაც – სწვოდნენ მთის სამეფოს. მაგრამ, როცა გაიზარდნენ, გოგონები წავიდნენ სხვადასხვა გზით და მათი ოცნებებიც დაშორდა ერთმანეთს.

ანიტა სულ იმას ფიქრობდა, როგორმე დაეგროვებინა მეტი და მეტი სიმდიდრე; იგი იძენდა უამრავ ლამაზ ნივთს, ძვირფას კაბასა თუ სამკაულს. ანტუსას არასოდეს აკმაყოფილებდა შენაძენი, მონახვეჭი. გოგონას უნდოდა, გამხდარიყო საქვეყნოდ ცნობილი, ყველას თაყვანი ეცა მისთვის. მზად იყო, არავის და არაფრის გამო დაეხია უკან, გამუდმებით ცრუობდა, ცილს სწამებდა სხვებს და აბუჩადაც იგდებდა მათ. ანიტა იშვიათად თუ ახედავდა ცას და მინას ჩაშტერებული, რამე რომ დაეტყუებინა სხვებისთვის, იგონებდა სულ უფრო და უფრო ახალ ხერხსა და ხრიკს.

ნიტა კი ძველებურად ცხოვრობდა, ღარიბულად, მოკრძალებულად, მაგრამ მშვიდად. იგი ტკბებოდა ბუნებით, მისი ფერებით, ირეკლავდა მის მშვენიერებას. გოგონას ემარჯვებოდა ხელსაქმე: თვითონ იკერავდა მოხდენილ კაბებს და ნაირ-ნაირ სამკაულებსაც თავისთვის თვითონ ამზადებდა. ნიტას ძალიან უყვარდა ნიგნები და არასდროს ბეზრდებოდა კითხვა; გონიერი გოგონა დროსაც ლამაზად და შინაარსიანად ატარებდა. მან თავისი ხელით გააშენა მშვენიერი ბაღი, სადაც დღედაღამ ფუსფუსებდა, რწყავდა ნარგავებს, ეფერებოდა ყვავილებს და პეპლებთან და ჩიტებთან ერთად მხიარული ღიღინით ეგებებოდა ყოველ დილას. მადლიერი ნიტა მზერას არ აცილებდა მთის სამეფოს, იცოდა, ამ ოცნებაზე არასოდეს იტყოდა უარს.

მართალია, გოგონები ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ ანიტას თვალი მაინც სულ ნიტას ეჭირა, მოსვენებას უკარგავდა და აღიზიანებდა კიდეც მისი უბრალო, მარტივი ყოფა. მეტიც, შურდა კიდეც ძველი მეგობრის, ეჩვენებოდა, ბედნიერი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუ მისი გახდებოდა ყველაფერი, რაც ნიტას გააჩნდა.

ერთ დღეს ბარის სამეფოში გავრცელდა ამბავი, მთის სამეფოში იმართება მეჯლისი, სადაც ეპატიჟებიან ყველაზე ლამაზებსა და მდიდრებს.

მოსანვევ ბარათზე თურმე ეწერა ასეთი პირობაც: მონაწილეები თავიანთი სიმდიდრით თვითონ უნდა მივიდნენ მთის ძირამდე. ანიტამ უცებვე გადანწყვიტა, რომ ეს მეჯლისის იმართებოდა მხოლოდ მისთვის, მაგრამ სრული წარმატებისთვის, ალბათ, დასჭირდებოდა ნიტას კაბები და ხელნაკეთი სამკაულებიც. ამიტომ მეგობართან, ვითომ სხვათა შორის, დაინუნუნა, შენი კაბები და სამკაულებიც რომ მომცა, ყველაზე ლამაზი და მდიდარი მე ვიქნებოდი მეჯლისზე.

ნიტას ებრალებოდა მუდამ ცხოვრებით უკმაყოფილო ანიტა; მზად იყო, ყველაფერი გაედო, ოღონდაც ენახა მეგობარი ბედნიერი. ამიტომ არ დანანებია მისთვის თავისი კაბები და სამკაულები, ყველაფერი აჩუქა, თავისთვის დაიტოვა მხოლოდ ერთი ხელი უბრალო სამოსი და ჩიტებისგან დანული ყვავილების გვირგვინი.

მეჯლისის დღეს დაიხუნძლა ანიტა კაბებითა და სამკაულებით და დაადგა მთის სამეფოსკენ მიმავალ გზას. ნიტაც შორიასლო მიჰყვებოდა, იქნებ რამეში როგორმე შევეშველოო. ის იყო, გოგონებმა მიაღწიეს მთის ძირს, რომ წინ გაშმაგებული მდინარე გადაელობათ. მდინარეზე ძალიან ვიწრო, ხის საცალფეხო ხიდი იყო გადებული. ანიტამ ნიტას უთხრა, წინ ჯერ შენ წადიო. ნიტამ მსუბუქად გაიარა ხიდზე და გადავიდა მეორე ნაპირზე. ანიტამ გაიფიქრა, ამას მეც ხომ ადვილად შევძლებო და ხიდზე თამამად შედგა. გოგონამ ხიდის შუამდეც ვერ მიაღწია, მხრებზე ხარისხვად დაკიდული კაბების სიმძიმემ ისე შეატორტმანა, თავის გადასარჩენად იძულებული გახდა, ხელი ეშვა სამოსისთვის. ნიტაც მიეშველა შეშინებულ ანიტას და ცოცხალი გადაიყვანა მეორე ნაპირზე. ანიტა სასონარკვეთილი უყურებდა, როგორ მიჰქონდა მდინარეს მისი ძვირფასი კაბები და ბრაზობდა მთის სამეფოზე. მაგრამ

დრო კი არ იცდიდა. გოგონებს როგორმე უნდა მიეღწიათ მწვერვალამდე. თვალუნვდენელი კლდიდან ახლა თხილისგან მოწნული კალათა ჩამოუშვეს. ანიტამ წინ ახლაც ნიტა გაუშვა, ვნახოთ, თუ გაუძლებს კალათა შენს სიმძიმესო. ჩაჯდა თუ არა ნიტა კალათაში, იგი იმნამსვე მოსწყდა ადგილს, ჰაეროვნად ანარნარდა ჰაერში და მალე გოგონა მთის სამეფოში აიყვანა.

როდესაც კალათა ისევ დაეშვა ძირს, შურისგან დაბრმავებულმა, განრისხებულმა ანიტამ ხელები ჩაავლო კალათის სამაგრ თოკებს, მერე რის ვაი-ვაგლახით შიგ ჩაბობლდა და თავხედურად დაიჭყვივლა: ჩქარა მწვერვალისკენ!

კალათა დაიძრა ადგილიდან, მაგრამ ოქროს სამკაულებით დახუნძლული ანიტას სიმძიმეს ვერ გაუძლო, გასძვრა ძირი და საბრალო გოგონამ მიწაზე მოადინა ზღართანი. დანარცხებისას ანიტას ყელზე შებმული სამკაულებიც დანყდა და ერთიანად მდინარეში ჩაცვივდა.

გონს რომ მოეგო ანიტა, მიხვდა, დამშვიდობებოდა სიმდიდრესაც და ლამაზ სამშვენისებსაც და, რაც მთავარია, დაეკარგა მთის სამეფოში მოხვედრის შესაძლებლობა. გოგონამ ბევრი იტირა და ივიშიშა, მაგრამ რა უნდა ექნა, უკან ხელცარიელი უნდა დაბრუნებულიყო.

ანიტამ ძლივს მიაღწია ბარის სამეფომდე, სადაც ყველაფერი ძველებურად დახვდა. მაგრამ ანიტამ უკვე იცოდა, როგორ ეცხოვრა, რომ ყველაფრის გამოსწორება ჯერაც შეიძლებოდა. თანაც ყური მოჰკრა, ბარის სამეფოს მკვიდრებს ჯერაც ეპატიყებოდნენ მთის სამეფოს მეჯლისზე.



შამპოლიონი: „როცა გავიზრდები, მე ამას ნავიკითხავ“...

ფრანგები – ეგვიპტოლოგიის სათავესთან



„შამპოლიონის პორტრეტი“. ლეონ კონიე. 1831 წ.

ვიდრე იმპერატორი გახდებოდა (1804 წ.), საფრანგეთის პრემიერ-კონსულმა ნაპოლეონ ბონაპარტემ 1798 წლის გაზაფხულზე დაგეგმა ლაშქრობა ეგვიპტეში, რაც ყველაზე ეგზოტიკური ექსპედიციაა საფრანგეთის ახალ ისტორიაში. ნაპოლეონს სურდა, დაეპყრო ეგვიპტე და აქვე მოეწყო პლაცდარმი ინდოეთში ლაშქრობის დასაწყებად, სადაც ბრიტანელებს ჰქონდათ კოლონიები და სავაჭრო კომპანიები. მათი ხელში ჩაგდება იფრანგები აპირებდნენ პოლიტიკური მონინაალმდეგის – ინგლისის ეკონომიკის განადგურებას.

ეგვიპტურ კამპანიაში წაყვანილ სარდლობას (32.000 ჯარისკაცით), სამხედრო მიზნების გარდა, სხვა გეგმებიც ჰქონდა: ამ უძველესი ქვეყნის შესასწავლად ბონაპარტემ ლაშქრობაში თან გაიყოლა 175-კაციანი მეცნიერთა „რაზმიც“: მათემატიკოსები, გეოგრაფები, ბიოლოგები, ხელოვანები, ლიტერატორები. საქსპედიციო გეგმები დატვირთული იყო რეგიონის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურით (600-დე წიგნით).

ფრანგებმა მაშინ პირველებმა დაწვრილებით აღწერეს და აზომეს გიზის დიდი პირამიდა, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი და ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ნაგებობა (ჩვ.წ.აღ.-მდე 26-ე ს.). სამხედრო ინჟინერმა პიერ ფრანსუა ბუშარმა ეგვიპტეში შემთხვევით იპოვა შავი ბაზალტის სტელა.

ეს ქვა, რომელიც „როზეტის ქვის“ სახელითაა ცნობილი, სათავეს დაუდებს იეროგლიფების ამოკითხვას, ნაპოლეონი კი იტყვის: „ამ პირამიდებიდან ჩვენ 40 საუკუნე გადმოგვყურებს!“

საინტერესოა, რომ ნაპოლეონმა პირამიდაში სრულიად მარტომ გაატარა ერთი ღამე!

ბონაპარტემ გენიალურად განჭვრიტა, თუ რამხელა უპირატესობას მოიპოვებდა ის, ვინც ეგვიპტური სამყაროს საიდუმლოებას ამოხსნიდა, მიაგნებდა გასაღებს, რომელიც ინახებოდა ამ ქვეყანაში. მართალია, ნაპოლეონმა ეგვიპტეში სამხედრო თვალსაზრისით მძიმე კრაზი განიცადა, მაგრამ გააღვივა ინტერესი უძველესი ცივილიზაციის ქვეყნის მიმართ.

პროფესორი 19 წლის ასაკში



„როზეტის ქვა“. ჩვ.წ.აღ.მდე 196 წ.

ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი, ორიენტალისტი*, ლინგვისტი, ეგვიპტოლოგიის ფუძემდებელი – ჟან ფრანსუა შამპოლიონი დაიბადა 1790 წელს. გარეგნულად აღმოსავლური იერისა იყო; 5 წლისამ თავისით ისწავლა კითხვა; 11 წლის შამპოლიონს, როდესაც ეგვიპტური იეროგლიფები უნახავს, უთქვამს: „როცა გავიზრდები, მე ამას ნავიკითხავ“.

14 წლიდან ჟან ფრანსუა დამოუკიდებლად იწყებს აღმოსავლური ენების, უპირველესად, კოპტური ენის (ძველი ქრისტიანი ეგვიპტელების ენა) შესწავლას და ძველი ეგვიპტის შესახებ ანტიკური წყაროების მოძიებას.

16 წლის ასაკში ლაპარაკობს 12 ენაზე, 20 წლის ჟან ფრანსუა კი ნამდვილი პოლიგლოტია – სრულყოფილად ფლობს 20 ენას: ლათინურს, ძველბერძნულსა და ძველებრაულს, არაბულს, ზენდურს (ძველირანული ენა), სანსკრიტულს (ძველინდური ენა), ჩინურს, სირიულს, კოპტურს... 17 წლის იყო, როცა გრენობლის** აკადემიის წევრად აირჩიეს და როცა სამეცნიერო აუდიტორიას გააცნო თავისი მნიშვნელოვანი ნაშრომი – „ეგვიპტე ფარაონების ხანაში“; 19 წლის ასაკში მიენიჭა გრენობლის უნივერსიტეტის პროფესორის წოდება; მის სტუდენტებს შორის იყვნენ ისინიც, რომლებიც ცოტა ხნით ადრე მასთან ერთად ისხდნენ აუდიტორიაში.

* – აღმოსავლეთმცოდნე.
** – ქალაქი საფრანგეთის საზღვრებში.

1822 წლის 22 სექტემბერი – ეგვიპტოლოგიის, როგორც მეცნიერების, დაარსების დღეა. სწორედ ამ დღეს შამპოლიონმა გრენობლის აკადემიას წარუდგინა გაშიფრული „როზეტის“ ქვა, რომელიც ნაპოლეონის ეგვიპტური ლაშქრობისას ინჟინერმა ბუშარმა შემთხვევით იპოვა.

ფილაზე ამოტვიფრული იყო სამი იდენტური ტექსტი: ერთი ბერძნულად, ორი კი – უძველეს ძველევგვიპტურად (დემოტური და ეროგლიფური ენები) დაწერილი; ესაა მაღლიერების ტექსტი, რომლითაც ჩვ.წ.ალ-მდე 196 წელს ეგვიპტელი ქურუმები მიმართავდნენ ფარაონს (ეპიფანე V პტოლემეოსს).

შამპოლიონის ამ გამოკვლევას მხარი დაუჭირა და გაიზიარა მისმა პედაგოგმა სილვესტრ დე სარიმ, მეცნიერმა, წლების მანძილზე აკადემიის უცვლელმა მდივანმა, ვინც დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფრით გაშიფრა „როზეტის ქვა“.

ნაპოლეონ ბონაპარტი და შამპოლიონი

ჟან ფრანსუა დაიბადა ნიგნებით მოვაჭრის მრავალშვილიან ოჯახში. მშობლებს მისთვის ნაკლებად ეცალათ და ის გაზარდა უფროსმა ძმამ, გრენობლის უნივერსიტეტის ისტორიკოს-პროფესორმა – ჟაკ ჟოზეფ შამპოლიონმა. სწორედ მან გაუღვივა უმცროს ძმას ეგვიპტისადმი ინტერესი.

ჟაკ ჟოზეფი იყო ბონაპარტეს თავგამოდებული მომხრე, თან ახლდა ნაპოლეონს 1798-1801 წლების ცნობილ ეგვიპტურ კამპანიაშიც. კუნძულ ელბიდან დაბრუნებული ნაპოლეონი (სადაც იმპერატორი იყო გადასახლებული ანტიფრანგულ კოალიციასთან დამარცხების შემდეგ) ხშირად ხვდებოდა ძმებ შამპოლიონებს (ჟაკ ჟოზეფი მაშინ ნაპოლეონის პირადი მდივანი იყო).



იმპერატორს განსაკუთრებით აინტერესებდა უმცროსი შამპოლიონის გამოკვლევები, უძველეს აღმოსავლურ ენებთან და ეროგლიფებთან დაკავშირებული მისეული ხედვა.

ცნობილი „100 დღის“ შემდეგ, 1815 წელს, როცა ბონაპარტი უკვე მეორედ გადაასახლეს კუნძულ წმინდა ელენეზე, ძმებ შამპოლიონებსაც აეკრძალათ პედაგოგიური მოღვაწეობაც და გრენობლში ცხოვრებაც. ჟან ფრანსუას მოეხსნა პროფესორის წოდება.

როდესაც მეცნიერი ეწვია ეგვიპტას

1821 წლიდან შამპოლიონი ცხოვრობს პარიზში.

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ახალგაზრდა მკვლევარის ყველა მნიშვნელოვანი დასკვნა და აღმოჩენა ეგვიპტის შესახებ დაიდო ისე, რომ მას არ უნახავს ეგვიპტე.

მხოლოდ მას შემდეგ, როცა მან 1826 წელს პირველად ჩაუყარა საფუძველი ეგვიპტურ სიძველეთა მუზეუმს, უძველეს აფრიკულ ქვეყანასაც მაშინ ეწვია. ეგვიპტეში მოგზაურობის დროს მან შეისწავლა უამრავი ძველბერძნული ძეგლი, ნარნერა, შეაგროვა არქეოლოგიური ღირებულების ნივთები.

ამ ექსპედიციაში შამპოლიონს თან ახლდა იტალიელი მეცნიერი და ეგვიპტის კონსული – ჯუზეპე აჩერბი. ჟან ფრანსუას არასოდეს ავიწყებოდა, აღენიშნა მისი ღვაწლიც.

მაგრამ, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ შამპოლიონმა ვერ მოასწრო ამ ექსპედიციის შედეგების სისტემატიზირება. ახალგაზრდა გენიალურ მეცნიერს ნაადრევად შეერყა ჯანმრთელობა და 1832 წელს, 41 წლის ასაკში გარდაიცვალა.

P.S. ჟან ფრანსუა შამპოლიონის სამეცნიერო ნაშრომთა 6-ტომეული, ეგვიპტეში მოგზაურობისდროინდელ ჩანაწერებზე აგებული, მისი სიკვდილის შემდეგ გამოსცა ძმამ, ჟაკ ჟოზეფ შამპოლიონმა. პირველი „ეგვიპტური ენის ლექსიკონიც“ და პირველი „ეგვიპტური ენის გრამატიკაც“, მეცნიერის სიცოცხლეში შექმნილი, დაიბეჭდა მისი გარდაცვალების შემდეგ.

1. რამდენი წლის იყო იესო ქრისტე, როცა ის მდინარე იორდანეს სანაპიროსთან მიუახლოვდა იოანე ნათლისმცემელს (რომელიც ხალხს ნათლავდა) და სთხოვა, მეც მომნათლო?

- ა) 28
- ბ) 29
- გ) 30

3. 1917 წლის 22 ოქტომბერს ქართველ მწერალთა კავშირის პირველ თავმჯდომარედ ვინ აირჩიეს?

- ა) კოტე მაცაშვილი
- ბ) კონსტანტინე გამსახურდია
- გ) ტიცვიან ტაბიძე

5. ხუნდი რომელი ფრინველის შვილია?

- ა) ქორის
- ბ) მტრედის
- გ) წეროს

7. სად დაიწყეს პირველად წიგნების ბეჭდვა?

- ა) ინგლისში
- ბ) ჩინეთში
- გ) რუსეთში



8. 1918 წლის 17 ივნისს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე რომელი პირველი ქართული ოპერის პრემიერა გაიმართა?

- ა) დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“
- ბ) ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომი და ეთერი“
- გ) რევაზ გოგნიაშვილის „ქრისტინე“

9. კვერნისებრთა ოჯახის რომელი ცხოველის ბენვისგან ამზადებენ საუკეთესო და ძვირადღირებულ სახატავ ფუნჯებს?

- ა) სიასამურის
- ბ) წავის
- გ) კოლონოკის

10. ხელოვნებათმცოდნეები თვლიან, რომ ამ პორტრეტისტი მხატვრის ნახატზე ყველანი, ქალების ჩათვლით, ჰგვანან პუტინს. ვინ არის ეს მხატვარი?

- ა) იან ვან ეიეკი (ჰოლანდიელი მხატვარი – XIV ს.)
- ბ) ივანე არგუნოვი (რუსი მხატვარი – XVIII ს.)
- გ) ედუარდ მანე (ფრანგი მხატვარი – XIX ს.)

2. ბოლო დრომდე აფხაზეთის რომელ ტაძარში იყო შემონახული გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის გამოსახულება?

- ა) ილორის მონასტერში
- ბ) ბედიის მონასტერში
- გ) მოქვის ტაძარში

4. რომელ ცნობილ ესპანელ ფერმწერს უწოდეს „ფუნჯის ტორეადორი“?

- ა) ფრანცისკო გოიას
- ბ) ელ გრეკოს
- გ) პაბლო პიკასოს

6. რომელ ბრძოლაში და როდის დაიღუპა ცხრა ძმა ხერხეულიძე?

- ა) დიდგორის ომში (1121 წ.)
- ბ) მარაბდის ომში (1625 წ.)
- გ) კრწანისის ომში (1795 წ.)



არნოლფინევის წყვილის პორტრეტი

მრავლობის რაიონის სოფელ ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ერთ-ერთ უძველეს სალოცავად ითვლება აქამდე. აქამდე მთელ დასავლეთ საქართველოში. ამ ტაძარს, სადას წიკვა-ლოსვა (ქართულ ენაზე) იშვიათად შევარხებულა, ათასგვარი სათხოვარითა თუ შესანიშნავით საქართველოს ყველა ქუთხიდან სუბიროდნად მომლოცველები. ილორის ეკლესიის, მის ქედლაგასა თუ ქვაფენილაგა ამოკვეთილი ქართული წარწერების შესახებ მომხიბრობან ქართველი და უსხოალი ისტორიკოსები, მოგზაურები. ტაძარი, სადას ქვაბის ქი ღალადადნად, ღდას, სამწუხაროდ, ქიჩითაა შეთეთრებული, წაშლილია ქართული ქვალი.

„ილქნის“ ავტორი მარია გუნი საქართველოს ეროვნული აქივის თანამშრომელია.

ახალგაზრდა მკვლევარის პუბლიკაცია – „ილორის წმინდა გიორგის ტაძრის ეპიგრაფიკა“, რომლის ამჯერადაც გაქარებულია პროფანონალიზმითა და მშობლიური ქუთხისადმი სიყვარულით, დაგზუნაგაგა სათქმელია.

ილორის წმინდა გიორგის ტაძრის ეპიგრაფიკა

მარია გუნი

ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი მდებარეობს აფხაზეთში, სოფელ ილორში. იგი აიგო XI ს.-ის პირველ მეოთხედში და მუდამ წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს და უმნიშვნელოვანეს სალოცავს. მას არაერთი რწმენა-წარმოდგენა და რიტუალი უკავშირდება. სწორედ ამ ეკლესიაში ინახებოდა ისეთი სინდინდეები, როგორცაა ბედიის ბარძიმი, რომელიც ბაგრატ მესამესა და მის დედას, დედოფალ გურანდუხტს შეუწირავთ მათ მიერვე 999 წელს აგებული ბედიის ტაძრისთვის, აგრეთვე, ილორის წმინდა გიორგის ხატი და ამჟამად უკვე დაკარგული ილორის ბარძიმი.

ეკლესიაზე ცნობები გვხვდება კათოლიკე მისიონერთა ცნობებში. იგი დატანილია არქანჯელო ლამბერტის 1654 წლის რუკაზე. ასევე, ჩვენამდე მოაღწია ქრისტეფორე დე კასტელის მიერ შესრულებულმა ილორის ეკლესიის ჩანახატებმა. ძეგლი მოინახულეს ისეთმა მოღვაწეებმა, როგორებიც არიან: ჟან შარდენი, დიუბუა დე მონპერე, მარი ბროსე და სხვა.

ილორის ტაძარს თავის ჩანახატებში იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონიც: „ზღვისა კიდეზედ, ამ წყლის (იგულისხმება წყაროებში არაერთხელ ნახსენები ეგრისის წყალი, სავარაუდოდ, მდინარეები ენგური, ღალიძგა ან ოხოჯა) დასავლეთ კიდეზედ არს ილორის ეკლესია წმიდის გიორგის... უგუმბათო, მდიდარი და შემკული“.

არქიტექტურული თვალსაზრისით, ილორის ეკლესია წარმოადგენს დარბაზული ტიპის ნაგებობას, რომელსაც ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს გააჩნია სხვადასხვა დროის მიშენებები. შესასვლელი დასავლეთით და სამხრეთითაა გაჭრილი, ხოლო შიდა სივრცე განათებულია ექვსი სარკმლით. ნაგებობის ფასადზე ამოკვეთილი იყო რამდენიმე ლაპიდარული წარწერა. შიდა სივრცე, სავარაუდოდ, შემკული იყო ფრესკული მოხატულობებით, რომელიც 1730 წელს თურქთა შემოსევებისა და მათ მიერ ეკლესიის დაწვის შედეგად განადგურდა.

აი, როგორ აღწერს ვახუშტი ამ მოვლენას: „მოვიდნენ ოსმალონი ილორს. არამედ ხატნი, ჯუარნი და სახმარნი ეკლესიისანი დაეხიზნათ, შეუდგეს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და აღძარცვეს კრამიტი ბრპენისა და მოსპეს დახატულობანი“.

ყველაზე დიდი უბედურება ძეგლს XXI ს.-ში დაატყდა თავს – 2010 წელს მას სრულიად ეცვალა სახე: იგი გადაღებეს, დაადგეს რუსული „ხახვისებრი“ გუმბათი და, ფაქტობრივად, დაუკარგეს პირვანდელი სახე. წარიხოცა ეკლესიაზე არსებული, პალეოგრაფიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ლაპიდარული წარწერებიც.



ილორის ტაძარი. XIX ს.-ის დასასრულის ფოტო

ილორის ტაძარი. XIX ს.-ის დასასრულის ფოტო



ილორის წინადა გიორგის ცნობილი კარაი სატი

ამ ეკლესიის ქტიტორთა ვინაობას სწორედ წარწერებიდან ვიგებდით. როგორც ჩანს, ისინი მაშინდელი მსხვილი საერო და სასულიერო პირები იყვნენ: ადგილობრივი წარჩინებული ფეოდალი გიორგი გურგენისძე, მთავარეპისკოპოსი გიორგი (სავარაუდოდ, იგულისხმება მოქველი ან ბედიელი მთავარეპისკოპოსი) და მღვდელი გიორგი ქოჩოლავა, მაგრამ ძველ ქართულში მიღებულ სიტყვათა კვეცის მიხედვით წარწერებში წარმოდგენილია, როგორც „ქოჩოლვაი“.

ასევე, ტაძრის მშენებელთა შორის დასახელებულია „გალატოზი გიორგი“ და საერო პირი მიქაელი, რომელიც, შესაძლოა, მშენებელიც იყო.

თავდაპირველად, ფასადზე მოცემული იყო სულ 6 წარწერა, მაგრამ უკვე იმ დროისათვის, როდესაც ანატოლი კაციაშვილი გადაიღო

ლაპიდარული წარწერების ფოტოპირები, ხოლო თეიმურაზ ბარნაველი მათ გაშიფრვას შეუდგა, ერთ-ერთი მათგანი იმდენად დაზიანებული იყო, რომ მისი გარჩევა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახლდა. 70-იან წლებში ილორის წარწერებზე მუშაობდა ისტორიკოსი ვალერი სილოგავა. გამოქვეყნებული 5 წარწერიდან ფოტოს სახით მხოლოდ ზემოთხსენებული გიორგი ქოჩოლავას წარწერა მოგვეპოვება. ადგილმდებარეობის თვალსაზრისით, ექვსივე წარწერა მოთავსებულია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე არსებულ ქვის ფილებზე შემდეგნაირი განლაგებით:

1. ე.წ. გალატოზის წარწერა:

წ(მიდა)ო გ(იორგი) ილორ(ია)ო [შ(ეინწყალ)ე გ(ა)ლ[ატოზი]

ვალერი სილოგავას აღწერილობით, წარწერის ფრაგმენტი ნუსხურადაა შესრულებული და ბოლო ნაწილი დაზიანებულია ფილის გადარეცხვის შედეგად; შესაბამისად, არ იკითხება. იგი XI ს.-ის პირველი მეოთხედით უნდა დავათარილოთ.

2. გიორგი მთავარეპისკოპოსის წარწერა (ნუსხური):

წ(მიდა)ო გ(იორგი) შეინწყალე მ(თავ)არ(ეპისკოპო)ზი გ(იორ)გი

ეს მეორე წარწერა შესრულებულია მხედრულით. შუა და ბოლო ნაწილი შედარებით დაზიანებულია, ამიტომაც მისი ამოკითხვის რამდენიმე ვერსია არსებობს. საყურადღებოა, რომ ისიც თარიღდება XI ს.-ის პირველი მეოთხედით, ანუ ემთხვევა ეკლესიის აგების პერიოდს.

3. მეორე ქვაზე არსებული წარწერის ფრაგმენტი:

წ(მიდა)ო გიორგი ილორისაო...ძეი თ...[შეინწყალე]



იტალიელი მისიონარის - ძრისტაფორო დე კასტელის მიერ შესრულებული ილორის ეკლესიის ჩანახატი ჩანაწერებთან ერთად. XVII ს.

მეორე ქვაზე არსებული ამ სამსტრიქონიანი წარწერის გარჩევა ჭირს, რადგან იგი შესწავლის პერიოდშივე იყო ნაწილობრივ გადაშლილი. ამან განაპირობა ის ფაქტორი, რომ ვალერი სილოგავა წარწერაში ვინმე მიქაელის არსებობას ვარაუდობს. განსაკუთრებული ამ წარწერაში ის გახლავთ, რომ იგი ასომთავრულწარევი ნუსხურით იყო შესრულებული – ბოლო ანუ მესამე სტრიქონში მოცემული იყო ასომთავრული სიმბოლოები.

4. გიორგი გურგენის ძის წარწერა:

წ(მიდა)ო გ(იორგი) ილორის(ია)ო [შ(ეინწყალ)ე] გ(იორგი) გურგენ[ნის] ძე

ეს სამსტრიქონიანი წარწერა ასომთავრულადაა შესრულებული. ერთმნიშვნელოვნად ზუსტად წარწერის შინაარსი არაა აღდგენილი, რადგან ისიც მეტად დაზიანებული სახით არსებობდა, ახლა კი უკვე მთლიანად შელესილია.

5. გიორგი ქოჩოლავას წარწერა:
წ(მიდა)ო გ(იორგი) შ(ეინყალ)ე გ(იორგი) ქო
ჩო[ლ]ვაი მღვდ(ე)ლი
წ(მიდა)ო გ(იორგ[ი] მფარ(ვე)ლ მექ
მენ:დიდს
ამას დღესა

ეს ერთადერთი წარწერაა, რომლის ფოტოპირიც მოგვეპოვება. იგი სულ ხუთსტრიქონიანია და ასომთავრულითაა შესრულებული; თუმცა ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ იგი ამკარად ავლენს ნუსხურისკენ მიდრეკილებას. ვალერი სილოგავას აზრით, აქ სულაც ნუსხური კალიგრაფიის მაგალითია.

აღნიშნული წარწერების შემსრულებლად ერთი ადამიანი უნდა ვივარაუდოთ, რადგან ხელწერა ყველგან ერთნაირია. პალეოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ოსტატი არ იფარგლება დამწერლობის ერთი კონკრეტული ტიპით-იგი მეტად თამამად რთავს ნუსხურში ასომთავრულს. გამონაკლისი მხოლოდ მხედრულით შესრულებული წარწერაა, რომელშიც გიორგი მთავარეპისკოპოსი იხსენიება. ასევე, აღსანიშნავია, რომ ყველა წარწერა ერთსა და იმავე ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა (XI ს.) და ეკლესიის აგებისთანავე უნდა იყოს დატანილი. ამგვარად, ვიღებთ ძეგლს, რომელზეც ქართული დამწერლობის განვითარების ამსახველი მეტად საინტერესო სურათია მოცემული-წარმოდგენილია ე.წ. გარდამავალი პერიოდი, როდესაც სამივე სახის კალიგრაფია – ასომთავრული, ნუსხური და მხედრული თანაარსებობდა.

ამგვარად, ილორის ეკლესიის წარწერებს უაღრესად დიდი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება გააჩნია. ახლა კი, როდესაც საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე, აფხაზეთი, ოკუპირებულია, ილორის ეკლესიას ამგვარი ბედი ხვდა წილად, ხოლო მოცემული წარწერები უკვე არც კი არსებობს, ამ ძეგლის ხელახლა გახსენება და, ერთი შეხედვით, მწირი, მაგრამ მაინც მეტად ინფორმატიული წყაროების განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.



იტალიელი მისიონარის არკანჯელო ლამბარტის მიერ 1654 წლის რუკაზე დატანებული ილორის ტაძარი (აფხაზეთის სსპ ტაძრებთან ერთად)

ბებია მოზესი – არაორდინალური გომორაფიის მსატყარი

ძალზე შთამბეჭდავი თავგანსვადი, რომელიც უნდა მოეფიქროთ „ილქის“ მკითხველს. ამბავი ანა მოზესისა. მსოფლიო კულტურამ ამერიკელი ქალბატონი ბებია მოზესით გაიცნო.

ჯერ ძალზე მოკლე – ანა მოზესმა ხატვა დაიწყო... 76 წლის ასაკში; ცხოვრების 101 წლის მანძილზე შექმნა 1600-ზე მეტი ტილო; მშობლიური კუთხის ზეისავეით ნაციონალიზმის მხარეზე ბირველი პერსონალური გამოფენა შედგა 1940 წელს, როცა თვითნასწავლი მხატვარი იყო 80 წლის. საინტერესოა, რომ ხელოვნების ბირველი ნამუშევრები იუდეობადა 3-5 დოლარად, 2006 წელს კი ნახატი – **Sugaring OFF** აუქციონზე შეფასდა 1.2 მლნ დოლარად. ბებია მოზესის ტილო – „4 ივლისი“ დღეს თეთრი სახლის კედლებსაც ამშვენებს.

* * *



ანა მერი მოზესი შურადა „ტაიმის“ ყდაზე

ანა მერი რობერტსონი დაიბადა 1860 წლის 7 სექტემბერს, ნო-იორკის შტატის ვანერბან გრიენში, ღარიბ ოჯახში. ამიტომაც ანა მერიმ მხოლოდ ორიოდე წელი დაჰყო სკოლაში, მერე კი უკვე მშობლებს ესმარებოდა უმცროსი და-ძმების (სულ 10-ნი იყვნენ) გაზრდასა და საოჯახო საქმიანობაში. 12 წლის იყო ანა მერი, როცა შეძლებულმა მესობელმა ის მოახლედ აიყვანა (სადაც იმსახურა 15 წელი).

1887 წელს ანა მერი დაქორწინდა თომას მოზესზე. წლების მანძილზე თავდაუზოგავი შრომითა და სხვადასხვა ფერმიდან აღებული დანახოვით მოზესების წველიმა, ბოლოს და ბოლოს, პატარა მუხრეობა შეისყიდა.

* * *

მართალია, ანა მოზესმა მთელი ცხოვრება დაუღალავა ჯაფაში გალია და, რომ იტყვიან, ფერმის გარდა არც არაფერი უნახავს, ხატვა მანაც ბავშვობიდან იტაცებდა. და სწორად, როცა სადგებავების შესამქნადაც არ გაანდა ფული, ზეისავეთ ლიმონისა და ყურძნის წვენებით, ჩამქრალი კირითა და შავი მიწის ნაფხვენებით აფერადებდა, მერე კი მათ ახლობლებს ჩუქნიდა.

მუდლის გარდაცვალების შემდეგ (1927 წ.) ანა მერიმ თავისი საქმიანობა სრულად გადააბარა უმცროს ვაჟიშვილს (სულ 5 შვილი ჰქონდა). დროც გამოთავისუფლდა და დაიწყო ქარჯვა და ქსოვა; ჩხირებმა და ნემსებმა გაუმწავა სახსრების ტკივილი, კვიმებმა ართროზის დიაგნოზი დაუსვეს. ფუნჯი ბევრად უფრო იოლი სახმარი იქნებაო, გადაწვიტა ანა მერიმ და დაიწყო ხატვა.

ეს იყო 1936 წელს, როცა ანა მოზესი 76 წლის იყო.

* * *

ზოხულანობა კი ბებია მოზესთან (ასე მონათლეს ანა მერი მოზესი ჟენალისტებმა) ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოვიდა. 1938 წელს ხელოვნების ცნობილმა კოლექციონერმა – ლუის კალდრომა – ჰუიკ ფოლსში (ნო-იორკის შტატის პრაინციპალი ქალაქი) ერთ-ერთი აფთიაქის ფანჯარაში გამოფენილი ნახატები შეამჩნია. კოლექციონერმა გაარკვია მხატვრის ვინაობა, მისამართი, ბებია მოზესის ესტუმრა კიდევ სახლში და აფთიაქში შექნილ ორ ნახატთან ერთად მისი 15-მდე სხვა ნამუშევარიც შეისყიდა. ეველანზე მთავარი – დაჰმარდა კიდევ, რომ განდიდა მას ზოხულანოვს.

მართლაც, ბებია მოზესის ნახატები კალდრომა შესთავაზა ბიხნესმენებსა და დილერებს, მუხუმებსა და სავაჭარო დარბაზებს; როდესაც იცებდნენ, რომ დაშვები მხატვარი 76 წლის იყო, დილერები ინფესტიციის ჩადებისგან თავს იკავებდნენ!..

ბებია მოზესმა ფუნჯი რომ იმ ასაკში აიღო ხელში, როდესაც ბედისგან საჩუქარს არავინ ელის!..

* * *

ლუის კალდრომა ზირობა მანაც შესრულა – 1941 წელს ნო-იორკის „გალერი სენტ-ტრენში“ მოწოდებდა 81 წლის ბებია მოზესის ბირველმა პერსონალურმა გამოფენამ კოლექციონერთა ჟურაღება მიიქცია. თანდათან ბებია მოზესი ზოხულანოვი გახდა ჯერ ამერიკისთვის, მერე კი – მსოფლიოსთვის. მისი ნახატები გაიცნო ამერიკის 30-მა შტატმა, გამოიფინა იაპონიისა და ევროპის 10-ზე მეტ სავაჭარო დარბაზში.

ბებია მოზესს, შავი ქედით, მაქსანებიანი საველოთი და მომხიბვლელი ღიმილით, უკვე ეველგან ცნობენ. ის ეველას ნიბლავს – კრიტიკულ საზოგადოებასაც და ჭირვეულ პრესასაც. მისი ნამუშევრები ჩნდება სხვადასხვა კალენდარზე, კერამიკულ ჭურჭელზე, მისალოც ბარათზე, სარეკლამო ბანერზე, ტუნისის, სივარეტისა და ფოტოაპარატის კოლოფებზე...

მარჯვენა ხელში ძლიერი ტკივილის გამო ბებია მოზესმა ხატვა გააგრძელა მარცხენა ხელით, თუმცა გვიანდელი ტილოები არანაკლები მხატვროვლი ღირებულებისა.

ასე იბადება ბებია მოზესის ლევენდა! ის ხდება ქვეყნის ნაციონალური სიმბოლო!

ქალბატონ მოზესს მიენჭა ნო-იორკის შტატის სახელმწიფო პრემია; მას ჯილდო გადასცა პრეზიდენტმა ვარი ტრუმენმა. შექმნა დოკუმენტური ფილმი მხატვრის შესახებ და ის ნომინირებული იყო ოსკარის პრემიაზე. დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მისმა ფოტოებმა დაამშვენა ჟენალებს „Time“-სა და „Life“-ის ედები. ნო-იორკის ჯუბენატორმა ნელსონ როგველერმა 1960 წლის 7 სექტემბერი (მოზესის დაბადების დღე) „ბებია მოზესის დღე“ გამოაცხადა.

უკვე ბებია მოზესის გარდაცვალების შემდეგ მთვარის ერთ-ერთ კრატერს მისი სახელი დაერქვა.

ბებია მოზესი სწორად იტყოდა ხუმრობით, ხატვა რომ არ დამეწყო, ალბათ, წიწილებს გავზრდიდი და ჩემს საფირმო ნამცხვარსაც დავაცნობდიო.

„უკან ვიუერები და ჩემს ცხოვრებას ვაფასებ, როგორც დასრულებულ სამუშაოს! ცხოვრება ისეთია, როგორც ჩვენ ვქმნით მას“, – აღნიშნა ერთ-ერთ ინტერვიუში ბებია მოზესმა.

ანა მერი მოზის ნიჟისტური ნამუშევრები



ანა მერი მოზის (გვინა მოზის). Sugaring Off. ნახატი, როგორც აუქციონზე გაიყიდა 1.2 მლნ დოლარად

არასოდეს...

ნანა ჭანტურიას

2005 წელს თბილისში, ამერიკელი ფოტოგრაფის – მალკომ ლინდონის ფოტოგამოფანაჯა სხვა დაღუპულთა შორის ერთ-ერთ სურათზე შეხვედრას თანამებრძოლი, გურამ ბაბასკირიას ამოცნახა.

უკვე 2017 წლის იანვარში, სააკაშვილს დავნიშნა სამინისტროსა და წითელი ჯვრის ორგანიზაციით, თბილისში გადმოასვენა 26 დაღუპულის იდენტიფიცირებული სხეულები. მათ შორის იყო გურამ ბაბასკირიას ნაშთიც.

საკაშვილს დასვინა და ავტონომიისთვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობის, გამოჩვეული გმირობისა და თავდადებისთვის სონიის მემორიალი, გურამ ბაბასკირიას მიენიჭა სააკაშვილს უმადლესი ჯილდო – აკოპული გმირის წოდება (სიკვდილის შემდეგ).

გურამ ბაბასკირია დაკრძალეს დიდუბის ქვითა სასაფლაოზე.

აფხაზეთის ვერადამოების გამო



გურამ ბაბასკირია. 1993 წ.

პუბლიკაცია სწორედ სოხუმის ყოფილ მერზე, პოლკოვნიკ გურამ გაბესკირიაზე; აგრეთვე, ყველაზე, ვინც გაბედა და 1993 წლის 27 სექტემბერს, ქართველებისთვის ამ საბედისწერო დღეს, ერთად ყოფნა გადაწყვიტა.

ეს იყო 30 წლის წინათ.

...ვიდრე მთავრობის სახლზე შეტევა დაიწყება, სოხუმი უკვე ალყაშია. თუმცა ჯერაც გადასატანია სამთავრობო კაბინეტებს შემორჩენილი მამაცი ქართველების ის „უკანასკნელი ომი“. იქვეა უცნობი ოპერატორიც, ქართველებისგან უკვე დაცლილ ქალაქს ის ცნობილი კადრები რომ დაუტოვოს წარწერით: „ასე დაეცა სოხუმი“.

აფხაზეთის დაცემიდან 2 წლის შემდეგ ჩვენამდე მოაღწევს სულისშემძვრელი დოკუმენტური ფირი.

დაუნდობელი სიმართლე ძნელი მისაღებია: ფირზე 1993 წლის 27 სექტემბერია აღბეჭდილი. უფრო ზუსტად, მთავრობის სახლის ალების შემდეგ შენობის წინ, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე განვითარებული მოვლენები.

...შენობიდან გამოჰყავთ ყიული შარტავა, გურამ გაბესკირია, რაულ ეშბა, არიკ შენგელია, ვახტანგ გეგელაშვილი, დაცვის ბიჭები, მამაცი „ავღანელები“.

მოდინა მძიმე ნაბიჯებით ჩვენგან მიტოვებულნი. თანდათან ჭირს ამ კადრების ყურება, იმის დაჯერება, რომ დაისაჯნენ აფხაზეთის ვერადამოების გამო.

„არასოდეს, ვიდრე ცოცხალი ვარ!“ – გაისმა მაშინ გურამ გაბესკირიას ხმა და იგი გმირის რეფრენად იქცა.

აფხაზეთის ომის დაწყებიდან 13 თვისა და 13 დღის შემდეგ ცოდო-ბრალი არ დაინდობს არაფერს ქართულს ფსოუდან ენგურამდე, რუსეთ-საქართველოს ომი კი ნაციონალურ კონფლიქტად მოინათლება. წლების მერეც არავინ აგვიხსნის, რატომაა შორი აფხაზეთამდე ან რომელ ქვეყანაშია ლტოლვილად მისივე მკვიდრი.

ომოხანაც უთამაშია

მეგობრებით განებივრებულ გურამ გაბესკირიასთან ნებისმიერი ვერ იმეგობრებდა. ის ერთი ფუთი მარილი, კაცის კაცად ცნობას რომ უნდა, თანაბრად იყოფოდა ერთმანეთს შორის.

ჭანბას ქუჩაზე იზრდებოდა. სპორტული სკოლის პარალელურად სამუსიკო სასწავლებელშიც სწავლობდა ვიოლინოს განხრით. ერთი პაგანინი იყო, მეორე კი მეო, უყვარდა თქმა და, საერთოდაც, იუმორის განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა.

ერთ დღესაც „არ მოეპრიანა“ მუსიკის მასწავლებელი და ვიოლინოს ბუდეში ინსტრუმენტის ნაცვლად კედები და პატარა ბურთი ჩაჩურთა. უფროსებისგან მაშინ მაგრად მოხვედრია, რასაც მუდამ ღიმილით იხსენებდა.


ყველამ იცოდა, გურამ გაბესკირია, რომ იტყვიან, დიდთან დიდი, პატარასთან კი პატარა იყო. „თევზკომბინატის“ დირექტორი იყო მაშინ, წონასაც არ უჩიოდა. სანვრთნელ მოედანზე ბავშვების თამაშს აკვირდებოდა. მათი ფინტებით ისე მოიხიბლა, რომ უცებ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ადგილიდან წამოხტა, ლაბადა გაიხადა და... ცოტა ხანში გურამ გაბესკირიას, უკვე ცნობილ ფორვარდს, სპორტის ოსტატს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ნევრს ამ პატარებთან ერთად გაჰქონდა ლამაზი გოლები.

1990 წელი განსაკუთრებული იყო გურამისთვის. მან მხარი დაუჭირა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომელმაც პროტესტის ნიშნად უარი თქვა საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე. გურამს ძალიან უნდოდა, აფხაზი კოლეგები არ წამოგებოდნენ რუსების პროვოკაციას. თხოვნამ არ გაჭრა, ვერაფერს გახდა. ასე დაიშალა სოხუმის „დინამო“, ასე შეიქმნა „ცხუმი“, რომლის პრეზიდენტადაც გურამ გაბესკირია აირჩიეს.

– გურამს ბოლომდე არ მოვცილებივარ. 26 სექტემბერს, ვიდრე დავიჭრებოდი, მთხოვა, მგონი, ცუდადაა ჩვენი საქმე და ჩემი ბიჭები „ცხუმის“ ბიჭები გაიყვანე ქალაქიდანო. გურამის ცრემლიანი თვალები ახლაც თვალწინ მიდგას, – ასე მოიგონა გურამ გაბესკირია მისმა სიყრმის მეგობარმა, „ცხუმის“ უფროსმა მწვრთნელმა აკაკი პაპავამ.

მამა დიდი სამამულო ომის მონაწილე ჰყოლია. გურამს მამის მედლებისა და ორდენების დაბნევა ჰყვარებია. სამკერდე ნიშნებით აიჭრელებდა თურმე მკერდს და შეერეოდა მეზობლის ბიჭებს.

მაშინ მხოლოდ ომობანას თამაშობდა.



ახალგაზრდა გურამ გაბესკირია

იმ საღამოს მასტრო

– განსაკუთრებული ურთიერთობა გურამთან არ მქონია, მაგრამ, მინდა, ის ერთი დღე, გავიხსენო, როცა მას შეეძლო ეთქვა: მე ვმღერი, იმიტომ, რომ მიყვარს, – ამბობს თემურ მჟავია*.

ომზე მაშინ არავინ ფიქრობდა. თემურ მჟავიას თავის მეგობართან, მწერალ გურამ ოდიშარიასთან ერთად კომკავშირის XV ყრილობის სახელობის ტურბაზაში შეუვლია. მათი ყურადღება მიუქცევია ერთ-ერთ კუთხეში გაკრულ, ზღვის პეიზაჟებითა და თვალსაჩინოებით აფერადებულ ფრაზა-პლაკატს: „У злых людей нет песен“.**

მეგობრებისთვის სასაუბრო თემები გამოკვეთილა: ნუთუ მართლა ვერ მღერიან ბოროტი ადამიანები? სევდიანი სამყაროს ნუგეში და მალამო, ალბათ, ლამაზი ჰანგებია... ვინ ანესებს ზღვარს სიკეთესა და ბოროტებას შორის – კეთილი თუ ბოროტი ადამიანები? გულით მღერიანო, რომ ამბობენ, ნუთუ შეიძლება, უგულოდ იმღერო?

* – აფხაზეთის უმაღლესი საჭოს დეპუტატი.

** – გორუტაბს სიმღერები არ გააჩნიათ (რუს.).

სალამოსთვის ბიჭები სტუმრებთან ერთად ტურბაზის რესტორანში შესულან. იქ თურმე სიურპრიზი ელოდათ – შემალღებულ ესტრადაზე, სადაც მუსიკოსები უკრავდნენ, გურამ გაბესკირიაც იდგა (მეგობრებთან ერთად ისიც თურმე ამ რესტორანში ვახშობდა). მალე ისეთი ჰანგები დაღვრილა დარბაზში, იმ დღეს კიდევ ბევრჯერ იხსენებდნენ ბიჭები. ერთ-ერთ მაგიდასთან სადღეგრძელოც დაუღვიათ, „სალამოს მაესტროს“ გაუმარჯოსო.

დროსა და ომში გაბნეული ჰანგებით

გურამ გაბესკირია ომის დროს დანიშნეს ქალაქის მერად. ბავშვივით უხაროდა, ქართველი რომ იყო ქალაქის მერი, თან ამბობდა: ჩემს თანამდებობაზე სხვისი დანიშვნაც, ის სხვაც თუ ქართველი იქნებოდა, ზუსტად ასევე მესიამოვნებოდაო.



სოხუმის „დიდი საათი“

მისი სიტყვების სინრფელეში ეჭვი არასოდეს უნდა შეგპარვოდა – ის ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა, ზუსტად იმას გაგრძობინებდა, რასაც განიცდიდა.

ქალაქის თავკაცმა თავისი მოღვაწეობა, იცით, რით დაინყო? არადა, ეს უნდა იცოდნენ სოხუმელებმა (და არა მარტო მათ)!

გადანყვიტა, ქალაქის ცენტრში, სვეტებზე აღმართული ცნობილი კოშკის „დიდი საათი“ ამღერებინა (ძალიან ადრე იგი, თურმე, მართლა გამოსცემდა ჰანგებს).

ომია, მაგრამ იცოდეს ყველამ, რომ ქალაქი ცოცხლობს; ამღერებული საათი ხომ დროში გაბნეული მუსიკააო, „უბრძანებია“ ქალაქის მერს.

გამოუძებნია ეროვნებით გერმანელი თუ ებრაელი, უკვე მოხუცი, ასეთი საათების ერთადერთი პროფესიონალი ქალაქში და... ცოტა ხანში ავტომატების კაკანში მაინც აუმღერებია დადუმებული საათი.

სხვა მხრივაც არ ზოგავდა თავს ქალაქის მერი. მთელი წლის განმავლობაში „ხარვეზები“ დაბომბვის „დღესვე სწორდებოდა“.

სოხუმის თავკაცის უშუალო მითითებებით აყრილ ასფალტს, დაზიანებულ წყალსადენს, ტროლეიბუსის განყვეტილ ხაზებს იმ დღესვე აღადგენდნენ. ელექტროსადგურშიც დროულად სრულდებოდა საავარიო სამუშაოები. პურისა და თამბაქოს ქარხნებს საათითაც არ შეუწყვეტიათ მუშაობა.

ხომ ხედავთ, ჩემს საქმეს ყოველთვის ისე ვაკეთებ, მტერს თუ ჩავუვარდი ხელში, სიკვდილი არ დაენანება ჩემთვის, იტყოდა თურმე.

„მოგვინავს გამოღწევა...“

– საოცრად ბედნიერი ოჯახი გვექონდა. მაშინაც კი გვენატრებოდა ერთმანეთი, როცა ერთად ვიყავით. მე მუსიკას ვასწავლიდი, გურამი, არც მთლად ხუმრობით, ტენორობას იბრალებდა. ჩვენი შვილებიც – ეკა და ვოვა მუდამ მზად იყვნენ, „შეეცსოთ“ ჩვენი ხმები. „ოჯახურ კვარტეტს“ კი მუდამ ჰყავდა თავისი ერთგული აუდიტორია – კარის ზღურბლს გადმოიხვევთ სტუმარი. განა სტუმარი მარტო ღვთისაა, ის ცოტა ჩემიცაა, მე ხომ მას ძალიან ველოდებოდიო, უყვარდა თქმა, – ასე მოიგონა გურამ გაბესკირია მისმა მეუღლემ, ჟანა დავითაია-გაბესკირიამ.

მათ შორის უკანასკნელი სატელეფონო საუბარი შემდგარა 27 სექტემბერს, გამთენიისას, 4 საათზე (კავშირი სოხუმთან უკვე განყვეტილი ყოფილა, მეუღლეს რაციით დაკავშირებია).

აღელვებულ გურამ გაბესკირიას დაღლილი, ჩახლეჩილი ხმით სულ რამდენიმე შეკითხვა დაუსვამს:

„რაო, რას ამბობენ ტელევიზიით, სოხუმში რა მდგომარეობააო?“ „ფული თუ დაგრჩა რამე?“ „ბავშვებს საჭმელი ხომ აქვთ?“

საუბარი კი იმ ერთი ფრაზით დაუსრულებია:
– ხო, ჟანა, მოგვინვეს გამოლწევა!..

იმ დღეს იმ მოედანზე

24-ე საარმიო ბრიგადის ოჩამჩირის სატანკო შენაერთის მებრძოლები სოხუმიდან გამოიტანენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო შტაბის ოპერატიული ცნობების ხელნაწერ ჟურნალს. იქ საათობრივად აღწერილი ომის უკანასკნელი 13-დღიანი ქრონიკა.

ბოლო ჩანაწერი განაჩენივითაა:
„მთავრობის სახლი ითხოვს დახმარებას“...

იმ დღეს, იმ მოედანზე ალში გახვეული მთავრობის სახლის მცველები ტყვიების დაცლამდე იომებენ. მაგრამ დახმარებას არავინ აღმოუჩენს მათ. არაერთი დაპირების მიუხედავად, გაინირება ის ერთი მუჭა „პირადი შემადგენლობაც“.

ვილაც უცნობი ოპერატორი კი, რუსული ცენტრის დაკვეთას რომ ასრულებდა, ჩვენთვისაც „გაისარჯა“: როცა იგი ქართველებს შესეული, გონდაკარგული, მოხორხოცე ადამიანების აგზნებულ სახეებსა და იმპროვიზირებულ მათ „გამარჯვების ცეკვას“ აფიქსირებდა, მისმა კამერამ ერთმანეთს შეხიდებული უშიშარი ქართველებიც, ბასტიონის მეციხოვნეებიც აღბეჭდა – იქ ბატონი ჟიული შარტავა, ტყვედაყვანილიც მშვიდი სახით დგას, იქ ბატონი გურამ გაბესკირია დგას, წაგებულ წრეშიც უშიშარი ხმითა და სიტყვით; რაულ ეშბაც იქაა, „აფხაზეთიც საქართველოაო“, ხშირად რომ იმეორებს; იქ დგანან ჩვენი სოხუმელი, გაგრელი და „ავღანელი“ ბიჭებიც, ბრძოლაში კი არა, იმპერიის მიერ პროვოცირებულ უთანასწორო ომში რომ დამარცხდნენ.

და მაინც: იმ მოედანზე, იმ დღის გმირი გურამ გაბესკირიაა – სოხუმზე, სანაპიროზე, თოლიებზე, სიცოცხლეზე, სიმღერაზე, ოჯახსა და მეგობრებზე, სამშობლოზე შეყვარებული კაცი...

„დაიჩოქე!“ – ამ ბრძანების პასუხად გაისმა თაობებისთვის გურამ გაბესკირიას მარადიული გადაძახილი „არასოდეს!“

თუ არის ადამიანის სულში ისეთი რამ, სიკვდილიც რომ ვერ ამარცხებს, იმ დღეს, იმ მოედანზე სწორედ ამას ვერ მოერივნენ, ვერ გატყვეს გურამ გაბესკირია.

ნეტა, ამღერებული საათის ხმები თუ ჩაესმის ისევ ქალაქს, უჩვენო და უქართველებო სოხუმს? თუ ახსენებს დროდადრო თავს მისი ყოფელი მერი – გურამ გაბესკირია?..



მთავრობის სახლი. სოხუმი



სოხუმის სანაპირო

ჩვენი ჟურნალი, რომ იტყვიან, ბანაბივრავულია იაპონური ავსტრალიით, რომლის საბანაბოვ წაჩან თუ თარგმინან „ილქინსთვის“. ახარად ჩადქსინაში სტუბრად გვყავდა სნობილი იაპონური ქართველოლოგი, საქართველოში მსოვრავი იასუჰირო კოჩიმა, რომელმაც მოგვანოდა ორი მოთხრობა. რომორს ბატონმა იასუჰირომ გვითხრა, ეს იაპონური მინიატურები შუასაუკუნეების მოთხრობათა, იბავთა და თქველაბათა ქრავულიდანაა (სახალწოდებით „უჯი-შუი მონოგატარი“), რომლის XIII ს.-ის დასაწყისში, ადრინდელ ქაბაქურას პერიოდში* შადბენილი.

დაწმუნავით შიიქლაბა ითქვას, იასუჰირო კოჩიმას მიერ კარლვინი, ბაბარტული ქარტულით თარგმნილი იაპონური მოთხრობები თავისი ორიბინალურობითა და მახვილგონიერებით აუსილაბლად მოხიბლავს მკითხველს.

შუასაუკუნეების იაპონური კრავულიდან „უჯი-შუი მონოგატარი“

იაპონურიდან თარგმნა იაპონელმა ქართველოლოგმა იასუჰირო კოჯიმა

ყრამა თავი მოიმძინარა



ეს ძველი ამბავია. ჰიეის მთაზე მდებარე ენრიაკუს ტაძარში ერთი ყრმა მსახურობდა.

სალამოს, მოცალეობისას, ბერებმა თქვეს:

– მოდი, ბრინჯის კვერი დავამზადოთ!

ამის გამგონე ყრმას გაუხარდა, მაგრამ იფიქრა:

– უხერხული იქნება, რომ არ დავიძინო და კვერს დაველოდო...

ყრმა ოთახის კუთხეში დაწვა, თავი მოიმძინარა და ისევ ბერებს მიაყურადა. ამასობაში ბრინჯის კვერიც მომზადდა და ბერებიც ახმაურდნენ.

ყრმამ გაიფიქრა:

– ალბათ გამაღვიძებენ...

და ისევ მოიმძინარა თავი.

მაშინ ერთმა ბერმა მართლაც დაუძახა:

– ბიჭო, გაიღვიძე!

ყრმას გული გაუხარდა, მაგრამ იფიქრა:

– პირველ დაძახებაზე რომ ვუპასუხო, ალბათ, იფიქრებენ, რომ მე კვერის გამო არ დავიძინე. ამიტომ, როცა კიდევ ერთხელ დამიძახებენ, მაშინ გავცემ პასუხს.

და გაიტრუნა, ვითომ ეძინა. მერე გაიგონა, რომელიღაც ბერმა უთხრა მეორეს:

– ნუ გააღვიძებ, ბიჭუნამ უკვე დაიძინა!

ყრმას გული დასწყდა და გაიფიქრა:

– ნეტავ, კიდევ ერთხელ დამიძახონ!

და დაელოდა, ბერები კიდევ რას იტყოდნენ. მაგრამ მალე მოესმა, ბერები როგორ ახრამუნებენ კვერს. რა უნდა ექნა და კარგა ხნის შემდეგ ყრმამ ხმა ამოიღო:

– რაა?..

ბერები სიცილით გაიგუდნენ.



* – იაპონიის ისტორიული პერიოდი 1185–დან 1333 წლამდე. სახელი უკავშირდება ქ. კაბაქურას, რომელიც თავიდან იყო კატარა სოფელი, შემდეგ კი იაპონიის პირველი შოგუნატის (შეუღალურ-სამხედრო ხელისუფლება) ცენტრი გახდა.

სიზმრის მკვიდრი

ძველად, ბიჭუს მხარის ერთ-ერთ ოლქში ცხოვრობდა მმართველის შვილი, რომელსაც ერქვა მაკიპიტო. ერთხელ მან სიზმარი ნახა და მკითხავ ქალთან მივიდა. მკითხაობისას, როცა ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, გარედან ხალხის ხმაური შემოესმათ. მხარის გამგებლის უფროსი ვაჟიშვილიც მობრძანებულიყო. იგი ასე, 17-18 წლის ყმანვილი იქნებოდა. სულით როგორი ადამიანი გახლდა, ვერ შეატყობდი, მაგრამ კარგ შთაბეჭდილებას კი ტოვებდა. თან ახლდა ოთხი-ხუთი ხელქვეითი.

– სიზმრის მკითხავი ქალის სახლი აქ არის? – იკითხა ყმანვილმა.

– დიახ, ეს გახლავთ, – უპასუხა ერთ-ერთმა თანმხლებმა მცველმა და ისინი სახლში შემოვიდნენ.

მაკიპიტო უკანა ოთახში გავიდა და კედლის ჭურჭრუტანიდან დაიწყო ჭვრეტა. ყმანვილი შემოვიდა და ქალს უამბო, ასეთი და ისეთი სიზმარი ვნახეო. მერე ჰკითხა, ეს რისი მომასწავებელიაო.

მკითხავმა ქალმა უპასუხა:

– არაჩვეულებრივი სიზმარია! თქვენ აუცილებლად დანიშნურდებით და ვეზირი გახდებით! მართლაც რომ, შესანიშნავი სიზმარი გინახავთ. მაგრამ ამ სიზმრის შესახებ არასოდეს არავის უამბოთ.

გახარებულმა ყმანვილმა გაიხადა თავისი მოსასხამი, აჩუქა მკითხავ ქალს და წავიდა.



ამ დროს უკანა ოთახიდან გამოვიდა მაკიპიტო და ქალს უთხრა:

– გამიგია, სიზმარს რომ იპარავენ. მინდა, იმ ყმანვილის სიზმარი მომაპარეინო. მხარის გამგებელი ოთხ წელიწადში დაბრუნდება დედაქალაქში, მე კი ადგილობრივი კაცი ვარ და მუდამ აქ ვიქნები. მამაჩემიც ამ ოლქის მმართველია და შენთვის უმჯობესია, მეტი პატივი მე მომაგო.

ქალმა უთხრა:

– კეთილი და პატიოსანი, თქვენი ნება იყოს! მაგრამ ახლა ოთახში ისევ ისე შემობრძანდი, როგორც წელან ის ყმანვილი შემოვიდა და სიტყვა-სიტყვით თავიდან მომიყვებით ის სიზმარი, იმ ყმანვილმა რომ მიაბო!

გახარებული მაკიპიტო ხელახლა შემოვიდა ისე, როგორც ის ყმანვილი და მკითხავს მოუყვა მისი სიზმარი. ქალმაც იგივე პასუხი გასცა. აღფრთოვანებულმა მაკიპიტომაც გაიხადა თავისი მოსასხამი, ქალს დაუტოვა და წავიდა.

ამის შემდეგ მაკიპიტომ ბევრი წიგნი წაიკითხა, დაჭკვიანდა და დაბრძენდა. ბოლოს ფრიად ნასწავლი კაცი დადგა. მის შესახებ ჭორებმა იმპერატორის ყურებამდეც მიაღწია. იმპერატორმა გამოსცადა გამგებლის ვაჟიშვილი და, მართლაც, დარწმუნდა მის ნიჭიერებაში. მაკიპიტო ჩინეთშიც კი მიავლინეს სასწავლებლად. იგი დიდხანს დარჩა იქ და კიდევ მეტად განსწავლული დაბრუნდა შინ. იმპერატორმა ირწმუნა მაკიპიტოს გონიერება, დაანიშნა და ბოლოს ვეზირობაც უბოძა.

ასე რომ, სიზმრის მოპარვა, მართლაც, საშიში რამ ყოფილა. მხარის გამგებლის ვაჟიშვილი კი, რომელსაც სიზმარი მოჰპარეს, თანამდებობის გარეშე წასულა ამ ქვეყნიდან. მისთვის სიზმარი რომ არ მოეპარათ, იქნებ, ვეზირიც კი გამხდარიყო. ამიტომ ნათქვამია, შენი სიზმარი სხვას არავის არ უნდა გაუმხილო.



ლელა ჟვანიას უკვე ისწავს „ილქის“ მკითხველი (სხვათა შორის, ქალბატონი ლელა ჰროვანიტი აქიმი). ის ამჯერადაც მოხილულია შოკაული წარსულით, სწორედ პიროვნებაზე უსწორი ამაგის მიზიდული სივსით.

ამ უბღიქასით ავსოვი გულწრფელობითა და სიზაქიზით გვიამგოს სკკუთარ ოჯახსა თუ სახლოზლო წრეში მოსმენილსა და განსდნილსა, „მისნიკების ბარათით“ დაგროვილ არაერთ სინსტერკის უაქსსა და თავგადსაველსა, რმგმლის უკავშირდება სოროგდმოგისთვის სწოგილ მოღვენებას – თამარ და აკაკი პაპავას, სკკატვლოდან არგმსინაში ამიგრიკებულ ამ დიდაბულ მამულიშვილებსა და მათ შთამომავლებს.

მკითხველი პიკვლად შიშუოგს არაერთ სგბულისგმო ამგავს, უფრო მისტ გმიგავს სკკატვლოდან შორს მყოფი რვანი დიდაბული თანამგმამულიების შესახებ, რმგლბის მთელი თავინათი სხოვრება ამიგრიკებულ ქართველებში ათნიქარი თვითშგგნების გამოღვიქებისა და ქართული იღმსტოგის გადსარკინად იღვწოდნან.

„არგმსინელი ქართველები“

ლელა ჟვანია

„მუშტი ვერაფრით გავაშლებინათ...“

1964 წელი. ბუენოს-აირესი.

სუხიშვილების ანსამბლის პირველი ვიზიტი არგმსინაში... წარმატებით ჩატარებული კონცერტები, აღფრთოვანებული მაყურებელი, ტაში, ოვაციები... ამას შეჩვეულნი არიან დიდი ნინო რამიშვილი და დიდი ილიკო სუხიშვილი; მაგრამ, რაოდენ დიდი იყო მათი გოაცება, როცა კონცერტის შემდეგ მოცეკვავებს უამრავი ქართველი ელოდა გარეთ.



თამარ და აკაკი პაპავები

იმ დროს, საბჭოური შეზღუდვებისა და ჩაკეტილი საზღვრების პირობებში, როცა შეუძლებელი იყო უცხოეთში წასვლა, აქ, შორეულ არგმსინაში, საიდან გარნდა ამდენი ქართველი?!

დიდი სურპრიზი წინ ელოდათ...
ევროპიდან გადმოსახლებულ ქართველ ემიგრანტებს სუხიშვილების მთელი დასი მიჰყავთ ბუენოს-აირესიდან 20 კმ-ის დაშორებით მდებარე ლამაზ, პატარა ქალაქ ლომას დე სამორაში, სადაც ლეო ჭეიშვილის ოჯახში ასვენია 74 წლის მოხუცი – ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი დიდი მწერალი აკაკი პაპავა. სწორედ აკაკი პაპავას „დამსახურებით“ შედგა ემიგრანტთა შეხვედრა ქართულ ანსამბლთან და, შესაბამისად, მათთან გაიგივებულ სამშობლოსთან. თურმე, ბუენოს-აირესის ფოსტაში ჩასული აკაკი (რომელიც ევროპაში მყოფ ქართველ თანამემამულეებს

ხშირად უგზავნიდა წერილებს, ამანათებს) შემთხვევით გადაანყდა აფიშას, საიდანაც ქართულ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგო-ბიჭები იმზირებოდნენ!..

აკაკი პაპავას კონცერტის 60 ბილეთი უყიდა არგმსინაში მცხოვრები ყველა ქართველისთვის, ავტობუსში ასულა, მაგრამ... სახლამდე ვერ მიულწევია: გულის შეტევით საავადმყოფოში მიყვანილი მალევე გარდაცვლილა. კლინიკაში მისული ოჯახის წევრებისთვის ექიმებს უთქვამთ:

– ხელში რაღაც ისე აქვს ჩაბღუჯული, რომ მიცვალბულსაც კი მუშტი ვერაფრით გავაშლებინეთ!..

ამ ჩაბღუჯული „რაღაცის“ – ბილეთების ამბავი რომ გაარკვიეს, ოჯახის წევრებმა სთხოვეს აკაკის შვილიშვილებსა და ქართულ ემიგრაციას, დროებით შეეშროთ ცრემლი და უკლებლივ ყველა ქართველი წასულიყო კონცერტზე, სადაც სული ვერ მიატანა სამშობლოს მონატრებულმა, სამშობლონართმეულმა ქართველმა ემიგრანტმა აკაკი პაპავამ.

გამოცემული ნიგნაბი

სამტრედიასი დაბადებული ქ. იურევის ისტორია-ფილოლოგიისა და ქ. მოსკოვის იურიდულ ფაკულტეტებზე განათლებამიღებული აკაკი პაპავა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას სტუდენტობის წლებიდანვე იწყებს: საქართველოს ქალაქებსა და დაბებში კითხულობს ლექციებს ლიტერატურაზე.

1910-იანი წლებიდან ქართული პრესის ფურცლებზე აქვეყნებს წერილებს, ესეებს, ხდება სათეატრო მოღვაწეთა პირველი ყრილობის დელეგატი.

1914 წელს აირჩიეს მწერალთა კავშირის რიგით მეორე თავმჯდომარედ (პირველი თავმჯდომარე იყო კოტე მაცაშვილი). საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921 წ.წ.) იყო საქართველოს პარლამენტის წევრიც და დედაქალაქის გამგეობის წევრიც.

1922 წელს უერთდება ემიგრაციას ბერლინში, სადაც ერთ წელიწადში ჩადის თამარი, მისი მეუღლე შვილებთან ერთად. ქალბატონი თამარ პაპავაც ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა საქართველოში, აქვეყნებდა მოთხრობებს ქართულ ჟურნალებში. შემდეგ უკვე სამშობლოს გარეთ განაგრძობდნენ ისინი თანამშრომლობას ქართულ ემიგრანტულ პრესაში, წერდნენ ნოველებს, რომანებს, იკვლევდნენ საქართველოს ისტორიას.

1937 წელს გამოვიდა თამარ პაპავას წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, ექვთიმე თაყაიშვილის წინასიტყვაობით. წიგნი ქართველ ქალთა ისტორიული მოღვაწეობის შესახებაა.

1956 წელს თამარ და აკაკი პაპავებმა ბუენოს-აირესში გამოსცეს წიგნი „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“. უცხოეთში გამოვიდა აკაკი პაპავას ლექსთა კრებული: „ათასხუთასწლოვან თბილისს“. მისი უკანასკნელი პოეტური კრებული „მონამეთობა“ დაიბეჭდა 1962 წელს ნიუ-იორკში. 1966 წელს პარიზში, ჟურნალ „კავკასიონის“ საგანგებო ნომერში გამოქვეყნდა აკაკის საინტერესო წერილი – „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი“, რომელიც რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს მიეძღვნა.

1970 წელს გამოიცა თამარ პაპავას ბოლო წიგნი „გაბნეული საფლავები“, რომელიც ქართული ემიგრაციის უმძიმეს ხვედრზე მოგვითხრობს.



ლეო (ლეიონიდა) ჭიჭიშვილი

შეხვედრა 50 წლის შემდეგ

სუხიშვილების ანსამბლი ტოვებდა არგენტინას, მაგრამ მოჰქონდა უცნობი დიდი მწერლის საოცრად ამაღლებული ისტორია და ქართველ ემიგრანტთა უსაზღვრო სევდა... თბილისში მალევე გავრცელდა ახალი ამბები. პაპავებთან ერთად ჭიჭიშვილების გვარმაც გაიჟღერა...

ნინო რამიშვილთან მიდის რუსთაველის თეატრის კონცერტმაისტერი, პიანისტი – ეთერ ჭიჭიშვილი, რომელსაც 42 წლის წინათ გერმანიაში სასწავლებლად წასული ძმის შესახებ დიდი ხანია, არაფერი სმენია.

ქალბატონი ნინო ბევრს ვერაფერს ეუბნება, დრო არ ჰქონდათ, გამოგვეკითხა მათი წარმომავლობა, თანაც, ოჯახი მგლოვიარედ იყო; თუმცა, უდასტურებს, რომ პაპავების ორივე ქალიშვილის ქმარი გვარად ჭიჭიშვილია და ორივეს ასაკი ემთხვევა ქალბატონი ეთერის ძმის ასაკს.

1970 წელს, არგენტინაში იმართება ფეხბურთის მატჩები მსოფლიო თასის პირველობაზე და სპორტული კომენტატორების ჯგუფი მიემგზავრება ამ მატჩების გასაშუქებლად. მათ შორისაა ქართველი მსახიობი და კომენტატორი კოტე მახარაძე, რომელსაც წერილს ატანს ქალბატონი ეთერი იმ იმედით, რომ ერთ-ერთი ჭიჭიშვილი მისი ძმა აღმოჩნდება. წერილში წერია მშობლებისა და დების სახელები, მათი წარმომავლობა და ერთადერთი ძმის გერმანიაში გამგზავრების ამბავი.

კოტე მახარაძესაც ჩამოაქვს გულისამაჩუყებელი წერილი და ამბავი იმ დიდი სიხარულისა, რამაც გააბედნიერა ლეო ჭიჭიშვილი და მისი ოჯახი.

ასე იპოვა თითქმის 50 წლის წინათ ევროპაში წასული 17 წლით უფროსი ძმა საკუთარმა დამ შორეულ არგენტინაში. მხოლოდ 1974 წლის 12 აგვისტოს შედგა მათი შეხვედრა ოკეანის გაღმა.

აეროპორტში 70 წლის ჭარმაგი ლეო 53 წლის ეთერს ისე ეფერებოდა და ეალერსებოდა, როგორც იმ პატარა დას, 3 წლისა რომ დატოვა 21 წლის ჭაბუკმა. ეთერ ჭიჭიშვილს თან ახლდა ქალიშვილი ნანა ყიფიანი, რომელიც ჩემი თანაკლასელის (ავტორის. რედ.) დედა იყო, ეთერი კი ბებია. სწორედ მათგან ვიცი ის ინფორმაცია, რომელსაც გიზიარებთ.



საზა (ალექსანდრა) ჭიჭიშვილი

სამშობლოში მირა არ დაბრუნებულა



ტურფა პაპავა-ჭიჭვილია

ლეოსა და ეთერის მამა, სამტრედიის აგურის ქარხნის მფლობელი შეძლებული კომერსანტი ყოფილა. უცხოური ავეჯიც და ფაიფურის ჭურჭელიც შემოჰქონდა საქართველოში. ლეო 7 დედამამიშვილიდან ერთადერთი ვაჟი იყო და მშობლებს ძალ-ღონე არ დაუშურებიათ მისთვის კარგი განათლების მისაცემად. 1911 წელს ლეო შეუყვანიათ არნოლდის ფრანგულ პროგიმნაზიაში, რომელიც ბათუმში 1908 წლიდან ფუნქციონირებდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ახლადდაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაუბარებია, მაგრამ, მამის რჩევით, მეორე კურსიდან გამოსულა და 1926 წელს, 21 წლისას სწავლა ბერლინ-შარლოტენბურგის (გერმანია) უმაღლეს სასწავლებელში გაუგრძელებია.

მამა ერთხანს თანხას უგზავნიდა. შემდეგ კი, როცა ეს შეუძლებელი გახდა, თავს მხაზველობითი საქმიანობით ირჩენდა. სწავლის დასრულებისთანავე უნდოდა ლეოს სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ემიგრირებულმა ქართველებმა დროებით თავშეკავება ურჩიეს. ყველა ხელსაყრელი დროის დადგომას ელოდა, რათა ერთად დაბრუნებულიყვნენ.

1935 წელს ლეომ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და დოქტორ-ინჟინრის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. 10 წელი მუშაობდა კაიზერ-ვილჰელმის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში (ამჟამად ეს ინსტიტუტი მაქს პლანკის სახელითაა ცნობილი).

ამ პერიოდს მიეკუთვნება 12 სამეცნიერო ნაშრომი და მრავალი გამოგონება სილიკატური ქიმიის დარგში. აქვე დავსძენ, რომ იგი 37 მეცნიერული შრომის ავტორია და მისი ბოლო მონოგრაფია ქართულ ქვეყნებს ეხება.

ის არის მსოფლიოში აღიარებული მეცნიერ-ქიმიკოსი, მრავალი გამოგონების ავტორი, მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე; ფლობდა ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებს, მაგრამ მის ქართულს სიცოცხლის ბოლომდე მცირედიტაც არ შეპარვია უცხოური კილო. წერდა ლექსებს. ემიგრანტურ ჟურნალ „კავკასიონში“ ხშირად იბეჭდებოდა სამშობლოს სიყვარულითა და მონატრებით სავსე მისი ლექსები; კარგად ხატავდა. **სამხრეთ ამერიკაში გამოცემული აკაკი პაპავას ყველა წიგნი მისი დასურათებულია. ლეო ჭიჭვილის ფერწერული ტილოები თუ გრაფიკული ნამუშევრები დღესაც ამშვენებს შვილებისა და ახლობელთა სახლების კედლებს.**

ორი ჭიჭვილი

1938 წელს ლეო ჭიჭვილმა ჯვარი დაინერა აკაკი პაპავას უფროს ქალიშვილზე – ტურფა პაპავაზე; მათ 5 შვილი ეყოლათ: ნინო, მარიამი (პუსი), მზია-თამარი (ზიკუნა), მაცყალა და დავითი (სხვათა შორის, ნინო პროფესიონალი მხატვარია და გუსტავო დე ლა ტორესის მიერ ესპანურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც სანტიაგო დე ჩილეში დაიბეჭდა, მისი დასურათებულია).

1941 წელს აკაკი პაპავას უმცროსი ქალიშვილიც მზია ცოლად გაჰყვა გვარად ჭიჭვილს (გურულ საშა ჭიჭვილს სოფელ ასკანიდან), რომელმაც თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1926 წელს, საფრანგეთში ჯერ გრენობლის უნივერსიტეტში, შემდეგ კი პარიზში განაგრძო სწავლა. საშა მამის გარდაცვალების შემდეგ ნასულა საფრანგეთში და ისიც თავდაუზოგავად შრომობდა, რომ სწავლა თავად დაეფინანსებინა. ერთხანს ქართველების მიერ დაარსებულ რძისა და მანვნის ქარხანაში მუშაობდა...



მზია პაპავა-ჭიჭვილია

აღნიშვნის ღირსია საშას მამა, რომელმაც მოღვაწეობა სოფელ ასკანაში მასწავლებლობით დაიწყო. იქვე დაუარსებია ბიბლიოთეკაც, სცენისმოყვარეთა დასიც, რომლის ხელმძღვანელიც და რეჟისორიც თავად ყოფილა. ჩაის კულტურაც მას შემოუტანია გურიაში; ყოფილა სოფლის მამასახლისიც, შემდგომ ოზურგეთის საბჭოს წევრიც, ბახმაროს კეთილმოწყობის საზოგადოების დამაარსებელი, ასევე, რამდენიმე სავაჭრო-სამრეწველო ფორმის დამაარსებელიც.

XIX ს.-ის დამლევს საფრანგეთში ჩასულა, იქ ფრანგული ღვინის დაყენების ტექნოლოგია შეუსწავლია. შამპანიადან და ბორდოდან სპეციალური მანქანა-დანადგარები ჩამოუტანია და

მეღვინეობა მისი მთავარი საქმიანობა გამხდარა. გააშენა ვაზის ჯიშები და ასკანაში მცირე საოჯახო კომპანია „ძმები ჭეიშვილები“ დააარსა.

1911 წელს დონის როსტოვში, საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარუდგენია 1903 წლის მოსავლის ასკანური ღვინო, რომელსაც ვერცხლის დიდი მედალი და სპეციალური დიპლომი მიენიჭა. სოლომონ ჭეიშვილი ყოფილა დიდი მეცენატი და აფინანსებდა თანასოფელელთა და ნათესავთა განათლებას. 1924 წელს გარდაცვლილა.

მისი სახლი ასკანაში და ეზო-კარმიდამო 1924 წლის აჯანყების შემდგომ რეპრესიებს ემსხვერპლა. მის ეზოში სოფლის ადმინისტრაციული შენობა და საბავშვო ბაღია გაშენებული.

სოლომონის ვაჟს – ალექსანდრე (საშა) ჭეიშვილს მომავალი მეუღლე – სორბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სიტყვიერების ფაკულტეტის კურსდამთავრებული მზია პაპავა, ნიცაში გაუცვნია.



კრეტსაბმელი – საკურთხევის გადასაფერებელი. XVIII ს.

კრეტსაბმელი – ქართველთა განძი

იმერელი და გურული ჭეიშვილები ერთად დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ სიღვინო-სიმამრთან ერთად და სხვა ემიგრანტ ქართველებსაც ეხმარებოდნენ (ევროპაში დიპლომირებულნი ყოველთვის იყვნენ დასაქმებულნი). გერმანიაში მათთან იკრიბებოდნენ ევროპაში მიმოფანტული ქართველები.

ხშირი სტუმრობის მიზეზი ისიც იყო, რომ 1937 წლიდან მათ ოჯახში ინახებოდა სიონის ეკლესიიდან გატაცებული კრეტსაბმელი (საკურთხევის გადასაფერებელი) და მის სანახავად, როგორც ეკლესიაში, ისე დადიოდნენ ქართველები.

ამ გადასაფარებელს ბერლინის აუქციონზე შემთხვევით გადააწყდა აკაკი პაპავა, რომელიც გასაყიდად ჰქონდა გამოტანილი სომეხი კოლექციონერის ქვრივს. ექვთიმე თაყაიშვილისგან მიღებული ნერილის შემდეგ, სადაც ის უდასტურებს კრეტსაბმელის დიდ ფასეულობას ქართველთათვის, აკაკი ყველა ღონეს ხმარობს ამ ფარდაგის შესაძენად. ექვთიმე იხვეწება: „არ გაუშვათ ხელიდან, ეს ჩვენი საგანძურია“.

იგი მოუქარგავს ერეკლე მეფის მამიდაშვილს, თეიმურაზ II-ის დისშვილს – ქეთევანს (მაკრინეს ქალიშვილს) და 1773 წელს შეუწირავს თბილისის სიონის ეკლესიისთვის (ქეთევანი ჩოლოყაშვილი იყო ქსნის ერისთავის – იესე ყულარალასის ქვრივი, დედა დავით III-სა).

„სურათი რომელიც მასზეა ამოქარგული, წარმოადგენს იესეს ნერგს, რომლიდანაც მომდინარეობს ძველი ალექსის მეფენი და წინასწარმეტყველნი და თავად ღვთისმშობელიც. ჩვენი ბაგრატიონთა ლეგენდაც ხომ იესესა და დავითს უკავშირებს მათ შთამომავლობას!“ – იწერება ექვთიმე ლევილიდან.

20 ათას დოლარად დაიხსნეს ეს ვეებერთელა ფარდაგი პაპავებისა და ჭეიშვილების ოჯახებმა. 1939 წელს ჰამბურგის ბანკს ჩააბარეს ეს განძი შესანახად. 1943 წელს ბანკი დაიბომბა, მაგრამ გადარჩა ის სეიფი, რომელშიც ფარდაგი ინახებოდა.*



კრეტსაბმელის ფრაგმენტი ქეთევან ჩოლოყაშვილის ამოქარგული ნარჩებით. XVIII ს.

* – გაბრიელა შამლაგ ნომერი



ლენინი პარიზში

ლენინი ბერლინის გადაწყვეტილებით, 1931 წელს დიდი რუსთაველის საოპერეტო (დაახლოებით 750 წ.) თბილისში უნდა დაეწყო მუშაობა და მის ადგილზე აღმართულიყო რუსთაველის ძეგლი (როგორც წინასწარ იყო დაგეგმული, აქ, თბილისის ვეფხველეს უბანში, მუფე ვახტანგ გორგასალს აღმართვის კვლევისა და ცის-სიმაგრე. აქვე დაუკრძალავთ V ს.-ის წმინდანი შუშანიკი წამებულად). თუმცა ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ ქართველი ინტელიგენტები (მწველი მიხეილ ჯავახიშვილი, რეჟისორი სანდრო ანბრეკელი...) მხატვარ დიმიტრი შვედენის მეთაურობით. სასტიკი წინააღმდეგობის ბრალდებით მხატვარი დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს (1937 წლის რეპრესიების ემსხვერპლენ მიხეილ ჯავახიშვილიც, სანდრო ანბრეკელიც...). მეტეხის ტაძრის გადაარჩენა მინც მოხერხდა. დიმიტრი შვედენს იყო ეროვნული სამხატვრო კავშირისა და მხატვართა კავშირის დამფუძნებელი. მას დიდი ღვაწლი მოუძღვის ფიროსმანის სურათების მოძიებაში (სამხატვრო აკადემიის მან გადასცა სხვადასხვა დროს მოძიებული ფიროსმანის 11 ნახატი). 1918 წელს დიმიტრი შვედენს იყავნ ჯავახიშვილის მითითებით შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი და ბეჭედი.

დღემდე დარჩენილია 150 მლნ კმ-ია, ხოლო მთავრები — მხოლოდ 384 ათასი კმ.

„თუ შენ მონა ხარ, არ შეიძლება, იყო მეგობარი, თუ შენ ტირანი ხარ, მეგობრები არ გეყოფება“, — ეს გერმანელი მოაზროვნის, ნიშეს აზრია.

ვეფხველეს უმცროსი ვაჟი 1470 წელს კიოლში (გერმანია) გამოცემული გაზეთი მიიჩნევა (მისი ერთადერთი ეგზემპლარი დღემდე შემორჩენილი). პირველი კონსტიტუციის 1645 წელს დაბეჭდილი და ის შედგენილი ლიტერატურის აკადემიამ გამოცდა.

ზაზარცა ის ფოტოგრაფიკოსია, რომელიც ცნობილი აღმომავალი მათი თანამოების ვარეუ უფლებს მკომპრომატირებულ სურათებს. ეს ტერმინი დაპყვირებულია 1960 წლიდან, როცა კარანზე გამოჩნდა ფედერაო ფელინის ფილმი „ტაბილი ცხოვრება“. მთავარ გმირს ჰუას მეგობარი, ის პროფესიით ფოტოგრაფია და სახელად ჰქვია ზაზარცა. რეჟისორის მიერ გააზრებული ეს პერსონაჟი მომავლურული ფოტოგრაფია.

არ არსებობს არცერთი, შეიცვარული, ბრანდოური და ბელგოური ენები. არცერთში ლაზარკობენ ესპანურად, შეიცვარებაში — გერმანულად, ბრანდოში — ბორტუგალიურად, ბელგოში — ფრანგულად.

ამბობენ, ბალსაჟი გენიალური დამომავლისადმი უდრესი მოწიფების ნიშნად ქედს ისდიდა, როცა ლაზარკობდა... თავის თავზე.

ბაღებს შორის ვეფხველეს ჰევიანია ბორდერ-კოლი, ვეფხველეს მომტერი კი — ულამაზესი ავღანური მწვეარი.

ვახისა და ღვინის სამომბლოდ მიიჩნევა კავასია (უფრო კონკრეტულად, საქართველო). კავასიასა და მესობოტამიაში (ახლანდელი ერაუის ტერიტორია) ვახი გაჩნდა ჩვ.წ.ად.-მდე 6000 წელს, ვევიტკუმი ჩვ.წ.ად.-მდე 3000 წელს, საბერძნეთი კი — ჩვ.წ.ად.-მდე 2000 წელს... მთლიანად ვეროპამია კი ვახი გაგრცელებდა ჩვ.წ.ად.-მდე 500 წელს.

დოკოკინას სასტესო ორგანოები განთავსებულია თავთან, კისრის სიხლოვეს.

უნგრული ორინტოლოგების (ზოოლოგიის დარგი, რომელიც ფრინველებს სწავლობს) მონაცემებით, ბუღბუღის «რეპერტუარი» დაახლოებით 2000-მდე სხვადასხვა მელოდის ითვლის.

საქართველოს ერთადერთი და უკანასკნელი ქართველი ეგზარქოსი* იყო ვარლამ ერისთავი (1811-1817 წ.წ.-ში) — საქართველოსა და რუსეთის კვლევის მღვდელმთავარი, ქართლ-კახეთის მიტროპოლიტი. მას შემდეგ ამ თანამდებობაზე მხოლოდ რუსი საეკლესიო ბირები ინიშნებოდნენ.

ფუტკარი (ბევრი სხვა მწერის მსგავსად) ზუზუნის ხმას ფრთების მოძრაობით გამოსცემს. საათში ის გადის 25 კმ-ს.

მიმდინარე — 2023 წელს ცნობილი ბოტს ჯანო ჯანელიძეს 90 წელი შეუსრულდებოდა. საოპერეტო სადამოზე დიდების პანთეონის დირექტორმა ბადრი ქუთათელაძემ განაცხადა, რომ ჯანო ჯანელიძე ერთადერთი დღევინი შემოქმედა, რომელიც განისვენებს დიდების პანთეონში.

„ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტეს ერთ-ერთი რუკა შეიქმნა ძვ.წ.ად.-ით 430 წელს, ანუ 25 სუკუნის წინ. ამ რუკაზე არაა დეტალური ჩვენი მესობელი სახელმწიფოები — არც დიდი რუსეთი, არც თურქეთი, არც სომხეთი და არც აზერბაიჯანი. ამ დოკუმენტის მიხედვით არ არსებობს არც ბევრი თანამედროვე დიდი ევროპული სახელმწიფოც. მაგრამ რუკაზე საქართველო კოლხეთის სახელწოდებითაა წარმოდგენილი.

150 წლის წინათ, 1873 წელს გენიალურმა ლეე ტოლსტოიმ მუშაობა დაიწყო თავის რომანზე „ანა კარენინა“. ამ უდიდესი ნაწარმოების თავდაპირველი სახელწოდებები იყო „ორი ქორწინება“ და „ეოჩაღ, დედაკაცო“. თეოდორ დისტოვესკი, რომელიც ლეე ტოლსტოის „სელოვნების დმერტს“ უწოდებდა, ამ რომანს „დიდებულ წინადა“ მიიჩნევდა.

რეგას ლადიბის უკვდავი ნაწარმოების, ქადაქის სიმბოლოდ ქცეული „სიმღერა თბილისზე“ 65 წლისა. ის შეიქმნა 1958 წელს, როცა საქართველოს უნდა ეყვიმა თბილისის 1500 წლის ობილე.

გერმანული ფული — 200 გრიანა, ლესია გერმანიას გამოსახულებით, მიიჩნევა ვეფხველეს ორიგინალურ ბანკოტად მსოფლიო ფულის კონკურენციაში... ნავის სატერიტო მანქანის ძეგლი მდებარეობს გერმანიის ტერიტორიაზე და ის დღემდეწაზე ერთადერთია.

ფრანკმა გამოგონებულმა — ეოზეფ ნემსომ (1765-1833 წ.წ.) შექმნა პირველი ფოტოგრაფია „ხედი ფანჯრიდან ლე გრასზე“ (სადაც გამოგონებული ცხოვრობდა). იგი დიდი დროს 1826 წლით. მასზე გამოსახულია ხედი ფანჯრიდან. ფოტოზე ვხვდებით მტრებს, მსხლის ხეს, დამრც სხურაუს, აგრეთვე, სხლის სხვა ნაწილებს. მისმა შვილმა — ისიდორ ნემსომ გააგრძელა მამის საქმე და გახდა ლუი დავერის (ფრანგი მხატვარი, გამოგონებელი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი დამფუძნებელი) კომპანიონი.



პირველი ფოტოსურათი, რომელიც გადაიღო ვრანგა ბამოგონეპალმა პოზუო ნასოზ, 1826 წელს

* — XIX ს.-ში რუსეთის მიერ საპარტოპლოში დანიშნული მღვდელმთავრები.

ქველი სამურზაყანო უკუვი ტრადიციებით ოდითგან სიძველედ გუგუხად ედგა ჩვენს სამშობლოს. ის დღესაც დროებით დაქარბული აფხაზეთის სოსხალი ნაწილია, იმადღა, რადგან იქ ქველბუგად ქართულად საუბრობენ და „ნიკვა-ლოსვა ქართულად აღესკულები“. დღეს ბაღი აფხაზეთის დამაკავშირებელი ხილია დანარჩენ საქართველოსთან. თუმცა რუსული პოლიტიკა დამთავრებულია ყველასთვის და, მით უფრო, მოზარდებისთვის. სკოლის მოსწავლეა, რომლის ქალიბავიური ნაშრომი ამჟამად „ილაქინა“ ყდას (ბოლო გვირგს), აქ ის უკვე თავისი ვინაობის ბაგხალა.

ბაღის საგანმანათლებლო რესურს-სენსტი შექმნისდაგვიანად ჟოგდინიჩეას უნავს ბაღელი ბავშვებისა და მოზარდების სწავლის პრისას, მათ სულიერ განვითარებას.

ნონა შონია, ბაღის საგანმანათლებლო რესურს-სენსტის უფროსი, გვიამბობს ქველი სამურზაყანოს სახელოვანი ნაწილისა და ბაღის მოსახლეობის რთულ, ყოველდღიურგანსთან ბაგლოით სავსე 30-წლიან ისტორიაზე, ქართველებისა და აფხაზეთის შეიგებებისგან გადამდგმულ პიკვალ, გაუბადავ ნაბიჯებსა და იმადღის იმ პასტაზე ნაპერქალზე, რომელიც, იმის მიუხედავად, ამ ირი მოგვა ხალხის ერთმანეთის გვირგვინად სსოვრებაზე ბაგინა.

სადაც რუმად მღერინან ქართულად

ნონა შონია

ბაღის რაიონს – ისტორიულ სამურზაყანოს უძველესი და უმდიდრესი საგანმანათლებლო ისტორია აქვს. ამ ისტორიის ათვლა XIX ს.-ის შუა ხანებიდან იწყება, როცა ჯერ ოქუმიში, შემდეგ დინაზურგაში, მოგვიანებით კი სხვა სოფლებში გაიხსნა სკოლები – პირველი საგანმანათლებლო კერები მთელს აფხაზეთში. ისტორიული არქივი და მრავალი სამეცნიერო ლიტერატურა გვამცნობს, რომ ცარიზმის რუსეთი ცდილობდა, ეს და სხვა კუთხეებში გახსნილი სკოლები თავისი იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლად – სრულიად საქართველოს მთისა და ბარის დასამორჩილებლად, ქართველთა და აფხაზეთა გადასამტერებლად, რუსულის დანერგვით მშობლიური ქართული და აფხაზეთური ენების მოსასპობად გამოეყენებინა, სასურველი შედეგის მისაღწევად ისევ ქართული ენით ესწავლებინა რუსული.

პირველ საგანმანათლებლო კერებში ერთმანეთის გვერდიგვერდ სწავლობდნენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური წარმოშობის, ფენის მოწაფეები. ბევრმა მათგანმა მშობლიურ სამურზაყანოს – ბაღის რაიონს შორს გაუთქვა სახელი. ოქუმის სკოლის კედლებში აღიზარდნენ არზაყან ემხვარი – პოლიტიკოსი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, აფხაზეთის დემოკრატიული მთავრობის პირველი თავმჯდომარე; აკაკი ჩხენკელი – ქართველი პოლიტიკოსი და დიპლომატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს ელჩი; ილია ვეკუა – მათემატიკოსი, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი, თსუ-ს რექტორი...

პროგრესულად მოაზროვნე სამურზაყანოელი მშობლები ყოველთვის განსაკუთრებულად ზრუნავდნენ ნიჭიერი შვილების, თაობების განათლებაზე. ამიტომ დროთა განმავლობაში გაიზარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბავშვო ბაღების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რაოდენობა.

აფხაზეთის ომამდე ბაღის რაიონში ფუნქციონირებდა: 58 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 13 180 მოსწავლით, 1800-მდე მასწავლებლითა და 300-მდე ტექნიკური მუშაკით; ყმანვითა ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას ემსახურებოდა 76 სკოლამდელი დაწესებულება 1125 აღსაზრდელითა და 300-მდე აღმზრდელით, აგრეთვე, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, ჰუმანიტარული ინსტიტუტი; მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სახელოვნებო-სამუსიკო და სამხატვრო სკოლები; სამუსიკო და ქორეოგრაფიული სტუდიები, ანსამბლები, ბიბლიოთეკები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სხვა მრავალი. ამ დაწესებულებებში სწავლა-აღზრდა, მუშაობა, ძირითადად, მშობლიურ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

აფხაზეთის ომმა, ისევე, როგორც დანარჩენ აფხაზეთში, ბაღის რაიონშიც დროებით ჩამალა საგანმანათლებლო საქმიანობა.



ოქუმის ორკლასიანი საკლასიო-სამრეველო სკოლა. 1910 წ.

დაილუპნენ უდანაშაულო ადამიანები, მათ შორის მასწავლებლები; დაინვა, დაინგრა, საცხოვრებელი სახლები, სასკოლო და საბავშვო ნაგებობები... ბევრი ისე განადგურდა, აღდგენას არ ექვემდებარება.

გალელების უმრავლესობამ დიდხანს ვერ აიტანა დევნილობის სიმძიმე: უსახლკარობა, შიმშილი, სიცივე, სხვის კარზე ხეტიალი და სიცოცხლის რისკის ფასად ტყე-ტყე, ბილიკ-ბილიკ 1994-95 წლებიდან დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს. მასწავლებლებმა მოსახლეობის, მშობლების დახმარებით აღადგინეს ომით დანგრეული სკოლები, საბავშვო ბალები, სამუსიკო და სამხატვრო სკოლები და კვლავ შეუდგნენ მასწავლებლის წმიდათა წმიდა მოვალეობის აღსრულებას – მოზარდების, მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებას მშობლიურ ქართულ ენაზე. **დღეის მდგომარეობით, გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში აღდგენილია 30 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, 9 საბავშვო ბაღი, 5 სახელოვნებო სკოლა, სადაც მოსამზადებლიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით აღირიცხება 4 ათასამდე მოსწავლე, 500-მდე სკოლამდელი ასაკის პატარა, 250 მოზარდი კი ეუფლება ხელოვნების – მუსიკისა და მხატვრობის საიდუმლოებებს.**

სამწუხაროდ, შორსგამიზნული რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად, ომისშემდგომ აღდგენილ სასწავლო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე აიკრძალა სწავლება, აღზრდა-განათლება. **დღესდღეობით 30-დან მხოლოდ 19 სკოლაში ისწავლება მშობლიური ქართული ენა რიგით საგნად, ისიც, მცირე კვირეული დატვირთვით.** ყველა სხვა საგანი, მათ შორის, მათემატიკურიც და საბუნებისმეტყველოც, ისწავლება რუსულ ენაზე (რუსეთის ფედერაციის სკოლებისათვის გამოცემული რუსული სახელმძღვანელოებით).

რუსულენოვანი სწავლება მიმდინარეობს ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონებისათვის გადაცემული გალის რაიონის სოფლების 11 სკოლაშიც, საბავშვო ბაღშიც. ამ დაწესებულებებში იკრძალება საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის სწავლა, კლასგარეშე ღონისძიებების ქართულად ჩატარება, ენგურს აქეთ დაგეგმილ საგანმანათლებლო და სპორტულ ოლიმპიადებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ, საგანმანათლებლო და დასასვენებელ ბანაკებში, სხვა აქტივობებში ჩართულობა; საერთოდ, ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან ურთიერთობა; **სამაგიეროდ, სავალდებულოა (აიძულებენ კიდევც), მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღონ დახურულ თუ ღია სივრცეში გამართულ კონცერტებში, სადაც მღერიან აფხაზეთის ომის „გმირების“ სადიდებელ რუსულ სიმღერებს, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის მიერ სხვადასხვა ქალაქში გამოცხადებულ კონკურსებსა და ფესტივალებში...**

გადაადგილების, მშობლიურ ენაზე სწავლების და სხვა ბევრი რამის აკრძალვით მუდმივად ირღვევა ბავშვების, მასწავლებლების, მშობლების უფლებები. აფხაზური და რუსული ენების გარდა აკრძალულია საკლასო ჟურნალების, სასკოლო დოკუმენტაციის შევსება და საქმის წარმოება სხვა ენაზე (ქართულ ენაზე!). „სხვა სახელმწიფოსთან“ – საქართველოსთან ურთიერთობის გამო დაისაჯნენ და ისჯებიან „ურჩი“ მასწავლებლები, ბრალი ედებათ „ანტიკონსტიტუციურ ქმედებაში“ და თავისუფლებიან სამსახურებიდან.



ნგურის ხიდი – აჰაღან ინჰაბა ოკუპირებული აფხაზეთი

ქართული კვალის ნაშლის მიზნით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის გაუგებარი შინაარსის სახელებით შეიცვალა და იცვლება სოფლების, დასახლებული პუნქტების ქართული ტოპონიმები; ქართველებს „სხვა ქვეყნის“ მოქალაქეებად მიიჩნევენ და ანიჭებენ ე.წ. „მოზინადრის“ სტატუსს. ეს სტატუსი კი ისედაც უფლებამზღუდულ ადამიანებს კიდევ უფრო მძიმე წნეხის ქვეშ აქცევს. „ვიდნა“, * როგორც ადგილობრივები ეძახიან „მოზინადრის“ საბუთს, საქართველოში გადასაადგილებლად ესაჭიროებათ. თუ ეს არა აქვთ, იძულებულნი არიან, ტყე-ტყე სიბნელეში იარონ, შეებრძოლონ აბოპოქრებული ენგურის ტალღებს, ოღონდაც სამშვიდობოს გავიდნენ.

* – რუსული სიტყვის – Вид На Жительство-ს დამახინჯებული ტარინი „ქართულად“.

ხშირია გაღვლებების დაკავება პირდაპირ შუა მდინარეში, ქალაქის იზოლაცორში მათი გადაყვანა, დაჯარიმება... გვექონდა შემთხვევა, როცა რუსმა ჯარისკაცებმა დააკავეს თბილისში, ეროვნული ოლიმპიადის მესამე ტურში (პირველი ტური ტარდება ონლაინ, მეორე კი – ზუგდიდში) მონაწილეობის მისაღებად მიმავალი გოგონები. აანრიალეს მშობლები, ოჯახები, სკოლა, მთელი სოფელი...

ჩვენს უახლეს ისტორიას მრავალი მძიმე ფაქტი ახსოვს. არც თუ ისე შორეულ წარსულში, ორი ოჯახიდან ოთხი ადამიანი, ოთხი ახალგაზრდა მშობელი ემსხვერპლა ადიდებული ენგურის ტალღებს... ისინი ტანსაცმლისა და სხვა საჭირო, საოჯახო ნივთების შესაძენად იყვნენ წასულნი. დაობლდნენ მათი მცირეწლოვანი შვილები, ძაძები ჩაიცვეს მოხუცმა მშობლებმა...

მიუხედავად აკრძალვებისა, დიდია ადგილობრივი მოსახლეობის ლტოლვა ქართული საგანმანათლებლო სივრცისკენ, ახალგაზრდების სურვილი, საფუძვლიანად დაეუფლონ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, სწავლა გააგრძელონ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში და მიიღონ ხარისხიანი უმაღლესი თუ პროფესიული განათლება.

ქართველი პედაგოგები, რომლებსაც მოეთხოვებოდათ “რუსულად მუშაობა”, ცდილობენ, არ ჩამორჩნენ ქართულ საგანმანათლებლო პროცესს, დამოუკიდებლად აიმაღლონ ცოდნის დონე, თანამედროვე მეთოდ-ხერხებით მოსწავლეებს გააცნონ სხვადასხვა საგნის საიდულოებანი; ასწავლონ მშობლიური ენისა და ქართული ანბანის, ვაზის რტოში ლერწამივით ჩახვეული ასოების ისტორია, მათი წარმომავლობა და უძველესი ამბავი, აზიარონ ყმანვილები ქართული კალიგრაფიის განუმეორებელ სილამაზეს, სამშობლოს სიყვარულს. ბავშვებიც ისრუტავენ ცოდნას და მშობლიურ ენაზე კითხულობენ შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ანას ნანარმოებებს; აკრძალულ ქართულ სიმღერებსაც ომახიანად შემოსძახებენ ხოლმე და სახელგადარქმეული ქართული ცეკვებით, ქართული ჩონგურის, დოლის, აკორდეონის ჯადოსნური ჰანგების თანხლებით ანთებენ ცეცხლს მოკრძალებულ სცენებზე; ჩუმად მღერიან ქართულად, ჩუმად სწავლობენ საქართველოს და მშობლიური კუთხის ისტორიას და რუდუნებით უვლიან ქართული ხუროთმოძღვრების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და არასოდეს ივინყებენ, ვისი გორისანი არიან!

მაგრამ არც აფხაზურის – საქართველოს კონსტიტუციით აფხაზეთში მეორე ენის შესწავლაზე ამბობენ უარს ბავშვები და მასწავლებლები; აფხაზურ ენას გალის რაიონის მონაფეხები პირველი-მეორე კლასიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით სწავლობენ; აფხაზ მოსწავლეებსაც კი არ უდებენ ტოლს აფხაზური ენის დაუფლებაში; სწავლობენ აფხაზურ სიმღერებსა და ცეკვებს.

მათ ბებია-ბაბუებისგან, მშობლებისგან გადმოცემით იციან, რომ ქართველებსა და აფხაზებს საუკუნეების განმავლობაში ერთად, მშვიდობიანად უცხოვრიათ აფხაზეთში – საქართველოს ულამაზეს მინაზე. პროგრესულად მოაზროვნე ქართველი და აფხაზი მასწავლებლები ამიტომაც შრომობენ გვერდიგვერდ, გაურბიან ომით გამოწვეული ტრაგედიის ხსენებას და პატიობენ ერთმანეთს, ქმნიან შერეულ ქართულ-აფხაზურ ოჯახებს, ამეგობრებენ შვილებს...

სამშობლოს გამთლიანებისა და მშვიდობიანი მომავლის სჯერათ გაღვლებს, წლებია, ასრულებენ ხიდის ფუნქციას – უშიშრად ატარებენ აფხაზებს აფხაზეთიდან დანარჩენი საქართველოსკენ და, პირიქით, ქართველებს აფხაზეთისკენ, ჩვენი აფხაზეთისკენ...



რუსი ოკუპანტები გალის შესასვლელთან

რენა ნიქიკა ახალგაზრდა იხვ „მოგვონას“ რუკიკა „ნახმატეხი ნინეცეხი“. თანას, რუკიკი სიამონეხითა და სიამონეხით ვახსათ „ილქინს“ გვარდას, რუსა მოგვარდას მათივა თანასოლახის ბამოჩეხი მიღწეხის შახსახ ვუბოგოთ.

რენი სუბაჩი ფლორენსის (იხალი) სახმატეხი ახალბიის მოჩა კუსის ნახინეხი სუბანეხი, სოხამელი (თხითონ ასე აბოგს) - ნინო ზაქარია. მოვსინეხთ ნინიქოს, რუმისთიხას ნახმატეხის გვა მუღაფ ლიჩაულ უტიჩათოგაგა ბადის.



ნინო ზაქარია

მე ვარ ნინო ზაქარია. დავიბადე 2004 წლის 4 იანვარს, თბილისში. ჩემი მშობლები სოხუმიდან არიან. ბავშვობიდან მეც ბევრს მიაბობდნენ ამ ქალაქზე, უღამაზეს აფხაზეთზე, რომელიც არასდროს მინახავს.

2010 წელს შევედი 171-ე საჯარო სკოლაში, რომელიც დავამთავრე ოქროს მედალზე. მანამდე დავდიოდი „ბასტი-ბუბუში“, სიმღერა და ცეკვა დღემდე გამორჩეული ჰობია ჩემთვის. და საერთოდაც: არაპროფესიონალი მომღერლების ოჯახიდან ვარ. ყველანი ვმღერით, პატარა ქეთუსიაც კი (ის ჯერ მხოლოდ 4 წლისაა). სკოლის პერიოდში დავდიოდი უშუზე (აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნება), რაც ძალიან მსიამოვნებდა. მიღებული მაქვს არაერთი ჯილდო და მედალი ადგილობრივ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

გამიმართლა და 11 წლის ასაკში „აღმოვჩნდი“ ქ. კამერინოში, უძველეს საუნივერსიტეტო იტალიურ ქალაქში (ეს პატარა ქალაქი ცნობილია 1336 წელს დაარსებული უნივერსიტეტით, რომელიც დღესაც წარმატებულად ფუნქციონირებს). დანტე ალიგიერის სკოლა, სადაც იტალიური ენის შემსწავლელი მოკლე კურსი დავასრულე, სასიკეთო გზამკვლევადა იქცა ჩემთვის (სხვათა შორის, დედაც იტალიური ენის სპეციალისტია).

ჩემი პროფესია – ინტერიერის დიზაინი ავირჩიე 7 წლის წინ (თუმცა სკოლის წლებში არაერთი სხვა პროფესია მოვსინჯე).

მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ პროექტებში მედიცინის, ჟურნალისტიკის, იურისპრუდენციის მიმართულებებით. 2019 წელს გავხდი „საუკეთესო ადვოკატი“ იუსტიციის სამინისტროს, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრისა“ და თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ერთობლივ პროგრამაში „იმიტირებული სასამართლო პროცესები“.

2021 წელს დიზაინის ევროპული ინსტიტუტის – IED-სა და საქართველოში იტალიის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ფოტო-კონკურსზე მომენიჭა პირველი პრემია.

2022 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე, ჩავირიცხე ფლორენციის სამხატვრო აკადემიაში ინტერიერის დიზაინის ფაკულტეტზე.

ავიხდინე ჩემი დიდი ხნის ოცნება... 2014 წელს, როდესაც პირველად მოვხვდი ფლორენციაში, მაშინ ვინატრე ამ ქალაქში ცხოვრებაც და სწავლაც.

უკვე სტუდენტი ვარ. 40-კაციან ჯგუფში, სადაც ერთადერთი უცხოელი ვარ, ამირჩიეს ჯგუფხელად. წელს კი მთხოვეს, ვყოფილიყავი ჩვენი – დიზაინის ფაკულტეტის სამივე კურსის ჯგუფხელი; თან მითხრეს, გვეიმედები, პირველ კურსზე ხომ შესანიშნავად გაართვი თავი ვალდებულებებსო.

მჯერა, წინ საინტერესო სტუდენტური დღეები მელოდება. დასაწყისშივე ვახსენე აფხაზეთი, სოხუმი. სოხუმელობა ურთიერთობებიაო, ეს მამას ფრაზაა. კარგი კი არა, ოჯახში „საუკეთესო მასწავლებლების“ გარემოცვაში ვიზრდებოდი, ვყალიბდებოდი პიროვნებად. თუ გინდა, პოზიტივით აივსო, მუდამ მიღებულზე მეტი უნდა გასცე. ესეც მათგან ვისწავლე. მერე უკვე საკუთარი თავიც მომეწონა ფრაზით – „მე მიყვარს“... ჩემი მშობლებივით მეც ვამბობ: სოხუმელი ვარ!..



ნინო ზაქარია. ფლორენციის სამხატვრო აკადემიის დარბაზში

დიდი სულხან-საბან განმარტაბით, „ნინეაბი“ ხომ თინეიხაჯული ასაქის ყაბვილია. ჰოდა, ჩვენს იმ ნინეაბას „უხომობთ“, საქუთაი ნინეაბაბით იჯახი, ქვეყანა ჩომ ასახელს და ამით ჩვენს ბავჯახაქს.

თაბაქ (თათა) ბადელია ქ. დეჟონის (სამხრეთ კორეა) კაისტის უნივერსიტეტის ბაჩაბოს დასვინა და საბოქალაქო-საინეინეო ფაკულტეტის პირველი კუქსის სტუდენტია. თათაბა ისინ, თუ ილდსაბ ისაქ ბაჯა სოხუბოი (სადას ებთხალ უქვე იყო), დაბაჩუნდაბა სილაბაბაბი, ყვეილბაბისფაქ ქალაქი.

ამ საუბარს ვარქმევ „ინტერვიუ კი არა“, სადაც რესპოდენტიც მე ვარ და კითხვებსაც მე ვსვამ.

ვინ ვარ...

ვარ თამარ (ისე, თათას მეძახიან) გადელია. 2005 წელს დავიბადე თბილისში, მაგრამ ვარ აფხაზეთიდან (ჩემი მშობლები იქ დაიბადნენ). 2023 წელს ოქროს მედალზე დავამთავრე თბილისის 126-ე საჯარო სკოლა. ამჟამად ვიმყოფები ქ. დეჟონში (სამხრეთ კორეა), სადაც ჩავირიცხე კაისტის უნივერსიტეტში, გარემოს დაცვისა და სამოქალაქო-საინეინეო ფაკულტეტზე.

რა მიყვარს და რა არა...

მიყვარს ლამაზი ოთახი, სადაც ბევრი წიგნია. წიგნიც, რომელიც პირველი გვერდებიდან ნაკლებად „მანონებს თავს“, მაგრამ მაშანტაყებს. არ მიყვარს არც ერთი ქულა, მაღალი ნიშნულის ქვევით.

რამდენი ენა ვიცო...

კარგად ინგლისური და გერმანული, რუსული – საშუალოდ, კორეულს – თანდათან ვეუფლები. ჯერჯერობით ამ ენაზე, როგორც იტყვიან, მხოლოდ გაქცეულის მობრუნება შემიძლია.

მიფიქრია თუ არა სხვა პროფესიაზე...

ძალიან პატარა რომ ვიყავი, მახსოვს, ხშირად ვიმეორებდი, როცა გავიზრდები, ექიმი გამოვალ-მეთქი. ძალიან მომწონდნენ თეთრხალათიანები. ერთ დღესაც, როცა ავად ვიყავი და ჩემთვის ნემსი უნდა გაეკეთებინათ, ჩხვლეტის შიშმა გაბრაზებით მათქმევინა – არასოდეს ექიმი არ გამოვალ!

რა მენატრება...

ხაჭაპური, რომელსაც დედიკო გვიცხობს მე და მარიაშს, ჩემს დაიკოს. მესამე თვეა, მენატრება ბევრი ძილი (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არცთუ იშვიათად გვიან ღამემდე ვრჩებით).

ჩემი ხასიათის მთავარი თვისება...

ბუნებითაც ერთგული ვარ და საქმეშიც ასეთივე უღალატო და დაუზარელი. თუ რამეს შევეჭიდე, ჯიუტიც ვხდები. დანყებული საქმე მუდამ დასასრულამდე მიმყავს.

კორეელებმა რით გამოაცეს...



თამარ ბადელია.
კაისტის უნივერსიტეტის ფონეა.
სამხრეთ კორეა



თამარ ბადელია

ძალიან ყურადღებიანები, თბილები და უშუალოები არიან. თუმცა ახლა გავიგე: კორეული სილამაზის სტანდარტად მოიაზრება სიგამხდრე, მკრთალი ფერის კანი, დიდი თვალები და პატარა სახე. მაკიაჟი და კოსმეტიკა არ არის მხოლოდ ქალბატონთა პრიორიტეტი – სამხრეთ კორეაში მამაკაცთა კოსმეტიკურ საშუალებებს ინდუსტრიის დიდი ნაწილი უჭირავს. კორეული მამაკაცები თურმე მსოფლიოში ყველაზე დიდ თანხებს ხარჯავენ გარეგნობაზე.

რას ვიტყვოდი დეჟონზე...

დეჟონს „მაღალი ტექნოლოგიების ქალაქის“ სტატუსი აქვს. ულამაზეს ქალაქში, სადაც 1,5 მლნ ადამიანი ცხოვრობს, 23 უნივერსიტეტი და კოლეჯი ფუნქციონირებს. საინეინეო ტექნოლოგიების მხრივ ჩვენი – კაისტის უნივერსიტეტი მსოფლიოს ოცეულში შედის.

სხვა ქალაქი, რომელმაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა...

ეს იყო სოხუმი. მაშინ 13 წლის ვიყავი. ზღვაში შეჭრილ „ამრაზე“ ვიჯექი, როცა მომინდა, მეც სოხუმელი ვყოფილიყავი. ის დღე, ზღვის შრიალთან და თოლიების ხმაურთან ერთად, მერეც ბევრჯერ განმეორდა ჩემს სიზმრებში. თუ ოდესმე ისევ ჩავალ სოხუმში, ვიტყვი, რომ დავბრუნდი სილამაზეში, ყვავილებისფერ ქალაქში.

სურინამი –

სამხრეთ ამერიკის ყველაზე პატარა ქვეყანა

სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს სურინამი, ყველაზე პატარა სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრება საფრანგეთის გვიანა, სამხრეთით – ბრაზილია, ხოლო დასავლეთით – გაიანა. მოსახლეობის რაოდენობაა 575,990.

სურინამელები იყოფიან კრეოლებად* და მარონებად**; ქვეყანაში მრავლად არიან ჩინელები, ინდოელები, ებრაელები, ბრაზილიელები, ლიბანელები; აბორიგენი ტომები შეადგენენ მოსახლეობის მხოლოდ 3.7 %-ს. სურინამში ცხოვრობს სხვადასხვა კონფესიის ხალხი, მაგრამ უმრავლესობას შეადგენენ ქრისტიანები, ინდუსები და მუსლიმები.

სახელი სურინამი დაარქვეს ინგლისელებმა ინდიელი სურინების მიხედვით, რომლებიც დასახლებულები იყვნენ ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირებზე (სამწუხაროდ, ისინი განდევნეს სხვა მომთაბარე ინდიელმა ტომებმა – არავაკებმა***).



პარამარიბო – სურინამის დედაქალაქი

სურინამის დედაქალაქია პარამარიბო (დააარსეს ფრანგმა კოლონიზატორებმა), რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილშია (ერთადერთი დიდი ქალაქი და სავაჭრო ცენტრი 280.000 მცხოვრებით). მოსახლეობის უმრავლესობა სწორედ დედაქალაქშია თავმოყრილი. პარამარიბოს უმრავლესობა საუბრობს ე.წ. „ტაკი-ტაკი“-ს დიალექტზე (იგივე აფრო-ინგლისურად). გავრცელებულია კრეოლისა და სრანან-ტონგოს ენებიც (ამ უკანასკნელის ლექსიკური მარაგი შედგება 340 სიტყვისგან).

ქვეყნის უდიდესი მდინარის – სურინამის ფსკერზე დღესაც დევს 1940 წელს მოკავშირეთა მიერ (ნიდერლანდები, ინგლისელები) ჩაძირული გერმანული სატვირთო ხომალდის კონსტრუქცია.

სურინამმა დამოუკიდებლობა მოიპოვა 1975 წლის 25 ნოემბერს. ეს დღე ქვეყანაში ეროვნულ დღესასწაულადაა გამოცხადებული.

სურინამი არის რესპუბლიკური სახელმწიფო, მისი საკანონმდებლო ორგანოა 51 წევრისგან შემდგარი ერთპალატიანი ეროვნული ასამბლეა.

სურინამის 90 %-ს შეადგენს ტყე (ამ მონაცემებით იგი პირველია მსოფლიოში), რომელიც, მდიდარი ბუნებრივი წიაღისეულის გარდა, ქვეყნის ბიომრავალფეროვნებასაც განაპირობებს. სურინამის ნაკრძალი 2000 წელს იუნესკომ შეიყვანა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. იუნესკომ აგრეთვე, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა ჰოლანდიური ეპოქის (XVII-XVIII ს.ს.) არქიტექტურულ ნაგებობებს.

ოქრო, ნავთობი და ბოქსიტის აღუმიწის საბადო სურინამის მთავარი წიაღისეულია, ტურიზმი კი ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი წყაროა.

სურინამში 13-წლიანი სამსაფეხურიანი ზოგადი განათლების სისტემაა, სწავლა სავალდებულოა 12 წლის ასაკამდე.

უმაღლესი სასწავლებელია სანტონ დე კომის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სურინამი არის ტოლერანტული ქვეყანა.

სურინამის სახელმწიფოს დევიზია: „სამართლიანობა, კეთილდღეობა, რწმენა!“

* – შერეული წარმოშობის ეთნიკური ერთობა ჩამოყალიბებული კოლონიურ პერიოდში.

** – ტყვე აფრო-ამერიკაელების შთამომავლები.

*** – ინდიელთა უპყველსი ტომი, რომლის ენაც და მოსახლეობაც გამარაღდა.

სურინული დასახლებებიდან ნიდერლანდურ კოლონიამდე

სურინის ტომების პირველი დასახლებები სურინამის ტერიტორიაზე ძვ.წ.აღ. 3000 წლით თარიღდება. სურინების ადგილზე მოსული არავაკები მომთაბარეები იყვნენ და თავს ირჩენდნენ თევზაობითა და ნადირობით. ძვ.წ.აღ.-ით 2500 წელს სურინამის მიწაზე შემოვიდნენ კარიბები და დასახლდნენ მდინარე მარონის სათავესთან.



მდინარე სურინამი

1498 წელს ქრისტიანული კოლუმბო, თავისი მესამე ექსპედიციის დროს, შორიდან დაინახა სურინამის სანაპირო. მომდევნო წელს ესპანელებმა – ალონსო დე ოხედამ და ვისენტე პინსონმა აღმოაჩინეს სურინამის სანაპიროს ნაწილი, ხოლო 1500 წელს ესპანელმა კონკისტადორმა – დიეგო ლეპემ ახლად აღმოჩენილი მიწა დაიტანა ექსპედიციის რუკაზე. XVI ს.-ში ევროპელმა კოლონიზატორებმა დაიწყეს ამერიკის ტერიტორიების დაზვერვა. XVII ს.-ში გაჩნდა პირველი ნიდერლანდური და ბრიტანული კოლონიები სურინამში. სხვათა შორის, სურინამი ადრე ცნობილი იყო, როგორც ნიდერლანდების გაიანა. სურინამის სახელმწიფო ენა ნიდერლანდურია, თუმცა იგი ერთადერთი ნიდერლანდურენოვანი ქვეყანაა დასავლეთ ნახევარსფეროში, რომელიც არ შედის ნიდერლანდების სამეფოს შემადგენლობაში. ჰოლანდიელმა ებრაელებმა 1685 წელს მდინარე სურინამის ნაპირებზე დააარსეს საკუთარი დასახლება, სახელწოდებით „იუდენსავანა“ (ებრაულად ნიშნავს „ებრაულ სავანეს“), თუმცა 1832 წელს დატოვეს იგი.

ამ ქვეყნის ტერიტორიაზე უთანხმოება კონტროლის მოპოვებისათვის დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებს შორის დასრულდა ზავით – სურინამის პლანტაციები ერგო ნიდერლანდებს, ხოლო ახალი ამსტერდამი – ინგლისს.

კოლონიალისტთა მთავარ საყრდენს წარმოადგენდნენ აფრიკელი მონები, რომელთაც ამუშავებდნენ ყავის, კაკოს, შაქრის ლერწმისა და ბამბის პლანტაციებში და ეპყრობოდნენ უსასტიკესად. მონების დიდი ნაწილი გარბოდა მჩაგვრელებისგან და თავს აფარებდა ტროპიკულ ტყეებს, სადაც აბორიგენი მოსახლეობა ცხოვრობდა. მარონების სახელით ცნობილმა ამ ორმა ხალხმა შექმნა თავისი კულტურა. მარონებსა და კოლონიალისტებს შორის გამუდმებით მიმდინარეობდა ომი. საბოლოოდ, სამომავლო მოქმედებები დასრულდა სამშვიდობო ხელშეკრულებით და მარონებს მიენიჭა ავტონომია და სუვერენული სტატუსი.

მონობის გაუქმება და დეკოლონიზაცია

XVII ს.-ში სურინამი ნიდერლანდების კოლონია იყო, მაგრამ 1863 წელს ნიდერლანდებმა თავად გააუქმეს მონობა ამ ქვეყანაში. ეს იყო გარდამავალი პერიოდი. პლანტატორები მონებს მხოლოდ 10-წლიანი გაუსაძლისი მუშაობის შემდეგ ათავისუფლებდნენ. როცა პლანტაციებში მუშახელი დეფიციტი გახდა, ნიდერლანდებმა მუშები ჩამოიყვანეს ინდოეთიდან და ოსტ-ინდოეთიდან, მოგვიანებით კი ჩინეთიდან.

მეორე მსოფლიო ომმა დიდი გავლენა იქონია სურინამზე.

1941 წლის 23 ნოემბერს, ნიდერლანდების მთავრობის თანხმობით, აშშ-მ მოახდინა სურინამის ოკუპაცია. 1954 წელს სურინამი გახდა ნიდერლანდების სამეფოს კონსტიტუციური ქვეყანა, რაც ნიშნავდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე კონტროლს.



კოლონიური ეპოქის ერთ-ერთი უახალი პარამარიბოში



სურინამში ინფოლუბის მიერ აბაბული სალოცავი

სურინამის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგაც ნიდერლანდების სახელმწიფო ათწლეულების მანძილზე ქვეყანას უწევდა ფულად დახმარებას. მაგრამ მალე სურინამი ჩაეფლო კორუფციულ ჭაობში, საზოგადოება გახდა პოლარიზებული.

1980 წელს სამხედრო გადატრიალების გზით ჩამოაგდეს პრეზიდენტი ჰენკ არონი, დამყარდა სამხედრო რეჟიმი, რომელიც გაუქმდა მხოლოდ 1987 წლის ეროვნული არჩევნების შემდეგ. თუმცა, კონტრაბანდასა და ადამიანთა მკვლელობაში დადანაშაულებული დეზი ბაუტერსე 2010 წელს ახალი ვადით აირჩიეს სურინამის პრეზიდენტად (მოგვიანებით, მაინც მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 20 წლით).

ასე მოხიზლავი სურინამი

საუკუნეების მანძილზე ერთად მცხოვრებმა ინდიელმა ტომებმა, ჰოლანდიიდან გადმოსახლებულებმა, აფრიკელმა მონებმა, ინდოელებმა თუ ინდონეზიელებმა და კარიბის ეთნოსის სხვადასხვა წარმომადგენლებმა შექმნეს სურინამის კულტურის ერთგვარი მოზაიკა.

სურინამელები პოზიტიურად აღიქვამენ განსხვავებულ კულტურასა თუ წეს-ჩვეულებებს, ხოლო რელიგიურობის მიხედვით სურინამში ნამდვილი სამოთხეა – ყველა კონფესიის წარმომადგენელი ყოველგვარი ფანატიზმის გარეშე მისდევს თავის სარწმუნოებას და, ამავე დროს, მშვიდობიანად თანაცხოვრობს სხვებთან. ადგილობრივები გამოირჩევიან ტურისტების მიმართ კეთილმოსურნეობითა და სტუმართმოყვარეობით, თუმცა ფულის გარეშე ფოტოგრაფირების უფლებას არავის რთავენ. სურინამელებს შესანიშნავად აქვთ განვითარებული იუმორის გრძობა, პატივს სცემენ ეკლესიას.

პარამარიბო – სამსაუკუნოვანი კოლონიალისტური ეპოქის მეგაპოლისი – გამოირჩევა ხის შენობებითა და თვითმყოფადი ნაციონალური არქიტექტურული სტილით; ქალაქის ძველ რაიონებში თვალმისაცემია სახლები კვადრატული აგურის საძირკველით, ხის თეთრი კედლებით, მაღალი, წვეტიანი სახურავებითა და მწვანე დარბაზებით.

სურინამში განვითარებულია ხელოსნობის ტრადიციული დარგები: ხეზე კვეთის ხელოვნება, კერამიკა, ბატიკა, გობელენი, ქარგვა, ქსოვა და სხვა. ძველი წეს-ჩვეულებით ამზადებენ მშვილდ-ისრებს, ბამბუკისა და მინის ნაკეთობებს, ქსოვენ ჰამაკებს, კალათებსა და სხვა ნივთებს.

უსაზღვროდ ნაყოფიერია სურინამის მიწები, ამაზე ადგილობრივთა ანდაზაც მეტყველებს: „მინაში ჯოხიც რომ ჩარგო, გაიხარებს.“ სურინამში, ტრადიციულად, ქორწინება ერთი ხალხისა და რელიგიის წარმომადგენლებს შორის ხდება. მოპოვები შვილებისთვის არჩევენ საპატარძლოს, იხდიან მდიდრულ ქორწინებს. თუმცა არის შერეული ქორწინებებიც. ბევრი ეწევა თავისუფალ ცხოვრებას, ორივე სქესისთვის მიღებულია მონოგამია, ან, სულაც, სხვადასხვა პარტნიორისგან შვილების გაჩენა...

სურინამში ხელოვნებას არ აქვს სახელმწიფოსგან მხარდაჭერა; ამიტომ მხატვრები თუ მწერლები რჩებიან მოყვარულებად, ნამუშევრებს თავადვე ყიდიან ან ავრცელებენ მეგობრებში. ქვეყნის შედარებით ცნობილი ავტორები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ჰოლანდიაში, მოსახლეობისთვის კი უფრო მნიშვნელოვანია ფოლკლორი.



სურინამელი ქალბატონები

რამდენადაც ქვეყანაში მედიცინა კარგად არაა განვითარებული, დღემდე დიდ პატივშია მკურნალობის ხალხური მეთოდები.

სურინამში არის ბევრი რამ, რაც იზიდავს მოგზაურს. ამიტომ ქვეყანაში არასოდეს საკლისობენ ტურისტებს, ხოლო ის, ვინც ერთხელ მაინც ესტუმრება სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ სანაპიროს ამ პატარა, ჯადოსნურ რივიერას, არასოდეს დაავინწყდება იგი.

ყველას აქვს თავისი „მწვანე ოთახი“, სადაც ატარებს ბავშვობის უზრუნველ წლებს. მაგრამ ერთ დღეს ყველა ტოვებს მას და პირისპირ კრება უზარმაზარი სამყაროს წინაშე.

„ილაქანი“ ახალგაზრდა ავტორი თქვამს ჭეშმარიტად, რომ ისევე, თავისი „მწვანე ოთახიდან“ პირდაპირ შუა პერიოდში აღმოჩნდა – დღეს იგი პერიოდის ნაწილის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. სწორედ აქ მოხდა იგი სასიამოვნო მოვლენის მიუხედავად, როგორც თქვამს ამ პასაჟა ნაწილიდან ჩანს, მისთვისაც აქაა ადვილი სწავლაგებათან შეგება. ნიჭიერი ავტორი, როგორც ყოველთვის, ახლაც საინტერესოდ აღწერს თავის პირველ შთაბეჭდილებებს:

„შინიდან წასვლის იდეა ამაღლებულია იქამდე, სანამ არ მიხვდები, რომ არ შეგიძლია, სახლს თავი მოუკა და თან წაიღო“.

„ილაქანი“ ნაწილებს უსწავებს თქვამს ჭეშმარიტად და კვლავაც, ახლა უკვე პერიოდის დასაწყისში მის ახალ, საინტერესო პუბლიკაციას.

მწვანე ოთახი, ჩემოდანი და თვრამეტი წელი

თქვამს ჭეშმარიტად

ფსიქოლოგიის ლექტორი მეხსიერების მექანიზმებს გვიხსნიდა და გვთხოვდა, ჩვენი ოთახი წარმოგვედგინა, რაც შეიძლება, დეტალურად.

მეც სხვა რა მინდოდა და უცებ ამოვყავი თავი ჩემს მწვანე ოთახში.

რას ხედავთ? – გვკითხა...

... სარკის ჩარჩოში პატარა ფურცელი დევს, აწერია: „მე ამას შევძლებ“ – ჯერ კიდევ იმდროინდელი, ფრანგული ენის გამოცდაზე რომ გავდიოდი. თაროზე, როგორი ბანალურიც არ უნდა იყოს, დევს ეიფელის კოშკი, რომელიც ჯერ შემოსასვლელში იდო, მაგრამ მამამ შემომიტანა – იმის ნიშნად, რომ პარიზში აუცილებლად ჩავაბარებდი. კედელზე ფურცელია გაკრული და სამჯერ აწერია: „მიღებული, მიღებული, მიღებული“.

მაღევე ზუსტად სამჯერ წავიკითხე ეს სიტყვა და სამივეჯერ უფრო და უფრო დიდებოდა ჩემს თაროზე შემოდებული ეიფელის კოშკის ფიგურა, სანამ ბოლოს მართლა მის წინ არ აღმოვჩნდი. ჩემდა გასაკვირად, საოცრად უსუსურად ვიგრძენი თავი ამხელა კონტრასტის ნინაშე და ჩემი მწვანე ოთახიც ველარსად ვიპოვე, თავი რომ შემეფარებინა. სამაგიეროდ, ხელში მეჭირა დიდი ჩემოდანი, რომელშიც ჩემი 18 წელი იდო. ახალ ოთახში შებიჯება და ჩემოდნის გახსნა ჰგავდა ობლების სახლში ცხელი კერძის შეტანას. თაროები გაივსო ჩემი ნივთებით... და, მაინც, ეს თაროები ჩემი არასდროს იქნებოდა.

ასე დაიწყო ჩემი დიდი თავგადასავალი. ალბათ, იტყვიან, განა, არ იცოდა, რომ ადვილი არ იქნებოდაო? განა სიტყვა „თავგადასავალი“ სწორედ იმას არ ნიშნავს, რომ შენს თავზე უნდა გადაიაროს რაღაც საოცრად უცხო, მაგრამ საოცრად საინტერესო?!

ვიცოდი! მაგრამ ერთ რამეს გეტყვიან: შინიდან წასვლის იდეა ამაღლებულია იქამდე, სანამ არ მიხვდები, რომ არ შეგიძლია, სახლს თავი მოუკრა და თან წაიღო.

ახლა მე უნდა გთხოვოთ რაღაც. წარმომიდგინეთ მე, როცა ჩემს აქაურ ამბებს მეკითხებიან. რითი ვინყებ? თაროებზე მოყოლით? ობოლთა სახლის მეტაფორით?

ალბათ, უფრო ასე:

– უნივერსიტეტი ძალიან მომწონს, საინტერესოა, რასაც ვსწავლობ....

– პარიზი როგორია?

– მმმმმ... პარიზი დიდია...

– (დაუკმაყოფილებელი სახე).

აი, რის მოყოლას ვამჯობინებდი თქვენთვის:

გუშინ გადავწყვიტე, უნივერსიტეტის გარშემო მესეირნა. მზე ისედაც ყვითელ ფოთლებს კიდევ უფრო აყვითლებდა. მუსიკას ვუსმენდი და ძალიან ვცდილობდი, არ მეცეკვა. სანაცვლოდ, რითმს ვუნყოფდი ფეხს და ერთ რამეს მივხვდი: იმის მიუხედავად, რომ ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ნაბიჯებს ვდგამდი, არაფერი იყო ჩვეულებრივი მათში. ცეკვა იყო, უბრალო ნაბიჯები კი არა! იცით, რა ვიფიქრე? ეს მუსიკა, რიტმი მიზანი. მერე რა, რომ მხოლოდ შენ გესმის! შენი გულის ცემაც მუსიკასაა აყოლილი და ნაბიჯები უფრო მჩატეა, უფრო ლაღი. გუშინ მომინდა, მთელს ქუჩას ჩემთან ერთად დაეწყო ცეკვა.

– ჰოდა, პარიზი როგორია?

– მმმმმ... პარიზი დიდია.





ყოველთვის ემოსიურია იმ ბავშვების ნაწილები, რომლებიც დღემდე თავიანთი ძიძვალ კუთხეში, საშობაობაში სწოვრობენ და რომელთა მზაკას ენგურისკენ, დანარჩენი საჩაკთველოსკენა მიმართული. ბასასაკია, რომ მათ ნარმოსახევი ღრომ ვერ ბანახუნა დედანამშობლოს ხატება, პირიქით, თითქოს კიდევ უფრო მხეტი ფაჩი შესკინა და ბაიიდალა ის; თითქოს მოზადებოს ბულაბი უფრო ისტვენ ერთიან, მთლიან საჩაკთველოს.

ბალელი ნინი ნაყოფიან ჩანახატი „ქუსს ბაზაფხული იმედად“ ტკივილითა და იმედით სავსეა. ავსორი „ერთიან საზა“ ოსნაგოგს. მის ბულში ყველასთვისაა ადგილი და სჯარა, რომ აუხაზათის ყველას დაიხვავს. ოგმა ჩაკთველას და აუხაზაბის ერთმანეთისთვის დავკაკება, შაკიგება კი ყველასთვის იხება „დიდი დავკუნება“.

ქუსს ბაზაფხული იმედად

ნინი ნაყოფია

ჩემი ფანჯრიდან ცა ჩანს უძირო, იარებით დასერილი, ტკივილიანი ცა. ვიზრდები, ვიცვლები. ცას კი ტკივილები ისევ სტკივა. იარებიც ისევ ღრმა და მოუშუშებელია, თითქოს ყველა ცოდვილი ტყვია მან ჩაიკრა გულში.

აფხაზეთის ცას ღამე ზღვის ტალღები ებუბუნებიან. გახსნის წარსულის საცავებს შავი ზღვა და დარდებდა დაიღვრება მისი სული. წლებია, მიტოვებულ, მონატრებაში დაღალულ ცასა და ზღვას ერთმანეთისთვის გასაზიარებელი დარდები არ ელევათ. სტკივათ ჩემს ზღვასა და ცას. მხოლოდ გაზაფხულზე, როცა ცას გაეპარებიან კაკლისხელა წვიმის წვეთები და იმედად დაეღვრებიან, ტკივილები ნელდება.

მხოლოდ გაზაფხულზე მწვანე, სისველეშეპარული ხავსი ასმევს სიცოცხლის წვეთებს მიტოვებულ აფხაზეთს. ეხეტეება ნაპირებს შავი ზღვა და მას თქეშად წამოსული წვიმა ეხმიანება. ქუსს ბაზაფხული იმედად, რომ ოდესმე წვიმიან ღამეებს ისევ ერთად, ისევ აქ, სეირნობაში გაათენებენ მისი შვილები. გაზაფხულთან ერთად დღეებს კეკლუცობა შეეცეცება, ჰაერში პაემნის სული დატრიალდება. თითქოს ნათლად ხედავ კიდევ თვალბმოფახულე გოგონასა და პირველკურსელი ყმაწვილის პაემანს.

გული მიჯანყდება, მიიპარება, წინ მისწრებს, არ მელოდება. უნდა, მალე გამეფდეს გაზაფხული, რომ დღეები გაცელქდნენ და ღამეებს საათები მოპარონ, დადგეს იმედისა და რწმენის დრო. მაგრამ წელს გაზაფხული თავისთავს არ ჰგავს, ვერ იგაზაფხულა. ჩემმა ზღვამ და ცამ თავიანთი სატკივარი გულში ჩაიმარხეს და გაჩუმდნენ. ამ სიჩუმეში მთელი სამყაროს გმინვა ისმის. დედამინა ავად გახდა, დაფრთხა სამყარო. მსოფლიო გიგანტები გაირინდნენ. თურმე არსებობს საფრთხე, რასაც

ვერ უმკლავდებიან. ადამიანთა საქმიანობა ჭიანჭველური ფუსფუსის მსგავსი აღმოჩნდა. სამყარომ ხველების ხმაურში ძველი ღირებულების გახსენება დაიწყო და ღვთისკენ იბრუნა პირი.

ჩემი კუთხე საერთო ფერხულშია ჩაბმული, სულგანაბული უსმენს დედამიწის მაჯისცემას, ეშინია, კიდევ არ დაკარგოს შვილები, ისევ არ მოვიდეს უსამართლო სიკვდილი. ეშინია, რადგან ამ წლების მანძილზე აფხაზეთში არაფერი შექმნილა; არ შესწევს ძალა, უხილავ მტერს შეუტეოს. ტექნოლოგიურად და ეკონომიურად ძლიერი მეგაპოლისები სულს ძლივს ითქვამენ და ამ ბრძოლაში გაჩანაგებულ, დამოუკიდებლობის ილუზიით ნაკვებ, მიტოვებულ აფხაზეთს განა რამე შეუძლია?!

სუნთქვა უჭირს სამყაროს, სუნთქვა უძიმს აფხაზეთს და იმედად ისევ ის ჰყავს, ვინც მანამდე ჰყავდა და ეყოლება მრავალჟამიერ – დედასამშობლო. ჩვენ ერთი ცა გვხურავს, ერთი ზღვა ეფერება ჩვენს ნაპირებს. ჩვენ ერთნი ვართ, მავთულხლართები ვერ გაგვყოფენ. განსაცდელი კი გაკვეთილია, ზეციდანაც ხშირია მინიშნება, რომ გონს მოვეგოთ, ვისწავლოთ, დავბრუნდეთ იმ ნიაღში, საიდანაც ცოდვამ გამოგვდევნა. არაფერი ხდება განგების გარეშე – სიცოცხლეს და სიკვდილს მის ხელშია.

ზღაპრული მხარე – აფხაზეთი სამოთხის ნაწილია, მაგრამ ის სევდიან ისტორიას მოგვითხრობს. ძმამ ძმის სისხლით გაისვარა ხელი. დაცარიელდა და ობლად დარჩა მრავალი სახლი, ნაგებობა. ისინი ამქვეყნიდან წასული სულების სამფლობელოდ იქცნენ თითქოს.

ერთ-ერთი ასეთი ადგილი ჩემს ქალაქშიც შევამჩნიე – პირველი გიმნაზია. მართალია, ბევრი არაფერი მსმენია მის შესახებ, მაგრამ ბევრჯერ დავფიქრებულვარ, როცა ჩამივლია შენობის სიახლოვეს. მისი კედლები მახრჩობელა ბალახებს ჩაუყლაპავს. დუმილს შეუმოსავს იგი. ბავშვების ჟრიაბული ჩიტების ჟივჟივს შეუცვლია... საკუთარ ბუდეს ვერ სცილდებიან.

ჩატეხილი ხიდიც ახლოსაა ჩემს ქალაქთან, სწორედ ის ხიდი, დედასამშობლოსთან რომ მაკავშირებს. უკვე ოცდაათი წელია, მას ირგვლივ შემოხვევია ეკლიანი მავთულხლართი და ეს აბრკოლებს ხიდის აღდგენას. მაგრამ მთელი არსებით მჯერა, რომ მალე მავთულხლართების ადგილს ნარნარა ყვაილები გადაფარავს.



მაგიდის სუფრა – ავტობიოგრაფიით



მაგირა ამირაჰიანი

დიდი სამამულო ომის წლებში, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა სახელოვანმა ქართველმა პოეტმა – გოგლა ლეონიძემ სამი ფუთი სიმინდის საფასურად შეიძინა ცნობილი მომღერლის, მაკინე ამირეჯიბის პირადი ნივთი, მაგიდის სუფრა. სუფრა იმით იყო გამორჩეული, რომ ზედ ეწერა იმ ეპოქის დიდ ქართველ მწერალ-მოღვაწეთა ავტობიოგრაფები.

მთავრობაში შევიდა საჩივარი, ლეონიძემ საქეიფო სუფრა შეიძინაო.

მერე ეს საკითხი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განუხილავთ.

P.S. XIX-XX ს.ს.-ში მაკინე ამირეჯიბის (1858-1929 წ.წ.) სახლი ითვლებოდა ცნობილ ქართველ მწერალთა და ხელოვანთა ლიტერატურულ სალონად.

მაკინე და სარდიონ ამირეჯიბების ოჯახს იცნობდნენ არა მარტო მათ მშობლიურ სალოლაშენში (ქარელის რაიონი), არამედ მთელ საქართველოში. ამირეჯიბთა ხშირი სტუმრები იყვნენ: ილია, აკაკი, შიო არაგვისპირელი, ვალერიან გუნია, ვასო აბაშიძე, ვანო სარაჯიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, შალვა დადიანი... და სხვა მრავალი.

გოგლა ლეონიძის მიერ შექმნილი სუფრა სწორედ ამ ცნობილ პიროვნებათა ავტობიოგრაფებით იყო დამშვენებული.

„იფრინეთ აეროფლოტი!“

ეს იყო 1966 წელს. საქართველოში ტარდებოდა „რუსთაველის დღეები“, გენიალური პოეტის დაბადებიდან 800 წლისთავის აღსანიშნავად.

უცხოეთიდან მოწვეულნი იყვნენ „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელები, ქართველოლოგები ყველა ქვეყნიდან. მთელი კვირის მანძილზე ტარდებოდა მიღებები, შეხვედრები, კონცერტები, ექსკურსიები. თბილისში თითქმის ყველგან შეხვდებოდით რუსთაველის გამონათქვამებს. მაგალითად, რკინიგზის სადგურზე, დაახლოებით 20-მეტრიან ტილოზე ეწერა – „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“.



დავით ახველიძე

დასრულდა საზეიმო დღეები და სტუმრებმაც თბილისის დატოვება დაიწყეს. ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი, სხვა სტუმრებთან ერთად, აეროპორტისკენ აცილებდა ცნობილ ინგლისელ ისტორიკოსსა და ქართველოლოგს – დეივიდ მარშალ ლენგს, რომელიც თავისუფლად ლაპარაკობდა და კითხულობდა ქართულად.

როდესაც აეროპორტის ტრასაზე გავიდნენ, დეივიდ ლენგი უცებ ახარხარდა და მასპინძლებს მანქანის გაჩერება სთხოვა. ბატონმა დეივიდმა ხელი გაიშვირა ვეებერთელა სარეკლამო დაფისკენ, სადაც დიდი ასოებით ეწერა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი!“ ქვევით კი ეწერა: „იფრინეთ აეროფლოტი!“

ცნობისთვის: პროფესორი დეივიდ ლენგი (1924-1991 წ.წ.) – 1949 წლიდან ლონდონის უნივერსიტეტში ასწავლიდა ქართულ ენას. იგი არის საქართველოსა და ქართველებისადმი მიძღვნილი არაერთი წიგნის ავტორი.

სტუდენტური ეპიზოდი

დიდი კონსტანტინე გამსახურდია იხსენებდა:
 „1919 წელს ბერლინის უნივერსიტეტში მასწავლიდა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ფილოლოგი – ბარონ ფონ ლიხტენბერგი, ჟურნალ „მემნონის“ რედაქტორი.

ერთხელ მან ხელიდან გამომართვა ჩემი ბლოკნოტი, რომელშიც ლამაზი კალიგრაფიით ჩანერილი იყო ერთი ქართული ლექსი. ხელნაწერი გულდასმით დაათვალიერა და მთხოვა, მისთვის სტამბურად ნაბეჭდი ქართული წიგნი მიმეტანა. ბოლოს მითხრა, თავადაც დამენერა რამე.

პროფესორს რაღაცები დავუწერე ჩემთვის მისაწვდომი კალიგრაფიული ხელით. სამი დღის მერე იგი მენვია და მთხოვა, ქართული ენა მესწავლებინა მისთვის. მხოლოდ ერთი პირობით, მე თავად ვივლი გაკვეთილებზეო.

„რას ბრძანებთ, ბატონო პროფესორო, მასწავლებელიც რომ არ ბრძანდებოდეთ ჩემი, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული კაცი ხართ...“

ვერასგზით გადავარწმუნე და ეს 75 წლის პატივსაცემი ადამიანი ჩემთან მოდიოდა და ენერგიულად სწავლობდა ქართულს.

სამი თვის შემდეგ ბატონმა პროფესორმა გამომიგზავნა ქართული კალიგრაფიული ხელით დანერილი ბარათი:

„ახლა უნდა მოგახსენოთ, ბატონო დოქტორო, მე დაუფლებული ვარ მსოფლიოს ბარე 24 ენას და ასეთი ლამაზი ასოები, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამომხატველი ყოველი ბგერისა, მე სხვა ალფაბეტში არ მეგულება.“



კონსტანტინე გამსახურდია
 - ბერლინის უნივერსიტეტის
 დოქტორანტი. 1919 წ.

და მაინც: გენიალური გალაკტიონი

„ბახუსი მეტისმეტად მონყალა“, – ეს გალაკტიონის სიტყვებია.

„ღრუბლებო, თქვენ მე მათცებთ, ღვინოს მე ვსვამ და თქვენ რატომღა ტრიალებთ?!“ – ესეც გენიოსის ჩანაწერია დღიურში.

„ტყვია მკარი, მაგრამ ღვინოს ნუ დამალევიანებ! ბრძოლას ვუცხადებ ღვინოს, გაუმარჯოს სიფხიზლეს!“ გალაკტიონი ასე ებრძოდა საკუთარ თავს.

სხვათა შორის, იყო დღეები, თვეები, როდესაც გალაკტიონი არ სვამდა. მაგრამ, როგორც ბევრი გენიოსი, ის დიდი ბავშვივით იყო – რაღაცას აწყენინებდნენ და მაშინვე ახსენდებოდა სასმელი.

გალაკტიონის მძღოლის – ლევან ჯავახიშვილის მოგონებიდან:

„ერთხელ დაიფიცა გალაკტიონმა, დღეიდან წვეთს არ დავლევო. გამიხარდა. მართლაც, მთელი დღე საქმეებზე დარბოდა, ხან სად მივიყვანე და ხან სად. სალამოს დაღლილი ჩამიჯდა მანქანაში, ავიდეთ წყნეთშიო. დუქანთან გამაჩერებინა მანქანა. ვასილიჩ, აქ რა გინდა, შევიცხადე, აკი, არ დავლევ დღეიდანო. პასუხი არ გაუცია, თავის თავს კი ელაპარაკებოდა: ნამო, ნამო, გალაკტიონ, მე და შენ თითო-თითო ჭიქა მაღარიჩი დავლიოთ იმის აღსანიშნავად, რომ დღეს გალაკტიონს წვეთი არ დაუღევია!“

და ბოლოს, ფრაგმენტი გალაკტიონის ცნობილი ლექსიდან:

„სადაც უნდა მივდიოდე, უცხო ქვეყნად მარები,
 უკანასკნელ შვიდიოდე, წლის თან მომდევს ქარები,
 სადაც უნდა შევიარო, ღვინოს დამაძალებენ,
 მწუხარება ვერ დავფარო: ღვინოს დააბრალებენ!“



გალაკტიონ ტაშვილი

იანუშ კორჩაკი – დაბადებიდან 145 წელი

ბავშვებისთვის გაღებული სიცოცხლე



იანუშ კორჩაკი

იანუშ კორჩაკი – ებრაული წარმოშობის ცნობილი პოლონელი ექიმი (პედიატრი), პედაგოგი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ბავშვთა უფლებების დამცველი და სამოქალაქო აქტივისტი.

პოლონური სახელი იანუშ კორჩაკი ჰენრიკ გოლდშმიტის ლიტერატურული ფსევდონიმია, რაც სტამბის ამწყობის კორექტურული შეცდომის „დამსახურებაა“, რომელმაც „იანაშის“ ნაცვლად „იანუში“ დანერგა.

იანუშ კორჩაკმა მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ბავშვებს, ოჯახიც კი არ შეუქმნია. ომის დაწყებამდე გადაწყვეტილება მიიღო, არ წასულიყო ემიგრაციაში, უარყო გეტოდან გაქცევის შემოთავაზება და, ბოლოს, მონყალეზად გაღებულ თავისუფლებას ბავშვებთან ერთად გაზის კამერაში აღსასრული არჩია.

იანუშ კორჩაკმა შექმნა მრავალი ნაწარმოები თუ ნაშრომი მხატვრულ ლიტერატურასა თუ პედაგოგიაში, რომელთა შორისაა: „მეფე მათიუმ პირველი“, „როგორ უნდა გიყვარდეს ბავშვი“, „ქუჩის ბავშვები“, „ცხოვრების კანონები“, „როდის გავხდები კვლავ პატარა“ და სხვა. მისი სახელი ჰქვია ქუჩებსა და სკოლებს სხვადასხვა ქვეყანაში. 1978 წელი იუნესკომ კორჩაკის წლად გამოაცხადა.

იანუშ კორჩაკის 10 მცნება, მშობლებისა და მათი პატარებისათვის განკუთვნილი, დღემდე არ კარგავს აქტუალობას. მწერალი თვლიდა, რომ ბავშვამდე მისაწვდომად დახრა კი არა, ფეხის წვერებზე შედგომაა საჭირო. რომ კანონები, პირველ რიგში, ბავშვებისათვის უნდა შეიქმნას და მერე გავრცელდეს უფროსებზე; რომ ყველაფერი, რასაც მოზარდთან მიაღწევ, თუნდაც, უმნიშვნელო ძალადობით, არასწორია; რომ ბავშვი, პირველ რიგში ადამიანია და მერეა უკვე ბავშვი.

თუმცა ერქვა „პატარა ფილოსოფოსი“



პოლონეთში გამოცემული საფოსტო მარკა – კორჩაკის 100 წლისთავის საიუბილეოდ

იანუშ კორჩაკს ნამდვილი სახელი ჰერშ გოლდშმიტი მშობლებმა დაარქვეს ბაბუის პატივსაცემად და არც ტყუილად – მომავალში ბიჭი ექიმი ბაბუას კვალს გაჰყვა.

იანუშ კორჩაკი დაიბადა 1878 წლის 22 ივლისს ვარშავაში, ინტელიგენტი ასიმილირებული ებრაელების ოჯახში. მამა იუზეფ გოლდშმიტი, პროფესიით იურისტი, და დედა – ცეცილია ჰემბიციკაია შვილების, ჰენრიკისა და ანას კარგი აღზრდისა და განათლებისთვის არაფერს იშურებდნენ. ჰენრიკი მეოცნებე ბიჭუნა იყო, ბებია ხუმრობით „ფილოსოფოსსაც“ კი ეძახდა, პატარაობიდანვე უყვარდა ნიგნების კითხვა, ბავშვები და მათთან თამაში.

იანუშ კორჩაკი სწავლობდა მშობლიური ვარშავის რუსულ გიმნაზიაში, სადაც მეფობდა სასტიკი რეჟიმი. იქ დაეუფლა რუსულ, ლათინურ, ფრანგულ, გერმანულ და ბერძნულ ენებს. 1889 წელს მამის ფსიქიკური ავადმყოფობის გამო 15 წლის კორჩაკი იძულებული იყო, დაეწყო რეპეტიტორობა.

1896 წელს მომავალმა მწერალმა ჟურნალში „ეკლები“ პედაგოგიკის პრობლემებზე დაბეჭდა სტატია „გორდიას კვანძი“; ეს წერილი იყო კორჩაკის, როგორც მწერლის, კარიერის დასაწყისი.

მამის გარდაცვალების შემდეგ კორჩაკმა დედის რჩევით ჩააბარა მედიცინის ფაკულტეტზე. პარალელურად ინტერესდებოდა ბავშვთა სკოლებითა და თავშესაფრებით, სადაც პოულობდა სიუჟეტებს თავისი წიგნებისთვის. „ქუჩის ბავშვები“ მისი პირველი დიდი ნაწარმოებია. ამასთან, იანუშ კორჩაკის ლიტერატურული გემოვნება ადრეული ასაკიდანვე ყალიბდებოდა. თავისი ცხოვრების წესით იგი ყველას უნერგავდა წიგნის სიყვარულს. კორჩაკმა საქველმოქმედო საზოგადოების დახმარებით გახსნა უსასყიდლო სამკითხველო დარბაზი, სადაც ბავშვებს ასწავლიდა კითხვას.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იანუშ კორჩაკი პირდაპირ რუსეთ-იაპონიის ომში (1905 წ.) გაინვიეს სამხედრო ექიმად. იანუში სამხედრო ლაზარეთად გადაკეთებულ მატარებლის ვაგონებში მუშაობდა დაჭრილებთან. ამავ დროს, შეძლებისდაგვარად ცდილობდა, შეემსუბუქებინა ჩინელი ბავშვების ყოფაც. პირველ მსოფლიო ომში იანუშ კორჩაკი კვლავ ფრონტის ხაზზეა სამხედრო ექიმის რანგში. იგი ზარბაზნების ქუხილსა და ტყვიების ზუზუნში წერს წიგნის „როგორ გვიყვარდეს ბავშვი“-ს პირველ ნაწილს „ბავშვი ოჯახში“.

1938 წლიდან იგი გათავისუფლებულია სამხედრო ვალდებულებებისგან. ამის მიუხედავად, მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველ დღეებში, კორჩაკმა, პროტესტის ნიშნად, თავის მკერავს საგანგებოდ შეაკერინა სამხედრო მუნდირი და ასე დადიოდა ვარშავის ქუჩებში.



იანუშ კორჩაკის მიერ დაარსებული და დღემდე მოქმედი „ობოლთა სახლი“. კროხმალნოის ქ. 92. ვარშავა

ბავშვთა თავშესაფრები

იანუშ კორჩაკმა ვარშავაში მცხოვრები მდიდარი ებრაელების შემოწირულობებით 1913 წლის 7 ოქტომბერს „ობოლთა სახლი“ დააარსა (კროხმალნოის ქ. 92-ში), სადაც იგი თავის დამხმარე სტეფანია ვილჩინსკაიასთან ერთად 30 წლის მანძილზე მუშაობდა. პარალელურად, 1919 წლის 15 ნოემბერს კორჩაკმა და ერთ-ერთ ინტერნატიში გაცნობილმა მარია ფალსკაიამ დააარსეს ბავშვთა ინტერნატი „ჩვენი სახლი“ (მწერალი იქ 1935 წლამდე მუშაობდა).

1920 წელს, ეპიდემიოლოგიურ ჰოსპიტალში მუშაობისას, იანუშ კორჩაკი დაავადდა ტიფით. სახლში დაბრუნებულს საყვარელი დედა უვლიდა. კორჩაკი გამოჯანმრთელდა, სამწუხაროდ, დედა, ტიფით ინფიცირებული, გარდაიცვალა.

სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, კორჩაკი ბავშვთა ყველა დანებსებულებას ეხმარებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, მან თავად მოითხოვა, დაენიშნათ იგი აღმზრდელად ქალაქის ებრაელ ბავშვთა მთავარ თავშესაფარში. აქ იყო უმძიმესი მდგომარეობა, დედამინაზე ნამდვილი ჯოჯოხეთი, სადაც შიმშილისგან ყოველდღიურად უამრავი ბავშვი კვდებოდა. კორჩაკს გულწრფელად სჯეროდა, რომ თავისი უკიდევანო სიყვარულით ოდნავ მაინც შეუმსუბუქებდა განწირულ ბავშვებს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს.

1940 წელს, ვარშავის გეტოს შექმნის შემდეგ, თავშესაფარმა რამდენჯერმე შეიცვალა მისამართი, ვიდრე, საბოლოოდ, 1942 წლის 5 აგვისტოს „ობოლთა სახლის“ აღსაზრდელები თავიანთ აღმზრდელთან, იანუშ კორჩაკთან ერთად არ აღმოჩნდნენ ტრებლინკის საკონცენტრაციო ბანაკში.



კორჩაკის მიერ „ობოლთა სახლში“ გადარჩენილი „ბავშვები“

„მცირე განათლება“ და „თქვენი დასტაქარი“



პაღრი პოლონური მხატვრული ფილმიდან „კორჩაკი“. რეჟისორი: ანჰეი ჰაიდა. 1990 წ.

1926 წელს, იანუშ კორჩაკის ინიციატივით გამოვიდა ჟურნალი „მცირე განათლების“ პირველი ნომერი. ეს იყო მსოფლიო მასშტაბის მოვლენა, როცა გამოცემის რედაქტირება ევალებოდათ ბავშვებს. ჟურნალი თავისუფალი იყო პოლიტიკისაგან (გამიზნული პატარა მკითხველისათვის). სტატიებსაც, ძირითადად, წერდნენ ბავშვები და აგზავნიდნენ რედაქციის მისამართზე ნოვოლიპკის 7 ნომერში. ჟურნალს 10 წლის მანძილზე 3000 ოფიციალური კორესპოდენტისგან წელიწადში 4000-მდე წერილი მოსდიოდა. მრავალფეროვანი, საინტერესო თემების გარდა, რედაქცია ბეჭდავდა რებუსებს, კროსვორდებს, ატარებდა კონკურსებს. პატარა კორესპოდენტებისგან მომავალში ბევრი გამოჩენილი ადამიანი გახდა, მათ შორის, ცნობილი მწერალი იუზეფ ჰენი და ფილოსოფოსი ზიგმუნდ ბაუმანი. მთავარი რედაქტორი, რა თქმა უნდა, იყო იანუშ კორჩაკი, ხოლო რიგით რედაქტორად მუშაობდა ახალგაზრდა იგორ ნევერლი.

„მცირე განათლება“ განსხვავდება მსოფლიოს დანარჩენი ჟურნალებისგან – წერდა კორჩაკი, – ბავშვები გულახდილად, შიშისა და მორცხვობის გარეშე ლაპარაკობენ თავიანთ ყოველდღიურ პრობლემებზე, იმ საკითხებზე, რომელსაც მშობლებსაც კი ვერ უმხელენ“. **„მცირე განათლება“, განკუთვნილი იყო ყველა ბავშვისთვის, მაგრამ, უპირველესად, მიმართული იყო ებრაელი ბავშვების მიმართ. ჟურნალის ფენომენი ამაშიც მდგომარეობდა.**

ლიტერატურის გარდა, იანუშ კორჩაკი აქტიურად მუშაობდა რადიოში. 1934-36 წლებში მწერალს ჰქონდა საკუთარი რადიოგადაცემა. კორჩაკმა საგანგებოდ მოიფიქრა მოხუცი ექიმის პერსონაჟი, რომელსაც, ქვეყნის მასშტაბით, სიამოვნებით უსმენდნენ არა მარტო ბავშვები. დასტაქარმა ბავშვებთან დამოკიდებულებაში შექმნა თბილი, ნდობით სავსე ატმოსფერო. **იანუშ კორჩაკის უკანასკნელი რადიოგადაცემა შედგა 1939 წლის სექტემბერში:** მიმართვაში იგი ბავშვებს ამშვიდებდა, თითქოს ამზადებდა მოსალოდნელი საშიში მოვლენებისთვის. სამწუხაროდ, კორჩაკის გადაცემების ჩანაწერები არ შემონახულა, არ ვიცით, როგორ ჟღერდა მისი ხმა, მაგრამ, შეგვიძლია, წავიკითხოთ გაშიფრული ტექსტები (წიგნების გარდა, ხელმისაწვდომია ინტერნეტით).

„ყველა ადამიანი არამზადა როდია“



კორჩაკის წიგნი „მეფე მათიუშ პირველი“

– ეს თქვენ დანერეთ „მეფე მათიუშ პირველი“? კარგი წიგნია, თავისუფალი ხართ, – უთხრა ესესის ოფიცერმა იანუშ კორჩაკს, როცა იგი თავის აღსაზრდელებთან ერთად საკონცენტრაციო ბანაკისკენ მიმავალი მატარებლის ვაგონში ადიოდა.
 – და ბავშვები? – იკითხა კორჩაკმა.
 – ბავშვები წავლენ, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ დატოვოთ ვაგონი!
 – ცდებით, მათ ვერ დავტოვებ, ყველა ადამიანი არამზადა როდია! რამდენიმე დღეში საკონცენტრაციო ბანაკ ტრებლინკაში თავის 200 აღსაზრდელთან ერთად იანუშ კორჩაკი გაზის კამერაში თავის ფეხით შევიდა.

სიკვდილისკენ მიმავალ გზაზე კორჩაკს ყველაზე პატარა 2 ბავშვი ხელში აყვანილი მიჰყავდა და რომ არ შეშინებოდათ, მათ ყურში ჩუმად ჩასჩურჩულებდა ზღაპარს.

„ჩემი ცხოვრება იყო რთული, მაგრამ საინტერესო. სწორედ ამას ვთხოვდი ღმერთს ახალგაზრდობაში“, – წერდა გეტოში მყოფი იანუშ კორჩაკი თავის დღიურში 1942 წელს, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე.

საქიანალი

ივარიულ რაჟიმთან ჟიდილში

ეროვნული გმირი – კონსტანტინე (კოტე) აფხაზი. . . 3

კროზა

ირაკლი არიშვილი

აღდგომა 4

დიღთა ნიშატი

ნათია ჩუბინიძე

გალაკტიონი იტევდა გალაკტიონს. 7

ზღვა და ქვიშა

აფხაზეთი და... კინოსივრცე. 10

ო, ენავ ჩემო

არნოლდ ჩიქობავა – დაბადებიდან 125 წელი. . . . 12

ბარათები შენთვის

კურტ ვონეგუტი

„არასოდეს დაუზავდეთ მას,
ვინც გულგრილია თქვენი გულის მიმართ“ 14

კოეზია უპირველეს ყოვლისა

მზია ლექვთაძე

ლექსები 16

დაბრუნებამდე სათქმელი

ცირა ყურაშვილი

„ეს მინა ღვთისაა“ 18

ზღაპარი დიდებისთვის

ნუნუ ჯანელიძე

ნიტა და ანიტა. 22

ორნატი

შამპოლიონი: „როცა გავიზრდები,

მე ამას წავიკითხავ“ 24

კითხვა-პასუხების ლაბირინთი. 26

ქვით ნაგები მატინა

მარიამ გუნია

ილორის წმინდა გიორგის ტაძრის ეპიგრაფიკა. . . . 27

ვერისაჟი

ბებია მოზესი –

არაორდინალური ბიოგრაფიის მხატვარი 30

13 თვე და 13 დღე

ნანა ჭანტურია

არასოდეს 32

შენთვის თარგმნილი

იაპონური მოთხრობები 36

მთარგმნელი – ჰიასუსუჰირო კოჯიმა

ქართველი ღვთაებები

ლელა ჟვანია

„არგენტინელი ქართველები“ 38

ირმის ნახტომი

. 42

ენბურს გაღმა

ნონა შონია

სადაც ჩემად მღერიან ქართულად 43

წარმატებული ნიწველები

. 46

მრავალფეროვანი მსოფლიო

სურინამი – სამხრეთ ამერიკის

ყველაზე პატარა ქვეყანა 48

ლაფიონი

თეკლა ჭუმბურიძე

მწვანე ოთახი, ჩემოდანი და თვრამეტი წელი. . . . 51

ნინი ნაყოფია

ქუხს გაზაფხული იმედად 52

ერთხელ

. 54

რჩეულთა გზა ბავშვობიდან

იანუმ კორჩაკი –

დაბადებიდან 145 წელი 56

ჩვენი მისამართი:

ძ. თბილისი, უზნაძის ძ. № 68.

ტელ.: (+995) 598 93 92 84

(+995) 599 12 66 80

ვებ-გვერდი: www.ialkani.ge

ელ-ფოსტა: print@csya.ge

იალქანი № 2 (53). 2023 წ.

ტირაჟი: 300 ც.

ფასი სახელმწიფოებრივად



ქურნალი გამომცემის აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით

საქართველო

საქართველო

საქართველო

საქართველო

საქართველო

